“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№7 (259)
ივლისი
2020 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეორე წელი

”LITERATURULI MESKHETI”

დალი ყარაულაშვილი

სამშობლოს ჩიტები

დარდი ვერაფრით ავწონე,
რა ვქნა, ცრემლი ვერ დავმალე,
ლეკვი, ძუძუ რომ ვაწოვე,
გამიდგა, მითხრის სამარეს.

ვერ ვსუნთქავ, მავთულხლართებით
გადამიბოჭეს მთაბარი,
რომ ვამაყობდი ამ მთებით,
მათი პატრონი სად არის?!

ცა ყვავ-ყორნებმა დაფარეს,
ეჰ, ველარ ვხედავ ცხრათვალას,
ვაზს რომ ფესვებში კაფავენ,
ავმა თვალმა თუ გაგვთვალა.

რად მამლაყინწობს ვარია?!
საძებარი გვყავს მართვენი,
არწივნი აღარ არიან, –
გადაუშენდათ გამჩენი!

ვაჟები თვალებბრიალა,
ეჰ, სანატრელი გამიხდა,
დროშა ვერ ააფრიალა, –
ერი და ბერი წამიხდა.

ქალები ლერწამ-ტანისა
ეჭიდებიან საპალნეს,
ცრემლმა თვალები დანისლა,
ეს სირცხვილი ვერ დაფარეს.

კაცები, ვაი კაცები,
დადიან თეძორხევითა,
ფარას აღარ ჰყავს ვაცები,
დაშინებულან მგელითა.

კავკასიონი დამყურებს,
წუხს, ავმა როგორ გაგვთვალა,
რა აღარ ესმით ამ ყურებს,
რა აღარ ნახა ამ თვალმა.

ცაო! შენი მაქვს იმედი,
სულს ისევ შენით ვახელებ,
სიკვდილის კართან მივედი,
კვლავ ფეხზე წამომაყენე!!!

გადავიტანოთ ზამთარი,
ცაო! შენ დამრჩი იმედად!!!
ჩემი უკვდავი ძვალ-ტყავი,
ვიცი, არ გაიწირება.

ცაო! შენი მაქვს იმედი!
ცაო! შენ მყავხარ იმედად!

„ლიტერატურა ხალხისთვის სიკეთეში გადამყვანი ხიდია და ფონი! როგორც კეკლუცისთვის სარკე, ისე ხალხისთვის ლიტერატურა საჭიროა, რომ შიგ ჩაიხედოს და თავის სახე მისი ღირსებით და ნაკლულევანებით დაინახოს“.

აკაკი



განცხადება

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის„ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში.

საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა და დევიზი; მეორე კონვერტით – ავტორის გვარი, სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი და დევიზი (კონვერტზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოს და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

დაწესებულია პრემიები:

გრან პრი – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსაგან;

პირველი პრემია – 1500 ლარი – ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისაგან;

მეორე პრემია – 600 ლარი – კერძო პირ ელდარ ალიევისაგან;

მესამე პრემია – 500 ლარი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტისაგან;

სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის პრემია.

გამარჯვებულებს პრემიები გადაეცემათ „პოეზიის დღე – შოთაობაზე„ სოფელ რუსთავში.

საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ გამოუქვეყნებელი, ნაბეჭდი ფორმით (არაუმეტეს 5 ლექსისა), ხელნაწერი არ მიიღება.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2020 წლის 10 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქუჩა N3.
გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.
საკონტაქტო ტელ. 5 99 97 95 24

პროზა

ბოცო ჯაყელი და უფლისწულ დემნას აჩრდილი
(ჯაყელთა 1000 წელი)

კახაბერ ჯაყელი

(გაგრძელება. დასაწყ. წინა ნომერში)

– ამ ღამეს უკუნში უნდა ვიაროთ, ბიჭებო! – უთხრა აბიათარმა მის უკან ჩაცუცქულ რჩეულიანთ. ყველამ სიტყვა თავის მეგობარს გაუმეორა, ერთ მწკრივად იჯდნენ და მეთაურის ადგომას ელოდნენ. წვერცეცხლა, წითური აბიათარ კოპაძე ცას ათვალიერებდა. ერთი ვარსკვლავის გამოჩენას ელოდა, რომ დაძრულიყო.

– მარეხიც გამოჩნდა, აი ეხლა დავიძრებით, მაგას ელოდება აბიათარ კოპაძე, – ჩაილაპარაკა ჩარექა ფოცხოველმა და მისმა თვალებმა ბნელში, ისე, როგორც ცეცხლმა, დაკვესა.

– ჩარექ, წმინდა ლომისა იყოს შენი მფარველი, დავეცეთ თურქებს და ვიალაფოთ! – ჩაილაპარაკა მომღიმარმა აზნაურმა ფარნაოზ არსიანელმა.

– დავეცეთ, ძმაო! – მკაცრად თქვა ჩარექმა და ფეხზე წამოდგა, რადგანაც აბიათარიც მშიერი მგელივით წამომართულიყო და კვლავაც ცას გაჰყურებდა.

– მოლაშქრეთა მამაა, აბიათარი, მარეხის ფერით არკვევს – გველოდებიან თუ არა თურქნი.

– დავიძრათ! – გაისმა ხმა აბიათარისა და რაზმიც წამოიმართა.

ისინი უხმოდ მიყვნენ ერთმანეთს, ისე, როგორც ქართულ მხედრულ ცეკვებშია, თავები ჰქონდათ მგლის ტყავით წაკრული და ფეხაკრეფით დაუყვნენ ფერდობს.

ამ დროს გამოჩნდა ბოცო, სპასალარი სამცხისა და მუნებურთა სხვათა ერისთავთა. აბიათარმა მჯიღი იკრა გულზე, ამგვარად მიესალმა პატრონს და რაზმი შავშეთის ქედისაკენ დასძრა, მის უკან მიმყოლმა რჩეულიანმა იგივე მისალმება გაიმეორა და რაზმი ქედს აუყვა, ბოცო რაზმს ათვალიერებდა, სამხედრო აღჭურვას უხმოდ, მხოლოდ თავის დაკვრით უწონებდა აზნაურებს, რომლებიც სამცხის სპასალარს მდუმარედ უვლიდნენ გვერდს და აღმა მთაში ადიოდნენ. ღამე თეთრი იყო. შებერებული მთვარე დანათოდა მთებს. განსაკუთრებით კარგად ჩანდა მესხეთის ქედის მწვერვალები.

რაზმეული არსიანის ქედის ბილიკს აჰყვა ზევით და ზევით. მთები, თლილი, ჭანჭახი და ცივწყარო უნდა გაევლოთ. მალე შავშეთის ქედსაც მიაღწევენ, რომელიც, ჩრდილოეთის მხრიდან, არწივივით გადმოჰყურებდა არემარეს. თუ არსიანის ქედი შავშეთს აღმოსავლეთით საზღვრავდა, შავშეთის ქედი სამცხიდან ესაზღვრებოდა. ბოცომ იცოდა, რომ თურქნი შავშეთის ცენტრში იქნებოდნენ თავმოყრილი. ალბათ, ეხლა, უკვე, საქონელს და დაბორკილ ტყვეებს ეზიდებოდნენ გადასამალად და გასაყიდად. „ესაა მუდამ თავდამსხმელის სისუსტე. როგორც კი მცირე გამარჯვებას მოიპოვებს, იმწამსვე კერძო სიხარბე გადაწონის მის მხედრულ ჟინს და ეგ უნდა გამოვიყენოთ!“ – ფიქრობდა მესხი სპასალარი და ჩქარობდა.

***

ჯერ კიდევ როდის ამბობდა გიორგი მერჩულე: «იყო ნეტარი მიქელ ქუეყანისა შავშეთისაჲ სოფლისა ნორგიალისაჲ» – აი, ეს სიტყვები ყურში ჩაესმოდა თავის დროისათვის სრულყოფილად განათლებულ ბოცოს. წინ აბიათარ კოპაძე მიჰქროდა, რაზმელებიც სწრაფად მიაბიჯებდნენ.

შუაღამე გათენებისაკენ იხრებოდა, როდესაც მწვერვალიდან ჩამოსვლა დაიწყეს. ნისლიან სივრცეში მოხვდნენ. ბალახი სველი იყო. ნამიანზე ტყავის საცვეთები უცურდებოდათ მოლაშქრეებს და ამიტომაც აბიათარმა ფეხზე, საცვეთს ზევით, მორკინული წრიაპი ამოირტყა, რათა უშიშრად ევლო. მისი მოძრაობა მთელმა რაზმმა გაიმეორა.

„აბიათარს დუმილშიც უსმენენ რჩეულიანნი,“ – გაახსენდა მამის, მემნა ჯაყელის ნათქვამი ბოცოს და თვითონაც კოპაძეს მსგავსად მორკინული წრიაპი ამოირტყა.

– ნორგიალისაკენ, იქეთ! – თქვა მის გვერდით მდგომმა აბიათარმა და ხელი შორს, მოციმციმე სინათლისაკენ გაიშვირა.

ბოცომ თავი დაღუნა და მოციმციმე შუქს მიაპყრო მზერა.

– მალე გათენდება, ალბათ, – ჩაილაპარაკა თავისთვის.

– ჯერ ნორგიალე, შემდგომ ოპიზა, აბიათარ ბატონო! – გაეღიმა ბოცოს და დაბლა დაეშვნენ.

თენდებოდა.

– ნორგიალე აქვეა, დაბლა, ოპიზა კი, რომელიც შავშეთის წყლის ჩრდილო-დასავლეთითაა, კლარჯეთს ეკუთვნოდა. ორივე მიტაცებული ჰქონდა მტერს. ეხლა, ვინ იცის, რას სჩადიოდნენ თურქნი. მათი ბელადი, ალბათ ზის ეპისკოპოსის ტახტზე და წერილს თხზავს თურქებისათვის, – მოდით, გადმოსახლდით, გელითო. ფლიდობს, ცხადია. ცოტაც და, დრო გვიჩვენებს, ვინ

გადმოსახლდება მესხეთში! – იმეორებდა ფარნაოზ არსიანელის გვერდით მდგომი ჩარექ ფოცხოველი.

სველ ფერდობზე, რაზმის თითოეული წევრი, უსაფრთხოების მიზნით, ერთიერთმანეთის მხრებზე ხელდადებულები დაუყვნენ გზას. სადაც ბილიკი გადარეცხილი იყო, უმალ სამეულებად იშლებოდნენ, ერთმანეთს გადაებმებოდნენ და ასე ეშვებოდნენ დანიშნული ადგილისაკენ.

***

შავშეთში, XI საუკუნეში, დიდი მშენებლობები განახორციელა ქართულმა სახელმწიფომ, რაც, ადრე, შეუძლებელიც კი იყო. თუ ადრე, IX საუკუნეში, – „ჴევი შავშეთისა უშენებელ იყო მაშინ გარეშე მცირედთა სოფელთასა, რამეთუ ჟამთა სპარსთა უფლებისასა აოხრდა... და კუალად... სლვამან სათლობისამან მოაოჴრა შავშეთი... და მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ“, ეხლა შავშეთით საქართველო ამაყობდა.

IX საუკუნიდან მოყოლებული, როცა სპარსთა ლაშქრობები შეწყდა, აღმოსავლეთ საქართველოდან შავშეთში მოსახლეობა გადმოსახლდა. შავშეთური ქართული დიალექტიც აღსდგა, მოსახლეობამ გაიხარა, რადგან ქვეყანა მშვიდომამ მოიცვა, თუმცა განსაკუთრებული სიხარული თამარის გამეფებამ გამოიწვია!..

***

თამარის გამეფების გახსენებაზე გული უტოკდება სამცხის სპასალარს, რომელიც, ამჯერად, რჩეულიანთ მიუძღოდა არსიანის ქედიდან დაბლა, ციცაბო ფერდობზე, სწორედ იქ, სადაც შავშეთის დიდი სოფელი ნორგიალე ეგულებოდა.

„თამარი... თამარი, სამყაროს გავცვლიდი მისი გულისთვის, თუნდაც ერთხელ გამებედა და მეთქვა, რას გრძნობდა ჩემი გული თამარის მიმართ!“ – ფიქრობს ბოცო. ათასნაირი აზრები გულს უკლავს. აზრები წარსულზე, სიყმაწვილეზე, ერთად მოეჯარა ბილიკზე მიმავალს.

„მეფეთ მეფე და დედოფალთ დედოფალი აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანთა და შაჰანშათა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობითა მპყრობელი. და, ამავე დროს, ჩემი გულის მპყრობელი, რომლის მიმართაც თავს დავდებ ყოველგვარი ფიქრის გარეშე“, – ჩურჩულებს წვიმაში მთლად გალუმპული სპასალარი.

უნებლიედ ბავშვობა გაახსენდა! ეხლა 27 წლის კაცია, ჩვიდმეტის რომ იყო, თავისი სიშლეგით კინაღამ დაღუპა თავიც და სახელი მოყმისა, სამარადჟამოდ.

ამის გახსენებისას რამდენიმე ეპიზოდი წარმოუდგა თვალწინ სამცხის სპასალარს:

***

ზოგი რამ წარსულიდან:

„ბოცო 1160 წელს დაიბადა ერისთავთერისთავის, მემნა ჯაყელის ოჯახში. მამამისი კანონის ერთგული კაცი იყო. ოჯახში მუდამ საუბრობდნენ ტახტის მომავალ მემკვიდრეზე. რთული დრო იდგა. ჯაყელები ყოველთვის ერთგულებდნენ არა მარტო ბაგრატიონებს, არამედ მესხეთში წარმოშობილ ქართველთა სამეფოს იდეას.

მაშინ, თბილისში, ჯაყელთა უთაღო სასახლეში, ცხოვრობდნენ. ერთხელ, როდესაც ბოცო ხის ხმლით სახლში თამაშობდა, მამამისი ცხენოსანთა ამალით ეზოში შემოიჭრა და უმალ თავისთან იხმო ბოცოს დედა. სათნო ქალი იყო მარიამ სამძივარი. მეუღლეს მომღიმარი მიეახლა, თავი მდაბლად დაუკრა და თვალებში ჩახედა ისე, როგორც ეს სამძივართა უძველესი დინასტიის ქალებს სჩვეოდათ.

– ჩემო მარიამ, ბატონიშვილი მობრძანდება წუთი-წუთში, მე ცოტა დავწინაურდი და ჯეროვნად უნდა დავხვდეთ! – ხმამაღლა თქვა მემნა ჯაყელმა და ხის ცხენზე გადამჯდარი ბოცო მკაცრი ჟესტით მიიხმო.

ბოცო უმალ ეახლა მამას. მემნამ ბიჭი უმალ აიტაცა ხელში და ჰაერში შეათამაშა.

– ტახტის მომავალ მემკვიდრეს გაგაცნობ, ლამის შენხელა ბიჭია, თუმცა, სულ ცოტათი უფროსია, შენზე.

– ვისა, მამი? – გაუხარდა ერისთავთერისთავის ერთადერთ ვაჟს.

– ტახტის მემკვიდრეს, შვილო!

მემნა ცოლს მიუტრიალდა და, როგორც ქართველ ქალებს სჩვევიათ, საყვარელი მეუღლე უკვე სამზადისში ნახა. მარიამ სამძივარს სეფექალები უმალ მოეკრიბა, მზარეულნიც ეხმო. უფროსი მზარეული საბა ბენარელი სასახლის პირველი სართულიდან ამორბოდა შესაბამისი მითითებების მისაღებად.

– მორთეთ ეზო ყვავილებით, იასამნებით, ვარდებით, რათა გაზაფხული და სიხარული იგრძნოს ბატონიშვილმა. ჩამოხსენით თალხი, დაივიწყეთ ჭირი და კრული, გაიხარეთ მესხებო ! – ბრძანებას ბრძანებაზე გასცემდა მარიამი.

– ყოჩაღ, მარიამ! კარგია, რომ თალხს ხსნით, – თქვა ამის შემყურე მემნამ და ცოლს გადახედა.

– მამაჩემზე, ცხონებულ ბეშქენ სამძივარზე, მუდამ ვიგლოვებ, ჩემო საყვარელო, მაგრამ თუ ბატონიშვილი მოვა, გაიხაროს მანაც და არ იხილოს მისმა თვალმა უბედურების მაუწყებელი, შავი ფერი! – თქვა მარიამ სამძივარმა და მზარეულს მიუტრიალდა:

– ბალი, ალუბალი, მარწყვი, ირმის სუკები, ფლავი ქიშმიშითა და თაფლით, თაფლი, ფიჭა, ღვინოში შერეული ვარდის ფურცლები სუფრას არ აკლდეს. იასამნის რტოებით მორთეთ დარბაზი, ჩვენივე ვარძიული ღვინო მოიტანეთ და სურებში ჩაასხით, მემუსიკეებს უხმეთ,

გაგრძელება გვ.8 ▶

მამუკა ოჩიაური

ქეთევან დედოფალს

ჯალათებს უყვართ ოქრო და ვერცხლი,
გასალეწია მოთმენის კალო,
დიდ მოედანზე დაანთეს ცეცხლი,
შენ რომ გაწამონ დღეს, დედოფალო!

რომ მოგახვიონ ყელზე მარწუხი
და დაგიშანთონ მთელი სხეული
ბოლო წუთამდე თავზე არ სწუხდი,
გრძნობდი, სამშობლო იყო სნეული.

ტკივილი სადღაც შორეთში იწვა,
გულმა იარა ვერ მოირჩინა,
ღმერთს ლოცვით სთხოვდა –მშობელი მიწა
ამ მტარვალთაგან გადაერჩინა.

ქრისტე არ დაჰგმე, – ჩვენი მესია,
რატომ არ ქრები ცოდვისგან ალო,
მტერი მუმლივით შემოგვესია,
შენ კი ამაღლდი ცად, დედოფალო!

მკერდი მოგკვეთეს, არ დაგცდა კვნესა,
თავზე კი ცხელი დაგხურეს რკალი.
დღეს ყველა ქართველს სურს ჰქონდეს წესად,
არ შეიცვალოს რწმენის გზა-კვალი.

არ განიბანოს ჩაუქრობ ცეცხლში,
ყველა მზაკვრობას რომ უთხრას: – არა!
არვინ გასცვალოს ოცდაათ ვერცხლში,
ღმერთი, ქრისტე და მთელი ქვეყანა.

ჯალათებს უყვართ ოქრო და ვერცხლი,
გალეწილია დღეს ცოდვის კალო,
დიდ მოედანზე გიზგიზებს ცეცხლი,
შენ კი ამაღლდი ცად, დედოფალო!

დავაგვიანე...

ის ღამეები ფიქრით ავკინძე,
ძილიც დავკარგე – სიზმრის დობილი,
ნეტავ ვინ ჩახსნა შენი საკინძე
და ვინ შეავსო შენი ლოგინი.

იმ განათევარ ღამეთა კვალში
ძველ მოგონებებს კვლავ ვეურჩები,
ვინ გაეხვია ვნებების ალში,
ვინ დაგიკოცნა ნეტავ ტუჩები.

ვინ ჩაგიხუტა ნეტავი გულში,
შენში არია მწველი ფიქრები,
და ჩაგჩურჩულა, ლამაზო, ყურში, –
რომ საუკუნოდ შენი ვიქნები.

ღამემ მიიღო დილის იერი,
ბნელეთს სინათლის გასტეხს შურდული,
ნეტავ ვინაა ის ბედნიერი,
ვინ გახსნა შენი გულის ურდული.

ის ღამეები ფიქრით ავკინძე,
წლებს გავატანე ძველი სიამე,
მე ვერ ჩავხსენი შენი საკინძე,–
სიტყვის გამხელა დავაგვიანე !

დაგვიანებული პასუხი

„სადამდე ვიარო უშენოდ შარახევს,
ერთურთი შორიდან სადამდე ვახელოთ"

ვინ იცის, ნისლებმა ეგ მთები დალახეს,
ვინ იცის, უჩემოდ რამდენჯერ გათოვდა,
მე ვეღარ დავბრუნდი ბარიდან შარახევს,
არადა, ეს გული მხოლოდ შენ გნატრობდა.

მთას დარჩა ბავშვური სითბო და ტკივილი,
სიობლე და შენი ნაწნავთა სურნელი,
მე დღესაც ჩამესმის ქარების კივილი,
გულზე მაქვს იარა ჯერ განუკურნელი.

თუმცაღა დამრჩალა იმედის სინათლე,
ჩვენ შორის ლოდინი, გამხდარა საშარო,
ვინ იცის, ვინ იცის, რამდენჯერ მინატრე,
მე კი დამატყვევა ქალაქმა ქალშავო!

მოვიტაცებ!

ქალის ნაწნავს დაემსგავსა ნისლი ცაზე,
დამწუხრებულს მხოლოდ ოხვრა აღმოხდება,
ხმა გავარდა, თემში, შენზე – მოიტაცეს,
ნეტავ კარგო, თქვენს ოჯახში რა მოხდება?!

დედაშენის კივილს,მთები აიტაცებს,
შენი ძმა და მამაშენი შეკაზმავენ ცხენებს,
გაიგებენ, რომ სოფლიდან მოგიტაცე
და არხოტის გზა - ბილიკებს გაგიყენე.

სულ სხვა სახით დაგვიხვდება ახიელი,
ტაშ - ფანდურას გამართავენ ბანზე,
ყანწით ხელში დაგვლოცავენ ნათლიები,
გადაჰკრავენ, დაწურავენ ყანწებს თიხის ჯამზე.

მომაწვდიან მეც არყიან ყანწს ჯიხვისას,
გაყუჩდება, ჩაჩუმდება სუფრა,
ვილოცები ამ მთისა და ამ მიწისას,
დავლევ არაყს, ცარიელ ყანწს გადავაწვდი ჯურხას.

თოფის ზათქი გადაუვლის სოფელს,
გადაცხრილავს ბროლის გულმკერდს ტყვია,
მოწიწებით მოექეცი ყველა მოხუც სოფლელს,
შენ დღეიდან არხოტიონთ პატარძალი გქვია !

ქალშავა

ქარმა ჩამოწნა არყის ტოტები,
მთებს ნისლი შვენის ვერცხლად, არშავად,
მე უსასრულოდ დაგელოდები,
არ მემეტები სხვისთვის ქალშავა.

დაგელოდები ფიქრებით დამწველს,
მნათ ცისკრად მოსულს ცაზე აისად,
თუ ვეღარ მოვალ შენამდე ამ წელს,
ჩემი გერქმევა ვიცი გაისად.

და თუ გამწირავს სიცოცხლის ძალი,
მოვევლინები ქარებად ველებს...
მწამს, სამზეოდან ის ტურფა ქალი
გამატანს თავის უმანკო ცრემლებს.

ჩამოწნულია ხეთა ტოტები,
ნისლმა ეს მთები სრულად წაშალა
მე კვლავ გზას ვუმზერ და გელოდები,
რად აგვიანებ მოსვლას, ქალშავა?!

***

ვერ შეგელიეთ შენა და ქარაფს,
ბევრჯერ ვათენე ღამე ცქიოტი,
გულით რამდენი სათქმელი დამაქვს,
რამდენი მაწევს დარდების ლოდი.

ვერ გიერთგულე, ვერ ვგუობ მაგ ბარს,
ცელქი ქარები დაჰქრიან ველზე,
ამ სიყვარულის ჩაუქრობ ამბავს
იქ მომავალში იტყვიან ჩვენზე !

ისევ ასინათოს

მთების გადაღმა მთვარე ჩადის, ცქიოტად მნათი,
ისევ ლოდინი, გულს ეკალი დარდის მესობა,
ჩემთვის გასულ წლებს მოუპარავთ ის ასინათი,
ძილშიც და ცხადშიც არ მასვენებს მე უმისობა.

არ მიინავლა გულში ტრფობის მწველი ალები,
და არ გახუნდა იმ ხალასის ურიცხვი ფერი
ეხ, ასინათო, რად ვერ გხედავს ჩემი თვალები,
რად გამიხადე მზიანი დღე სულ ბინდისფერი.

გავყურებ შარას, რომელ გზითაც გაუჩინარდი,
რომელმაც, ალბათ, ტრამალებში უხმოდ გატარა,
ვით მყინვარს ნისლი, შესჩვევია ამ გულსაც დარდი,
იქნებ გათხოვდი და კალთაში გიზის პატარა.

ხალისი მტოვებს, დარდი მიპყრობს,
მტანჯველი, ავი,
სხეულს ეცლება მიცემული უფლისგან ძალა,
ეხ, ასინათო, იქნებ ვინმემ შენი ნაწნავი,
თქვენს სარეცელთან, ალერსის დროს ჩუმად ჩაშალა.

და თმებს ჩამოშლილს კუპრის ტევრად
ყელთან და მხრებზე,
უხმოდ დავარცხნის შენი საქმროს
ურცხვი თითები,
გწვავს კოცნის ალი, ასინათო, მაგ ბაგეებზე
და შენც ამ ვნების კოცონივით უხმოდ ინთები.

მე კი ამ მთებში ქარაფებთან დავეც კარავი,
და ასე ვცხოვრობ, დრომ მომტაცა
შეყვარებული,
ღამეს ვტეხთ ორნი – მე და ჩემი ძველი კალამი,
ბარს ვუორგულე, ახლა მთებს ვარ შეფარებული.

მთების გადაღმა მთვარე ჩადის, ცქიოტად მნათი,
მე ღამეს ვტეხავ სტრიქონებით
– ლექსები ვქარგე,
რად არ დაბრუნდა წარსულიდან ის ასინათი,
იქნებ არ მოვა, სამუდამოდ იქნებ დავკარგე.

***

გამებუტე და წერილებს არ მწერ,
ზარს არ პასუხობ, მშორდები, ქრები,
ჩემს ფანჯარასთან ქარი ხეს არწევს,
ცდილობს დავარცხნოს მეჩხერი თმები.

დავდუმდით!

დრო იყო, მტერს მტრობით ვამჩნევდით,
ხმალ - ხანჯალს ყოველ ჟამს ვხმარობდით
დღეს ყველა დავდუმდით, გავჩერდით,
სულს ვყიდით, სხეულით დავვობდით.

მტერია ჩვენ სახლის კარადა,
უცვალეს გმირობას სახელი,
ჩვენ გუშინ ვიბრძოდით, არადა,
დღეს ვდუმვართ სიბილწის მნახველნი.

ცხენი დგას, არაა მხედარი,
ხეც ხმება უგულოდ დარგული,
რა მწარედ ტირიან დედანი,
სხვა ქვეყნის გზით გადაკარგულნი.

კაცი ხომ ოჯახის ბურჯია,
სიმტკიცეც ნელ - ნელა იშლება,
ლურჯია, ცა თითქმის ლურჯია,
ცვედნობა გმირობად ითვლება.

ეს ყოფა სულ გაგვატიალებს,
ვერ ვხვდებით, მტერს ფარი ვუფაროთ,
ჩვენ თავზე რა ცეცხლი ტრიალებს,
ეშმასგან გვიხსენი, უფალო!

ისევ ჩვენ დავამხეთ ყოველი,
დავლეწეთ ციხე და გოდოლი,
ან რა ვთქვა, გამოვყო რომელი,
ვცახცახებთ, ვით ქარში ფოთოლი.

მუხაზე დასახლდა მუმლი და,
ველ - მინდორს მოედო კალია,
ამ მიწას პაპა ხომ უვლიდა,
დღეს რა გვჭირს, დღეს რისი ბრალია?!

ერთ მხარეს მტერია ცბიერი,
სხვა მხარეს ლესავენ მახვილებს,
დავკარგეთ ზნეობა, იერი,
მტერს ვუსმენთ, რაც მართლა მაკვირვებს.

ადათ - წესს სადამდე გავიტანთ,
უფალს ვთხოვ, ნუ გავიწირებით,
გავზარდოთ ცოტნედ და დავითად
ქართველნო, ნაშობი შვილები!

რაღა ვთქვა, გზა გავიიოლეთ,
სად გაქრა, კაცი რომ შრომობდა,
ნეტავი ისე თუ ვიომებთ,
უწინ რომ ქართველი ომობდა.

ჩვენ ყველამ გავწიოთ ჭაპანი,
იქნება გამოჩნდეს მესია,
რა გზითაც ვიდოდნენ პაპანი,
მას მივყვეთ, – ეს სწორი წესია.

დრო იყო, მტერს მტრობით ვამჩნევდით,
დღეს გვინდა ერთობა და ძალა,
რომ ყველა დავდუმდით, გავჩუმდით,
იქნება მომხდურმა დაგვძალა.

იმედი ხვალისა არ ქრება,
დაგვფარე ღვთისმშობლის ნათელო,
სანამდე მამული ჩაქრება
სამშობლოს უწამლე ქართველო !

***

მომენატრები წამიდან წამზე,
მათრობელა ხარ, ვით მძლავრი ღვინო.
ო, როგორ მინდა, რომ მუდამ მკლავზე
(ჩემს სასთუმალზე) გვერდით მეწვინო !

ექსპრომტად

არხოტში ახლა გიჟმაჟობს ქარი,
უთოვლო ზამთრის გასულა ყავლი,
ქარში ჭრიალებს საბრალოდ კარი
და ზეცას სწვდება მოთეთრო კვამლი.

შენთან გაზაფხულს მოუღწევია,
ჯერ არ მოსულან ის მზეწვიები,
მაგრამ წყნარ ტყეში უკვე ბევრია
მშვენიერი და ტურფა იები !

რაღა დავწერო!..

რაღა დავწერო, დამზრალა სული,
გულს მოლოდინის აძგერებს ძალა,
დრო ვერ ახუნებს შეხვედრის სურვილს,
წარსულმაც ჩემგან ვეღარ დაგმალა.

რაღა დავწერო ან რა ფერებით,
ეს ხომ გრძნობაა, განა ჟინია,
სიზმრად ყოველღამ რომ გეფერები,
სიყვარულია, მოლოდინია...

მე დაბრუნებას იმედით ვიცავ,
შენსკენ მომაფრენს ფიქრის იაბო,
ყოველღამ ტანზე სიზმარეთს ვიცვამ,
ეს ყველაფერი შენ რომ გიამბო.

რაღა დავწერო დაუწერელი,
რაღა დავწერო ჯერ არ ნახული.
გრძნობას სურვილი შერჩა მშველელი,
გრძნობა, წლებისგან ვერ გალახული.

რაღა დავწერო, თქმით ბევრი ითქმის,
ერთი ქალშავა მე რომ მაწამებს,
ჩემს უნებურად გული კვლავ ითვლის
უშენოდ გასულ წუთებს და წამებს.

რაღა დავწერო, დღე ფარატინა
საღამოს ჩრდილში გალეულია,
გეტყვი, რომ გული უშენოდ მტკივა,
გეტყვი, სხეულიც მთვარეულია.

რაღა დავწერო, დამზრალა სული,
ღამეს რიჟრაჟის გლეჯენ ეშვები,
შენთან შეხვედრის გაუქრობ სურვილს,
ვერ დავეხსენი, ვერ შევეშვები!

დასავიწყებლად არ მემეტები!

დაოსებულხარ ლოდინით გულო,
ქალავ, რარიგად ცეცხლად მედები,
უცხო მხარეში გადაკარგულო,
დასავიწყებლად არ მემეტები,

წლებია გეძებ, არ ჩანხარ, არა,
ჩამოძენძილა ნამად წუთები,
დღემდე წარსულმა, რომ ვერ დაგფარა,
მეიმედება, დამიბრუნდები...

მეიმედები, შემოხსნი კარებს,
გადნება ცაზე მთვარე, ცის მცველი,
და შემოგაჭდობ სხეულზე მკლავებს,
ჩაგვძირავს ვნება და სარეცელი.

„მაგრამ"... – ეს სიტყვა როგორ მაშინებს,
რომ ნაწილ-ნაწილ შენზე ფიქრს მართმევს,
ამ სიყვარულის ციხეს ნაშენებს
დრო მისდგომია და ნელა ანგრევს.

რას იზამ, უნდა გაუძლო, გულო,
ქალავ, რარიგად ცეცხლად მედები,
წლების წინ ჩემგან გადაკარგულო,
დასავიწყებლად არ მემეტები.

შენი სახელი

შენ არასოდეს გერქმევა ლინდა,
მუდამ იქნები ცაზე მზის სწორი,
ძალიან მინდა, ძალიან მინდა,
რომ სიკვდილამდე გზას გავყვეთ ორნი.

შენ არასოდეს გერქმევა თამო
და არ იქნები გულგაყინული,
მე გეტყვი, წამო, ლაღ მთებში წამო,
იქ გველოდება ჩემი ბინული.

შენ არ იქნები ამპარტავანი,
შენ არ იქნები გულგაუხსნელი,
ჩემთვის ესაა მხოლოდ მთავარი,
ჩემს გვერდით იყო ჩაგჭიდო ხელი.

მოხიბლულია შენით მნახველი,
რა საჭიროა ამის დაწერა,
შენი სახელი, შენი სახელი,
ჩემთვის არაა მხოლოდ წარწერა.

მთვრალი ხთისია

კითხულობს მთვრალი ხთისია,
(ქეიფობს მთელი სოფელი),
ნეტავ ეს გოგო ვისია,
ჰყავს თუ არა ჰყავს სწორფერი?!

ასეთი არ მინახია,
ტრფობამ დამიწვა გულია,
იქნებ ბარელი კახია,
არაა ჩვენებურია.

ვისია ქალი, ვისია,
სადაურია, რა თემის,
კითხულობს მთვრალი ხთისია,
არაყით ღამენათევი.

დასალოცია მშობელი,
ასეთი ლამაზ ქალისა,
მსურს მისი ვიყო სწორფერი,
თუნდ, ცდა დამჭირდეს ძალისა.

არაფერს შევუშინდები,
არც ხანჯალს, არცა დანასა,
წავალ და გოგოს ხელსა ვთხოვ,
იმის ძმასა და მამასა.

სხეულს მითრთოლებს ხშირადა,
როცა მის ქათიბს ვეხები
მთებში გვექნება ბინადა,
ბნელი და მყუდრო ეხები.

ნეტავი წუთით მანახა,
ამ გოგოს გული ვისია,
ხალისი დარდმა გალახა,
ბობოქრობს მთვრალი ხთისია.

გოგომ თქვა, გული სხვისია
და არც გრძნობაა ორფერი,
ბოდიში, მაგრამ ხთისია,
სხვაგან ეძებე სწორფერი !

მკითხველს

კრძალვით შევდექი მე ამ ბილიკზე,
თვითონ განსაჯე, ღირდა თუ არა,
იქნებ არ ჰყვავის, როგორც პირიმზე,
იქნება ჭკნობამ ჩამოუარა.

იქნებ გახუნდა გამა ფერების,
დგას უსახური, როგორც ფიქალი,
იქნება რითმას ვერ ვეფერები,
არ დამიმალო, – აქ ვარ, მითხარი!

ალიოზ (შიო) ბათმანაშვილი - სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის წინამძღვარი

(დაბადებიდან 135 წლისთავის გამო)

სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა ფერიქოის სავანემ მრავალი ღირსეული მამულიშვილი მისცა ქართველ ერს. უპირველესად უნდა აღინიშნოს მისი დამფუძნებელი პეტრე ხარისჭირაშვილი და წინამძღვრები: მამა სტეფანე გიორგაძე, მამა ალფონს ხითარიშვილი, მამა ბენედიქტე ვარდიძე (ორგზის წინამძღვარი), მამა პიო ბალიძე (ორგზის წინამძღვარი), მამა შიო (ალიოზ) ბათმანაშვილი, მამა პეტრე ტატალაშვილი. პავლე აკობაშვილი – გამგე სავანისა, მისი უკანასკნელი მკვიდრი და დამცველი, სავანის ქომაგი და მეცენატი, ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე პავლე ზაზაძე. უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ სავანეში აღიზარდნენ ისეთი საზოგადო მოღვაწენი და მეცნიერები, რომელთაც უდიდესი წვლილი შეიტანეს არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში. ესენი იყვნენ: მიხეილ თამარაშვილი – ისტორიკოსი, შალვა ვარდიძე – არაბისტი, ბეირუთის უნივერსიტეტის პროფესორი, პეტრე მერაბიშვილი – ეთიოპიაში მოღვაწე ექიმი, მიქელ თარხნიშვილი – ქართველოლოგი, ემანუელ ვარდიძე, დომინიკე მუღაშაშვილი – ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ რედაქტორი, იოანე (მიხეილ) ანტონაშვილი (ანტონოვი) – სარატოვის სასულიერო სემინარიის რექტორი და სხვანი.

ალიოზ (შიო) ბათმანაშვილი იმ ქართველ კათოლიკეთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებმაც განათლება სტამბოლის ქართველ მამათა სავანეში მიიღეს, სადაც იგი 1896 წელს, თერთმეტი წლის ასაკში, გაემგზავრა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სავანის წინამძღვრებისა და იქ მოღვაწე პირთა მსგავსად დღემდე მონოგრაფიულად შეუსწავლელია ალიოზ ბათმანაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობა. სტამბოლის ქართველ მამათა სავანის არქივ-ფონდსა და ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები, ასევე სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი ალიოზ ბათმანაშვილის – სავანის წინამძღვრისა და საზოგადო მოღვაწის, ცხოვრება-მოღვაწეობის მონოგრაფიული შესწავლის საშუალებას იძლევა.

ალიოზ ბათმანაშვილი სტამბოლში მიავლინა ივანე გვარამაძემ, როგორც თავისი საუკეთესო მოწაფე. ერთ-ერთ წერილში იგი მასწავლებელს სწერდა: *„მადლობას გიძღვნი იმისათვის, რომ ჩემი აქ გამოგზავნა ინებეთ“* (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N2695). როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, ალიოზ ბათმანაშვილი სავანეში ჩასვლიდანვე, აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა, კერძოდ, 1903 წლისთვის მას დამთავრებული ჰქონდა წმინდა ალიოზის სახელობის ე.წ. პატარა სემინარია. იგი ივანე გვარამაძეს სწერდა: *„მგონი უნდა იცოდე, რომ ამ წელს პატარა სემინარია გავათავე და 8 სექტემბერს ღვდლის კაბა ჩავიცვი. ვსწავლობ დიდ სემინარიაში. სულ 21 ვართ სემინარიელი“* (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N2664, 1903 წ.)

წმინდა ალიოზის სემინარიის დასრულების შემდეგ, სავანის წინამძღვარმა მამა ალფონს ხითარიშვილმა იზრუნა მის შემდგომ განათლებაზე. სწორედ ამიტომაც სემინარიის კურსდამთავრებულები მიაბარა კაპუჩინებს. ერთი წლის შემდეგ მამა ალფონსმა თავისი მოწაფეები უკან დააბრუნა და გადაწყვიტა, – სავანეში გაეხსნა სასწავლებელი და მასწავლებლად მიიწვია იტალიაში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან 1911 წლამდე პერიოდი სტამბოლის სავანეში ალიოზ ბათმანაშვილის ცხოვრების პირველი ეტაპია. ეს იყო მისი მოწაფეობის პერიოდი. როგორც მისი ჩანაწერებიდან ჩანს, 1911 წლის სექტემბრიდან მის ცხოვრებაში დაიწყო ახალი პერიოდი, რამდენადაც 25 სექტემბერს მოხდა მისი მღვდლად კურთხევა. იგი მაშინვე აქტიურად ჩაება სავანის ცხოვრებაში, ცდილობდა გონივრულად გამოეყენებინა იქ ყოფნის პერიოდი, სადაც საფუძველი ჩაეყარა მისი, როგორც მომავალი საზოგადო მოღვაწის, აღზრდას. მას სამშობლოშივე ჰყავდა თავისი იდეალი.ეს იყო მისი პირველი მასწავლებელი და ყველასათვის საპატივსაცემო პირი – ივანე გვარამაძე. თავისი მასწავლებლისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ალიოზი მისდამი გაგზავნილ თითქმის ყველა წერილში ამჟღავნებდა. 1907 წელს იგი სწერდა: *„თქვენი ბიოგრაფია წავიკითხე ზაქარია ჭიჭინაძისაგან შედგენილი. ძალიან მომეწონა აღწერილი ცხოვრება. იგი მიმიღია გეგმად ჩემის მოქმედებისა.*

ღვთის სიტყვებთან ერთად მამულის სიყვარულს ვუქადაგებ ჩემს მოსავლელ მრევლს, თუ ღმერთმა ინება ჩემი მღვდლად მოწოდება... თქვენი ნაწერები დია მომწონს... აგრეთვე ძალიან მომწონს თქვენი მოღვაწეობა მწიგნობრობაში და გარდაწყვეტილი მაქვს ამაშიც თქვენ მოგბაძოთ. თქვენსავით დიდის ყურადღებით შევაგროვებ ჩვენი ძველი ცხოვრების ნაშთს. ეს შრომა კიდეც დაწყებული მაქვს. ჩვენი მონასტრის ბიბლიოთეკაში უყურადღებოდ მიყრილნი იყვნენ რამდენიმე ხელნაწერები, მღილთაგან შეჭმულნი და ნოტიობისაგან დაზიანებულნი. ისენი შევაგროვე და სულ გავჩხრიკე. ჯერ-ჯერობით 10 ხელნაწერი მაქვს ხელში. ამათგან ოთხზე თქვენი ხელი აწერია... ძნელად წარმოიდგენთ, რა რიგ ნუგეშია მწირ ქართველისათვის, როდესაც იგი ეღირსება მამაპაპათ დიდებულ ნაშთების ნახვას“.

ალიოზ ბათმანაშვილის წერილებიდან და ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ მას თავისი მასწავლებლის მიმართ მამაშვილური სიყვარული ჰქონდა. *„ახ, რა კარგი იქნებოდა, რომ ხანდისხან ჰაერის გამოსაცვლელად აქეთკენაც გამოივლიდეთ, ძალიან სასიამოვნოდ დაგვრჩება ჩვენ ყველა მოსწავლე ქართველებს“* (ს.ქ.კ.მ.ს.მ.). იგი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული იმით, რომ ივანე გვარამაძეს თავისი ხელნაწერები შეეწირა სავანისათვის, რომელსაც სიამოვნებით განათავსებდნენ *„ევროპულს გემოზედ აშენებულ სახლში.“*

ალიოზ ბათმანაშვილის წერილებიდან და დღიურებიდან ასევე ჩანს მისი დიდი სიყვარული ალფონს ხითარიშვილისადმი, რომლის სავანეში ყოფნის პირველი პერიოდი თითქმის ემთხვევა მის სავანის წინამძღვრობის პერიოდს (1898-1905 წწ). იგი იყო მისი როგორც თანამედროვე, ასევე, როგორც საზოგადო მოღვაწის, შემფასებელიც, ამავე დროს, იმ რვა მოწაფეს შორის, ერთ-ერთი, რომელიც *„გაუწვრთნია მამულის სიყვარულში პატრ ალფონსს.“*

ალიოზ ბათმანაშვილი ივანე გვარამაძეს სწერდა: *„ჩვენი წინანდელი უფროსი პადრე ალფონსი, ღირსად სახსენებელი, გვეუბნებოდა: ამდენი ხანია მონასტერი არსებობს და ერთი მცირედი დახმარება საქართველოს შვილისგან არ მოსვლია და განა მონასტერი ჩვენთვის არის თუ საქართველოს შვილებისთვის. მე თუ პირადად მონასტერში შევდივარ, ეს მხოლოდ მამულის გარდამეტებული სიყვარულით არის, თვარემ ქვეყანაში ცხოვრებისა არ მეშინია. თუ საქმე გაჭირდა, ზურგით ბარგს ვატარებდი და ლუკმა-პურს მოვიშოვნიდი“* (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N3992).

ამ წერილით ქართველ საზოგადოებას შეახსენებდა საქართველოსათვის სტამბოლში არსებული ქართული სავანის მნიშვნელობასა და, ამასთანავე, სავანეში მოღვაწე პირების ქვეყნისათვის თავგანწირვაზე, რომლებმაც სრულიად ბავშვებმა უარი თქვეს საკუთარ მე-ზე და ქვეყნის სამსახურში ჩადგნენ. მათი უმრავლესობა უცხოეთის ცის ქვეშ ცხოვრობდა ისე, რომ არც კი ღირსებიათ სამშობლოს ხილვა და მშობლიური მიწის გულზე დაყრა.

ალიოზ ბათმანაშვილის პიროვნების, როგორც საზოგადო მოღვაწის სრული გააზრებისათვის, ასევე მნიშვნელოვანია მიხეილ თამარაშვილისადმი მისი დამოკიდებულების წარმოჩენა, რაც კარგადაა ასახული მისდამი მიწერილ წერილებსა თუ დღიურებში. მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ თამარაშვილი გაცილებით უფროსი იყო მასზე, ამას ხელი არ შეუშლია მათი თანამშრომლობისა და მეგობრობისათვის. ისინი ხომ ახლო ნათესავები იყვნენ: ალიოზის და გაიანე იყო მიხეილის



ი.მ.ი. წ. 1898 სექტემბრის 14. ფ-ნომერ 2 N 508

საყვარელნო შმობელნო ჩემნო.

მრავალის მოკითხვას მოგახსენებ ლ ფსიხოვ ყოველის შემძლოებელ ღმერთის თქვენს კეთილ-ბედნიერ სიცოცხლისა სასახელოდ ლ სანუგეშოთ ჩემდა.

საყვარელნო შმობელნო აღფექსანდრეი ძალიან კარგა არის ლ აგრეთვე მეც ფუხალათეარ, ჩვენი ლაარი ნუ გეშინოთ ნუთას დარეს, სადა ბევრი შეგაწუხონ გაგაგიძღოთ კოდალი ბევრი შეიცყო, სადგან ბევრის ლაშქარა არ შემიძლია ეფერკეფერობით ლ ბოლოს არა მაქვს. არ ლამიშეფერეთ ხალოშე საყვარელნო შმობელნო, მაცნობეთ ხალოშე ლაწერილებით თქვენი ამბავი.

მოკითხვა მოახსენეთ ჩემ მაგიერ ყოველნას ვინც მიკითხავს.

მარადის თქვენი კეთილის მომსურნე

ალიოზ ბათმანაშვილი

ე.ი. ალიოზი იყო მიხეილის ბიძა. როგორც ჩანს, ეს ნათესაური სიახლოვე უფლებას აძლევდა ალიოზს, რომ, როცა სულიერად გაუჭირდებოდა, გულს თავის დისშვილთან იოხებდა. კონსტანტინეპოლში მყოფი ხშირად ეხმიანებოდა რომში მყოფ მიხეილს. აცნობებდა სავანის მდგომარეობას, ხშირად აზრსაც ეკითხებოდა.

მამა ალიოზმა, სხვა მოღვაწეებთან ერთად, დიდი წვლილი შეიტანა 1909 წელს სავანეში დაარსებულ აკაკის სახელობის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსებაში. ბიბლიოთეკის ფუნქციონირებაზე მას სწორი აზრი ჰქონდა. მიაჩნდა, რომ ეს ბიბლიოთეკა დიდ სამსახურს გაუწევდა როგორც სტამბოლელ, ისე საქართველოში მცხოვრებ ქართველებსაც, რამდენადაც ბევრ ქართველს უწევდა მამულის დატოვება და, გარკვეული დროით, სტამბოლში გაჩერება. მათთვის დიდი შემწეობა იყო ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება ხდებოდა ძირითადად შემოწირულობის გზით. როგორც სავანეში მოძიებული მასალებიდან ჩანს, ალიოზ ბათმანაშვილი საქართველოში არა მარტო უკავშირდებოდა იმ ადამიანებს და სთხოვდა ბიბლიოთეკისათვის საჭირო წიგნებს, არამედ საგაზეთო კორესპონდენციებით მადლობას მოახსენებდა დახმარებისათვის. სავანეში დაცულია მამა ალიოზის მრავალი წერილი. ერთ-ერთი წერილში ალიოზ ბათმანაშვილი საუბრობს მეტად საინტერესო საკითხზე. კერძოდ, იმაზე, რომ აღნიშნული ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ სტამბოლში მცხოვრები ქართველი მუსულმანები: „ქართველი მუსულმანები უკვე გამოფხიზლდნენ და ყველას სურს შეისწავლოს დედა ენაზე წერა-კითხვა და საუბარი. მრავალნი უკვე ცალკე გაკვეთილებზე დაიარებიან ცხონებულ პ. ანდრეას სასწავლებელში“ *(ს.ქ.კ.მ.ს.მ ალიოზ ბათმანაშვილის წერილი რედაქტორისადმი).* აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ენის შესწავლის მსურველთ სავანეში მოღვაწენი უფასოდ ასწავლიდნენ და ასევე უფასოდ აძლევდნენ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ I ნაწილს, რაც მათ დიდ განცვიფრებას იწვევდა. რამდენადაც მრავალნი იყვნენ მსურველნი ქართული ენის შესწავლისა, მამა ალიოზი სილოვან ხუნდაძეს სთხოვდა მის მიერ შედგენილ ქართული ენის გრამატიკას და სხვა სახელმძღვანელოებს.

1911 წლიდან ალიოზ ბათმანაშვილის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი რამ მოხდა. იგი 25 სექტემბერს სტამბოლის ქართველ მამათა სავანეში ქართული რიტით მღვდლად ეკურთხა. მის ჩანაწერში ვკითხულობთ: „28 სექტემბერი. მშობლებს: ჩემი მღვდლად კურთხევა. ნუ კი იდარდებთ, რომ მანდ არ ვარ... 25 სექტემბერს ვეკურთხე. დიდებით წირვა ვთქვი“ *(ს.ქ.კ.მ.ს.მ ალიოზ ბათმანაშვილის ჩანაწერები).* მღვდლად კურთხევა იყო მისი სტამბოლში გამგზავრების მიზანი, რასაც დიდი გარჯითა და ბეჯითი სწავლით მიაღწია. სტამბოლში ყოფნის ხანგრძლივი და უმძიმესი პერიოდი – 1896-1911 წლები, მიზნის ასრულებით დასრულდა. მამა ალიოზი, ჯერ კიდევ 1907 წელს, ივანე გვარამაძეს სწერდა, რომ მღვდლად კურთხევის შემდეგ საქართველოში დაბრუნდებოდა რომ „თავი სამშობლოსათვის დამედვა“. მას კარგად მოეხსენებოდა, საქართველოში რაოდენ დიდი საჭიროება იყო კათოლიკე მღვდლებისა და, მით უმეტეს, ქართულ რიტზე მყოფი მღვდლისა *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N3992, ალიოზ ბათმანაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი).*

როგორც მოძიებული მასალებიდან ირკვევა, ალიოზ ბათმანაშვილმა თავისი მოწოდება აისრულა და 1911 წლის ბოლოს იგი უკვე სამშობლოში დაბრუნდა, თავდაპირველად მსახურობდა ქუთაისში, ცოტა მოგვიანებით იყო ახალციხის მრევლის წინამძღვარი. როგორც სასულიერო პირი – მღვდელი, აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მას კარგად ესმოდა, რომ სახელმწიფოებრიობისა და ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, ქართველი კათოლიკეებისთვის ქართული რიტის მოპოვება დამოკიდებული იყო ეროვნული ძალების გაერთიანებაზე. მათ შორის საქართველოში მცხოვრები და საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი კათოლიკეების ერთობაზე. აქედან გამომდინარე იყო, რომ ალიოზი ყოველთვის ინარჩუნებდა კავშირს სტამბოლის მამათა სავანესთან, რამდენადაც სწორედ ეს სავანე იყო ქართველ კათოლიკეთა და მესხ განმანათლებელთა ერთ-ერთი კერა. 1912-1921 წლებში იგი რამდენჯერმე ჩავიდა კონსტანტინეპოლში. უნდა აღინიშნოს, რომ

→

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მესხური განმანათლებლობის ორი მძლავრი კერა ფუნქციონირებდა. მესხური განმანათლებლობის მისიას ამ კუთხეში მცხოვრები სარწმუნეობრივად გათიშული ქართველი მოსახლეობის ეროვნული გადაგვარების თავიდან აცილება, მათი კულტურული დაწინაურება, განათლების გავრცელება და ეროვნული წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების შენარჩუნება-დაცვა წარმოადგენდა. მესხ განამანათლებელთა სამოღვაწეო ასპარეზი იყო სამცხე-ჯავახეთი და კონსტანტინეპოლი.კონსტანტინეპოლის კერას საფუძველი პეტრე ხარისჭირაშვილმა ჩაუყარა, სამცხე-ჯავახეთში მესხი განმანათლებლები უშუალოდ ივანე გვარამაძის გარშემო იყვნენ შეკრებილნი.. *(ნ. ყრუაშვილი, ივანე გვრამაძის როლი მესხურ განმანათლებლობაში, თბ. 2008, გვ.20).* საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სტამბოლის მამათა სავანეში მოღვაწე პირთა დიდი უმრავლესობა მესხეთიდან იყო.

მამა ალიოზ ბათმანაშვილის სამშობლოში (1912-1922წწ.) მოღვაწეობის შესწავლის საშუალებას იძლევა სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული მასალები, ასევე იმ პერიოდის ქართული პერიოდიკაც. იგი ივანე გვარამაძის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ კუთხეში და მისი საქმის ერთ-ერთი გამგრძელებელი გახდა. ანუ ყველაფერს აკეთებდა, რომ დაეცვა ქართველი კათოლიკე მრევლი, მათი ინტერესების დამცველი იყო ყველგან: ეკლესიაშიც და მის გარეთაც, რამდენადაც მის მიერ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს ეროვნულობა ედო საფუძვლად. იგი ერთ-ერთი პირველი მღვდელთაგანი იყო, რომელიც წინ აღუდგა ეკლესიაში გაბატონებულ წესს: საეკლესიო დავთრებში ქართული გვარების დამახინჯებით შეტანას. მას დავთრებში ახალდაბადებულთა, დაქორწინებულთა და გარდაცვლილთა გვარი სწორად – ქართულად შეჰქონდა.

მშობლიურ კუთხეში დაბრუნებული მამა ალიოზ ბათმანაშილი მღვდლად გამწესდა ახალციხეში – პატრებიანთ ეკლესიაში, სადაც გარკვეული დროით მოღვაწეობდა წა. ჯვრის ეკლესიაში. 1920 წლის მდგომარეობით იგი წა. სავარდის ეკლესიაში მსახურობდა. უნდა ითქვას რომ მამა ალიოზის სამოღვაწეო ასპარეზი მხოლოდ ეკლესია არ იყო. იგი აქტიურ საზოგადოებრივ-საქველმოქმედო საქმიანობითაც იყო ცნობილი. 1918 წლის მდგომარეობით ალიოზ ბათმანაშვილი რაბათის საქველმოქმედო საზოგადოების ქართული სახალხო სკოლის გამგეობის თავმჯდომარე იყო. იგი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა ახალციხის გიმნაზიაში, სადაც ასწავლიდა საღმრთო ისტორიასა და ლოცვებს.

ალიოზ ბათმანაშვილს სამშობლოში მოღვაწეობა მეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მოუწია. ეს პირველი მსოფლიო ომის პერიოდია და არანაკლებ რთული მდგომარეობა შეიქმნა სამცხე-ჯავახეთში მის შემდგომ წლებშიც. როგორც მოძიებული მასალებიდან ირკვევა, იგი აქტიურად იყო ჩართული კუთხის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კერძოდ, ერთ-ერთი ინიციატორი და მონაწილეა 1918 წლის 9 აპრილს ახალციხეში შექმნილი „ქრისტიან ბავშვთა კავშირისა“, სადაც იგი ამ კავშირის მეთვალყურეა და მისი ერთ-ერთი მიზანი გლახაკების დახმარებაა, რასაც ახერხებდა სოფლად – გლეხებისაგან სანოვაგის შეგროვებას და მათთვის გადაცემას. როგორც ჩანს, სანამ დასახელებული კავშირი ქმედით ღონისძიებებს განახორციელებდა, მოსახლეობას წინასწარ მიმართა თხოვნით თანამშრომლობისათვის *(ს.ჯ.ი.მ. დ/ფ. N70, ქრისტიან ბავშვთა კავშირი).* ალიოზ ბათმანაშვილმა შალვა ვარდიძესთან (სტამბოლის ქართული მონასატრის გამგე და წარმომადგენელი) შეადგინა პროექტი, რომელიც განსახილველად გადაეცა კომიტეტს. პროექტში ყურადღება გამახვილებული იყო შემდეგ საკითხებზე: შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მრევლს სურსათი ექვსი თვის განმავლობაში უნდა შეეძინა ფასდაკლებით. კომიტეტის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო ერთი ექიმი, რომელიც მიხედავდა ავადმყოფებს და მოამარაგებდა წამლებით. უნდა შემდგარიყო უსახლკაროდ დარჩენილი ქართველი გლეხების სია, რომელთაც გადაეცემოდათ „ექვსი თვის საცხოვრისი სამეურნეო იარაღითურთ.“ ასევე უნდა მოქცეოდნენ იმ ქართველ მაჰმადიანებს, რომლებსაც არ დაუტოვებიათ თავიანთი სოფლები. კომიტეტს უნდა ეზრუნა გლეხების საკუთარ მიწაზე დაბრუნებაზე გადამწვარი სოფლების აშენების შემდეგ.. *(ს.ჯ.ი.მ. დ/ფ. N70, პროექტი შედგენილია ალ. ბათმანაშვილისა და შ. ვარდიძის მიერ).*

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში თბილისის ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მიერ ბავშვთა თავშესაფარი იქნა დაარსებული ქალაქ ახალციხეში. ადგილობრივი ინტელიგენცია ამ ამბავს მოწონებით შეხვდა. ბავშვთა თავშესაფარი ერთგვარი სკოლა-ინტერნატი იყო, სადაც განთავსებულნი იყვნენ საომარი მოქმედების ზონიდან გამოყვანილი ქართველ მაჰმადიანთა ობლად დარჩენილი ბავშვები. თავშესაფარს მზრუნველობას უწევდა ზაქარია დიდიმამიშვილის მიერ დაარსებული კოოპერატივი „მესხეთი“. დაობლებულ მაჰმადიან ქართველ ბავშვებს ქართულ ენაზე ასწავლიდა პატრი ალიოზ ბათმანაშვილი იქამდე, სანამ 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის ხელშეკრულებით თავშესაფარი მოიშალა და აღსაზრდელები ოსმალებმა თურქეთში წაიყვანეს.

XX საუკუნის დასაწყისში, რევოლუციის დამარცხების შემდგომ, ქართული ტიპიკონისათვის ბრძოლა კვლავ ახალი ძალით განახლდა. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით დიდი ინტერესითა და მონდომებით ჩაერთო ახალგაზრდობა. მამა ალიოზი, როგორც ახალგაზრდა თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი,



–შალვა ვარდიძე, ალიოზ ბათმანაშვილი და პეტრე ტატალაშვილი სტამბოლელ ქართველებთან

პროგრესულად აზროვნებდა და ღიად ემხრობოდა ქართული კათოლიკური ეკლესიის ბრძოლას ქართული ტიპიკონის მოპოვებისათვის. ალიოზმა ქუთაისში ქართულად იქადაგა,

როგორც მამა ალიოზის საარქივო მასალებიდან ჩანს ის არ უშინდებოდა წინააღმდეგობებს. ოპტიმისტურად იყო განწყობილი და მიაჩნდა, რომ ქართველი კათოლიკენი აუცილებლად მოიპოვებდნენ ქართულ ტიპიკონს. იგი მამა პიო ბალიძეს ერთ-ერთ წერილში სწერდა: „თუ დღეს არა, ხვალ მაინც ქართული ტიპიკონი გამეფდება ჩვენში. ეს აუცილებლად მოხდება. Aამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ აუცილებლობად მიაჩნდა მოსახლეობის მომზადება და სავარდის ძმობის ჩამოყალიბება: „კათოლიკობა მაშინ აღყვავდება თუ ეს ძმობა გაცხოველდა. მაშინ ძმადებს გავაცნობ ქართულ ტიპიკონს. ეს არც ძალიან გაგრძელდება. ამ წელსვე შეიძლება მოეწყოს.“ (ს.ქ.კ.მ.ს.მ ალიოზ ბათმანაშვილის წერილი პიო ბალიძისადმი)

1922 წლის დასაწყისში სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანეში წინამძღვრის მორიგი არჩევნები ჩატარდა. წინამძღვრად არჩეულ იქნა ალიოზ (შიო) ბათმანიშვილი – მამა ალფონს ხითარიშვილის კიდევ ერთ-ერთი მოწაფე. ამდენად, მამა ალიოზ ბათმანაშვილის ცხოვრებაში 1922 წლიდან ახალი პერიოდი დაიწყო. მას კვლავ მოუხდა სამშობლოს დატოვება და სტამბოლში გამგზავრება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მამა ალიოზმა სტამბოლში გამგზავრების წინ მოითხოვა საკმაოდ დიდი რაოდენობის წიგნების გატანის უფლება. იგი ერთ-ერთი იმათთგანი იყო, რომელიც აქტიურად იღწვოდა სავანეში აკაკის სახელობის ბიბლიოთეკის დაარსებისათვის და ზრუნავდა მისი წიგნადი ფონდის გამდიდრებისათვის. წიგნებთან ერთად ასევე მოითხოვა 70-მდე გაზეთის: კომუნისტის, ტრიბუნის, მუშის – წაღების უფლებაც. მათი საერთო რაოდენობა რამდენიმე ათეულს შეადგენდა და დიდი შენაძენი იყო სავანისათვის.

მამა ალიოზ ბათმანაშვილის წინამძღვრობის დასაწყისი დაემთხვა საქართველოში ახალი – სოციალისტური ხელისუფლების დამყარებას. 1921 წლის თებერვალში წითელი არმიამ მოახდინა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ოკუპაცია. საქართველოს ეროვნული მთავრობა იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა და საზღვარგარეთ გაეგზავნა. მთავრობა სამი თვის განმავლობაში თურქეთში იმყოფებოდა. მთავრობას გაჰყვა ინტელიგენციის (მეცნიერების, მწერლების) დიდი ნაწილი. ისინი ფიქრობდნენ რომ საფრანგეთში დროებით დამკვიდრდებოდნენ, იქიდან ევროპული სახელმწიფოების დახმარებით გაარძელებდნენ ბრძოლას დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

თურქეთში – სტამბოლში მყოფ ეროვნულ მთავრობას საცხოვრებლითა და ყველა საჭიროებით დახმარება გაუწია ქართულმა სავანემ. მთავრობის წევრებმა მაშინღა შეძლეს სავანის მამათა გაცნობა და მათი ღვაწლის შეფასება. მამა ალიოზის დღიურებში ბევრი საინტერსო ცნობაა შემონახული. „ვინახულე მინისტრი ერაძე და ვ. ჯუღელი – დანარჩენი ქართველებით მასთან რომ დგანან. ჯუღელის დაკვირვებით კათოლიკე სამღვდელოება ბევრათ მაღლა დგას მართლმადიდებლობასთან შედარებით. სინანულს გამოსთქვამს რომ არ ვიცნობდით თავის დროზე ამ მონასტერს, რომელმაც ეგოდენი დაგვავალა გაჭირვების დროსო.“ (ს.ქ.კ.მ.ს.მ, დღიური უმფროსისა. ალიოზ ბათმანაშვილი)

მამა ალიოზის დღიურებიდან კარგად ჩანს, რომ თურქეთში და ევროპაში მყოფი ემიგრანტი ქართველების თავშესაყარი სტამბოლის მამათა სავენე იყო და ამასთანავე, სავანეში მოღვაწენი ცდილობდნენ აქტიურად ჩართულიყვნენ პოლიტიკურ საქმეებში. 1923 წლის 19 მაისს მამა ალიოზი წერს: „სავანეში იყვნენ სპ. კედია და შ. ქარუმიძე. მთხოვეს იმათთან ერთად სათავეში ჩავდგომოდი საქართველოს განთავისუფლების საკითხს. მთელი მოძრაობის ფარული წინამძღვრები ვიქნებითო. პასუხად გავეცი, რომ ჩვენი კანონი გვიკრძალავს პირდაპირ პოლიტიკაში ჩარევას, რომ ესრეთ უფრო თვალსაჩინო სამსახურს მივაგებთ სამშობლოს.“ (ს.ქ.კ.მ.ს.მ ალიოზ ბათმანაშვილის დღიური, 1923წ.) მართალია საეკლესიო კანონის მიხედვით სასულიერო პირებს აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა ეკრძალებოდათ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ თავიანთი უფლებებისა და შეხედულებების ფარგლებში არ იყვნენ ჩართული მიმდინარე მოვლენებში. ამას ადასტურებს მათი თანამშრომლობა და ხშირი შეხვედრები ემიგრანტ ქართველებთან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წლების განამავლობაში სავანეში აღინიშნებოდა 26 მაისი. 1923 წლის 26 მაისს აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. წირვა ჩატარდა ჩუმი, ქართული გალობით, იქადაგა სავანის წინამძღვარმა მამა ალიოზმა. „სიტყვა წარმოსთქვა მ. გვარჯალაძემ. მან დაჰგმო ბოლშევიკური მიმართულება და აღნიშნა ევროპელთა სიმპატია ჩვენი საკითხისადმი.“ სიტყვა წარმოუთქვამთ აგრეთვე ოფიცერ წულუკიძეს და სპ. კედიას.

სტამბოლის ქართულ სავანეში მამა ალიოზის წინამძღვრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. სამშობლოში დაბრუნებულს ბოლშევიკური მთავრობა სასტიკად გაუსწორდა: 1927 წლის 16 ოქტომბერს იგი თბილისში დაატიმრეს. 1928 წლის 16 იანვარს რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე და 58-ე მუხლების შესაბამისად მიესაჯა ათი წლით პატიმრობა „ამინისტიის გამოყენების გარეშე“. გადასახლებულ იქნა სოლოვეცკის განსაკუთრებული დანიშნულების ბანაკში. 1930 წელს იგი გადაიყვანეს კუნძულ ანზერზე, სადაც 1932 წლის 5 ივლისს დაპატიმრებულ იქნა კათოლიკური სასულიერო პირების ჯგუფურ საქმეზე, რომელთაც ბრალდებოდათ „ანტისაბჭოთა დაჯგუფების შექმნა, რომელიც აწარმოებდა ანტისაბჭოთა აგიტაციას. გამოძიებამ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს „სასჯელის მოხდის ბოლომდე მისი განცალკევებით დატოვების თაობაზე“. 1937 წელს გადაიყვანეს ციხის რეჟიმზე. მას ბრალი ედებოდა იმაში, რომ „სოლოვკაში ყოფნის დროს, იგი შედიოდა როგორც აქტიური წევრი მღვდლების კონტრრევოლუციურ ჯგუფში, ავლენდა ანტისაბჭოთა განწყობას, ყაზარმებში ეწეოდა ღვთისმსახურებას, სისტემატურად გამოდიოდა მღვდლების წინაშე კონტრრევოლუციური სიტყვით“. 1937 წლის 14 ოქტომბერს ლენინგრადის ოლქის სახკომ საბჭოს მიერ მას მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა. იმავე წლის 1 ნოემბერს იგი დახვრიტეს სანდორმოხის გზაზე მედვეჟეგორსკოლთან. „საბრალმდებლო დასკვნიდან“, რომელიც შიო ბათმანაშვილს წაუყენეს 1937 წლის 11 ოქტომბერს, მოვიყვანთ ამონარიდს: „ქალაქ კონსტანტინეპოლის უბიწოდ ჩასახვის სახელობის ქართულ-კათოლიკურ მამათა მონასტრიდან წინამძღვრად ყოფნის პერიოდში, თავს უფლება მისცა მონასტრის საკუთრებაში მყოფ შენობებში, რომლებიც განთავსებულია ზემოთაღნიშნული მონასტრის ტერიტორიაზე, შეეკრიბა ქართული კონტრრევოლუციური ემიგრაცია, რომელიც გამოაძევეს სამშობლოდან გასაბჭოების დროს 1921 წელს. ემიგრანტები მონასტერში დარჩნენ 1923 წლის ჩათვლით. იმ შენობების გარდა, რომელიც ემიგრანტებს გადასცეს საცხოვრებლად, მონასტრის ადმინისტრაციამ რამდენიმე წლის განმავლობაში, ანტისაბჭოთა ორგანიზაციას ასევე გადასცა მონასტრის საკუთრებაში მყოფი სტამბა, რომელსაც ისინი იყენებდნენ ანტისაბჭოთა ბროშურების, გაზეთებისა და სხვა მასალის დასაბეჭდად, რაც მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად და დისკრეტიზაციისათვის. კითხვაზე – აღიარებს თუ არა მოქალაქე ბათმანაშვილი, რომ სტამბის ემიგრანტებისათვის გადაცემა იყო პოლიტიკური შეცდომა, ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ემიგრანტებისათვის სტამბის გადაცემას „პოლიტიკურ შეცდომად არ მიიჩნევდა“. (შიო გიორგის ძე ბათმანაშვილი, ენციკლოპედია) მამა შიო ბათმანაშვილი ერთ-ერთი მათგანი იყო, რომელიც შეიწირა კომუნისტურმა რეჟიმმა. ციმბირში ასევე გადაასახლეს სტამბოლის მონასტერში აღზრდილი მღვდლები: კონსტანტინე საფარაშვილი, ემანუელ ვარდიძე, ანდრია აფრიამაშვილი და სხვები. მათ თავისუფალ საქართველოში დაბრუნება სიცოცხლის ფასად დაუჯდათ.

ამრიგად, ალიოზ (შიო) ბათმანაშვილი XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე ერთ-ერთი ღირსეული საზოგადო მოღვაწე იყო, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთგულად ემსახურა ქართველი ხალხის განათლებასა და კულტურულ დაწინაურებას. კომუნისტური რეჟიმის პირობებშიც კი მათი რელიგიური რწმენის შენარჩუნებაზე ზრუნავდა. იყო სტამბოლის ქართული სავანის ღირსეული წინამძღვარი. ქართველ კათოლიკეთა მოძღვარი, ქომაგი და დამცველი. მისი მოღვაწეობა დღემდე უცნობია ფართო საზოგადოებისათვის, ქართულ პრესაში და სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არაფერი თქმულა. თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით იმსახურებს, რომ მას იცნობდეს ქართველი საზოგადოება. წინამდებარე სტატიით გვინდა პატივი მივაგოთ ღირსეულ ქართველ მამულიშვილს. მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს დაბადებიდან ასოცდათხუთმეტი წლისთავი შეუსრულდება. ვიტოვებთ იმედს, რომ მამა ალიოზის საიუბილეოდ, მის შესახებ გამოვცემთ ვრცელ მონოგრაფიას. და, ეს ნაშრომიც იქნება ერთ-ერთი „შესაფერისი ეპითეტი“ სამშობლოსათვის თავგანწირული მამულიშვილების ცხოვრება-მოღვაწეობისა.

ნატო ყრუაშვილი

დახვრეტამისჯილი პერსონაჟი

გიორგი ოზანელი

დიდი ნაკითხობით თავს ვერ მოვიწონებ, მაგრამ უცხოს მთლად უწიგნურიც ნუ ვეგონები. ალბათ, დამეთანხმებიან: ჩემი ასაკის (1942 წ.), განათლების (თსუ, ისტორიის ფაკულტეტი), საქმიანობის (მწერალი), ერთ-ერთი გატაცების (კითხვა) კვალობაზე ცოტა რამ მაინც მექნება წაკითხული!

რისთვის დამჭირდა ამგვარი შესავალი? აი, რისთვის: მხატვრული ლიტერატურის მსოფლიო საგანძურიდან ქართულ და რუსულ ენებზე „ზოგი რამ“ მეც წამიკითხავს, იქ რაღანაირ ამაზრზენ პერსონაჟებს არ გადავყრილვარ, მაგრამ ასეთი რამ ჯერ არასოდეს დამმართვია, რაც 2018 წლის 23 თებერვლის „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული კუკური ბუხრაშვილის მოთხრობის, „ჭოპორტის პამიდვრები“ წაკითხვისთანავე დამემართა. უსაზღვროდ აღშფოთებულმა ჩემმა მწერლურმა წარმომსახველობამ პერსონაჟ მამაკაცს იმავწამიერად გამოუტანა სასჯელის უმაღლესი ზომა – ადგილზევე დახვრეტა!!!

სუსტნერვებიანები თავს ტყუილუბრალოდ ნუ აიღელვებენ, რადგან განაჩენი სისრულეში მოყვანილი არ არის და, ცხადია, ვერც ვერასოდეს მოვიყვან, ვინაიდან ეს მხოლოდ პირობითი ლიტერატურულ-კრიტიკული თამაშია! მაგრამ საკითხს ზერელედაც ნუ მიუდგებიან – აქ ქართველი მამაკაცის, მთელი ჩვენი საზოგადოების ზნეობის დღევანდელ სურათსა და მომავალთან გვექნება საქმე! თუმც მე ვერც ერთ ლიტერატურულ ადვოკატს ვერ ავუკრძალავ, რათა ჩემ მიერ დახვრეტამისჯილ პერსონაჟს განაჩენი შეუმსუბუქონ ან, თუგინდ, სულაც, გაუუქმონ, ანდა, წარბაკვრით მკაცრად მიმანიშნოს ლიტერატურული დუელის ბარიერი, სადაც, ალბათ, ერთიღა გადარჩება მორალურად „ცოცხალი!"

რაკი ჩემი ავტორიტეტი საკმარისად არ მიმაჩნია, „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორს, ბ-ნ ავთანდილ ბერიძეს მკითხველი საზოგადოების სახელით უმორჩილესად ვთხოვ, კ. ბუხრაშვილის ეს მცირე ტექსტი შეუმოკლებლად დაბეჭდოს, ვინაიდან მკითხველები ყველაფერს უშუალოდ პირველწყაროდან შეიტყობენ და მეც ძალიან ცოტაღა დამრჩება სალაპარაკო. ამით კი ყველა მოიგებს: გაზეთიც, მკითხველიც, განაწამები ავტორიც! ბარემ, აქვე დავამატებ: ადგილის დაზოგვის მიზნით ტექსტში გაპარულ სხვადასხვა ყაიდის შეცდომებს არ შევეხები, სათაურისადმი გაჩუმებას კი ვერ ვახერხებ!

რას ჰქვია „ჭოპორტის პამიდვრები?!“ განა ვამბობთ, გორის ვაშლები, თიანეთის ლობიოები, ბულგარეთის წიწაკები, კოლხეთის ხოხბები?!.. სწორია: ჭოპორტული პომიდორი, გორული ვაშლი, თიანეთური ლობიო, ბულგარული წიწაკა, კოლხური ხოხობი და ა.შ.

მაშ, ასე: აი, კუკური ბუხრაშვილის მოთხრობის სრული ტექსტი:

ჭოპორტის პამიდვრები

ერთ შაბათ დღეს აგარაკისკენ მიმავალმა მცხეთის ბაზარში შევიარე. შაბათობით კარგი ბაზარი იცის. სულ რომ არაფერი მინდოდეს, მაინც მეხალისება თვალის გადავლება. რას არ ნახავ აქ. განსაკუთრებით ამ დროს, როდესაც თითქმის ყველა ხილი და ბოსტნეული შემოსულია. ავიარე და ჩავიარე რიგები. ჭყინტი სიმინდი და შავგულა მსხალი დავიგულე, კიდევ ვათვალიერებ და უეცრად თვალი პომიდვრებით სავსე კალათასთან მდგომ გოგოზე მიშტერდება. მაღალი, აშოლტილი გოგოა, მოწითალო თმა აქვს, შუბლზე დაფენილი, თეთრ სახეს ჭორფლი მოსდებია. ცისფერი უმკლავებო კაბა აცვია, გულ-მკერდზე და თეძოებზე შემოტმასნილი. დგას და მყიდველს ელოდება. ახლა პამიდვრებს არ იკითხავთ? – ყიდვაც რომ არ გინდოდეს, ძალით გაყიდინებს თავს.

– სადაურია შენი პამიდორი? – ვეკითხები.

– ჭოპორტულია, – დაუყოვნებლივ მპასუხობს.

– ჭოპორტული პამიდორი განთქმულია. ახლა ყველა ჭოპორტულს გაიძახის,

– ვუთხარი მე.

– ტყუილს რათ ვიტყვი, ზედ არ ეტყობა?

– კი, ეტყობა, კარგი პამიდორია. როგორ ყიდი?

– ორ ლარად, – მითხრა და ამათვალიერ-ჩამათვალიერა. აინტერესებს, მყიდველი ვარ თუ არა.

– ცოტას არ დააკლებ?

– არა, ეგრე უნა გავყიდო.

– რამდენი კილოა?

– სულ გინდა?

– ხო, მთელი კალათა.

– სახლში ავწონე, ათ კილოზე ცოტათი მეტია.

– როგორ წავიღო, თან არაფერი მაქვს.

– პარკები იყიდე, შვილო, – მეუბნება იქვე ახლოს დაბალ სკამზე მჯდომი მოხუცი ქალი, რომელსაც წინ ტომსიკით გურულა ლობიო და კვერცხებიანი კალათა უდგას.

– პარკებში დაიჭყლიტება, – ვეუბნები.

– რა დაჭყლეტს, ვაშლივით არის.

გოგოს თვალს ვერ ვაშორებ. რად მინდა პამიდორი, ჩემი სამყოფი მეც მომდის, თავში მაცდური აზრი მიტრიალებს.

– მანქანამდე მიმატანინე, – ვეუბნები.

– სად არის მანქანა?

– აქვე, შემოსასვლელთან.

გოგო დაფიქრდა, ვატყობ, ჩემი ნათქვამი არ მოეწონა.

– რა გქვია? – ვეკითხები.

– ანანო, – პატარა დაფიქრების შემდეგ მეუბნება.

– იცი რა, ანანო, შენ აქედან მოკიდე კალათს ხელი, მე მეორე მხრიდან და გავიტანოთ.

– ერთ კალათს ორი ადამიანი რათ უნდა, შენც კარგად მოერევი, გაიტანე და კალათი დამიბრუნე.

– რათა, შვილო, გაჰყევი შენცა, – ეუბნება მოხუცი ქალი.

ანანო დაფიქრდა. მერე კალათს დაავლო ხელი.

– მომიკიდე, – მითხრა.

– აკი, ორი ხელი არ უნდაო?

– მოკიდე, მოკიდე.

კალათი მანქანამდე მივიტნეთ. საბარგული გავხსენი და კალათი შევდგი.

– რას აკეთებ? – მკვახეთ მეკითხება.

– აქვე ვარ, ბარემ სახლამდე მიმატანინე, მერე შენც სახლში წახვალ.

– სადა ცხოვრობ?

– აქვე, ახლოს.

მანქანის უკანა კარი გამოვაღე.

– დაჯექი, – ვუთხარი.

– ფული გადამიხადე.

– რა იყო, არ მენდობი?

საფულე გავხსენი, ოცლარიანი ამოვიღე.

უხმოდ გამომართვა. დახედა და მითხრა:

– შებრუნდი იქით.

– რათა?

– ფული უნდა შევინახო.

შევბრუნდი, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მკლავს. რომ შემოვბრუნდე, ვითომ რას იზამს?

ანანომ ფული მოკუჭა და აკოკრებულ, ვარდისფერ ძუძუებს შუა ჩაიჩურთა. ისევ შევბრუნდი, ვითომც არ დამენახოს.

– შემობრუნდი, – მითხრა.

– ფული რა უყავი? – ვკითხე.

– შევინახე.

– სად შეინახე, საფულე შენ არა გაქვს და...

– რა შენი საქმეა.

– სუპერმარკეტთან რომ გავივლით, საფულეს გიყიდი საჩუქრად.

– არ მჭირდება შენი საჩუქარი, სახლში ჩემიცა მაქვს.

– მერე, რატომ არ წამოიღე?

– მანქანა მაჩქარებდა, კინაღამ გამომასწრო.

მთავარ გზაზე გავედით და სიჩქარეს მოვუმატე.

– რა გიჟივით მიარბენინებ, ცოტა ნელა წადი.

მცხეთას რომ გავცდით, ანანო ამიჯანყდა.

– აკი, ახლოს ვცხოვრობო, სად მიერეკები?

– აქ ყველაფერი ახლოა.

ვატყობ, ცოტა ნაწყენია.

– სახლში ვინ გყავს ანანო? – ვეკითხები, მინდა ლაპარაკით გავართო.

– ბებია, – მეუბნება უხალისოდ.

– მარტო ბებია?

– ხო, მამა არა მყავს, დედა საბერძნეთშია.

მთავარი გზიდან გადავუხვიე.

– ნატახტარში ნაცხოვრებხარ, – მითხრა.

– ხო, – ვუთხარი.

– სახლში ვინა გყავს?

– ცოლი და სამი შვილი.

ჩემი სახლი არაგვის მხარეს სულ ბოლოშია. ერთი მეზობლის მეტი არავინა მყავს. რკინის კართან ვაჩერებ მანქანას. გადმოვდივარ, დაკეტილ კარს გასაღებით ვაღებ.

ანანო მანქანიდან მიყვირის.

– ცოლ-შვილი ჩაკეტილში გყავს?

– ხო, ბავშვები რომ არ გამოექცნენ.

გგონია, იჯერებს? არ იჯერებს, მაგრამ, არც ის იცის, რა გააკეთოს.

საბარგულს ვხსნი, კალათი გადმომაქვს. ეზოში მაგიდა მიდგას. კალათს ზედ ვდგამ. რამდენიმე პამიდორსაც მაგიდაზე ვაწყობ.

– ზევიდან კარგები დაგილაგებია, ქვეშ სულ წვრილები და დამპლებია, – ვეუბნები.

– რაებს ამბობ, გაცალე და ნახავ.

– მოდი, ნახე, თუ არ გჯერა, – ვეუბნები. მინდა ეზოში შემოვიტყუო.

– მე არ ვიცი, რა ჩავაწყვე?

– იქნებ, ბებიაშენმა შეცვალა?

– რა სისულელეს ამბობ, ბებიაჩემი ეგეთი ქალი არ არი.

– გადმოდი და შენი თვალით ნახე.

გადმოვიდა.

– ეს არი წვრილები და დამპლები? განა ვერ ვხვდები შენ ეშმაკობას?

თვალებში ჩამოშლილ თმას სულის შებერვით ისწორებს.

– გაცალე კალათი და გზაზე გამიყვანე.

ალუბლის ხის ქვეშ დადგმულ მერხზე ვუთითებ.

– შენ აქ დაჯექი, მე კალათს გავცლი.

სახლისკენ მივდივარ. ჯიბიდან გასაღებს ვიღებ და კარის გაღებას ვცდილობ.

– სახლიც ჩაკეტილი გაქვს? – მომაძახა.

– მოდი, ბავშვები გაგაცნო.

– გამოუშვი, გარეთ გავიცნობ.

კალათი გავცალე, სახლიდან გამოვედი და გვერდით მივუჯექი.

ანანო მძიმედ სუნთქავს. ისე ახლოს ვზივარ, მის გულის ძგერასაც ვგრძნობ. თვალმოუშორებლად მივჩერებივარ. რა ლამაზია. ახლა გაჯავრებულსა ჰგავს, სხვა დროს როგორი კარგი სანახავი იქნება. ლაპარაკისას ლოყებზე ფოსოები უჩნდება, ჩამოშლილ თმას წამდაუწუმ ისწორებს. ახლა ამას რო ვაკოცო, ნეტავ, რას იზამს? ვფიქრობ.

– როგორი თეთრი ხარ, ანანო, მზეს არ ენახვები? – ვეუბნები და მკლავზე ხელს ვკიდებ.

– თითი არ დამაკარო, თორემ ქვეყანას შეგიყრი, – გაჯავრებით მეუბნება.

– კარგი, დაწყნარდი, რა ვქენი საყვირალი.

– წავიდეთ, – თქვა ანანომ. წამოდგა, კალათს წამოავლო ხელი და ჭიშკრისაკენ გაემართა. სანამ ჭიშკართან მივიდოდა, წამოვეწიე. მხრებზე მოვხვიე ორივე ხელი, შემოვაბრუნე და მის აბურცულ მარწყვისფერ ტუჩებს ზედ დავაკვდი.

ანანომ ერთი გაიბრძოლა, მაგრამ მკლავებში მოქცეული მალე გაყუჩდა. მომესმა, როგორ დაეცა კალათი ბალახზე.

ვკოცნიდი გაშმაგებით. ვეფერებოდი მის გაშლილ თმას, მკერდს. ცოტა ქვევით რომ ჩავაცურე ხელი, გეყოფაო, მკვახედ მითხრა და მუხლი მითავაზა.

სხვა რამეს მაინც არაფერს ვაპირებდი. ანანოს ერთი კოცნაც მილიონად მიღირდა.

ეზოდან გავიდა და მანქანაში ჩაჯდა. მეც უკან მივყევი.

– კალათი გამოიტანე, – მომაძახა.

შევბრუნდი, კალათი გამოვიტანე და გვერდით მივუდგი. მანქანაც ავამუშავე.

– რა კარგი კოცნა გცოდნია, ანანო – ვუთხარი სახით მისკენ შებრუნებულმა.

ანანომ დაიმორცხვა.

მთავარ გზაზე რომ გავედით, გამიჩერეო, მითხრა.

– შენ ხომ ჭოპორტში ცხოვრობ, სახლამდე მიგიყვან.

– არ მინდა, ავტობუსს გავყვები.

– რათ უნდა იწვალო, უცბათ მივალთ, ჭოპორტი აქვე არ არის?

– მაშინ, სადაც გეტყვი, იქ გამიჩერე.

– შენი ნებაა. კიდევ როდის გნახავ, ანანო?

– არც არასოდეს.

– რატომ, არ მოგეწონე?

– რო არ მომწონებოდი, აქამდეც არ გამოგყვებოდი, მომეწონე და მორჩა, შენ შენთვის, მე ჩემთვის.

– პამიდორს აღარ ჩამოიტან?

– ჩამოვიტან, მაგრამ შენ არ მოგყიდი.

გულიანად გამეცინა. სარკეში დავინახე, ანანო იღიმებოდა.

ჭოპორტის ხიდი გადავიარეთ თუ არა, აქ გამიჩერეო, მითხრა.

მანქანა გავაჩერე, ანანო გადმოვიდა. მეც გადმოვედი.

– აქ დამთავრდება ჩვენი ნაცნობობა? – გულის წყვეტით ვკითხე.

ანანო ლამაზი მეტყველი თვალებით მომაჩერდა, კარგა ხანს მიყურა ისე, რომ ხმა არ ამოუღია.

– შაბათს ბაზრობაზე ვიქნები, – მითხრა ბოლოს, სწრაფად შებრუნდა და გზას დაადგა.

მიდიოდა ანანო, მიირწეოდა აშოლტილი ტანით ასფალტიან გზაზე და უდარდელად მიაქანებდა ცარიელ კალათს.

გაუნძრევლად ვიდექი, მივჩერებოდი, სანამ სულ არ მიეფარა თვალს.

კუკური ბუხრაშვილი

მოთხრობიდან კარგად ჩანს, ვინც ბრძანდება ეს ცოლშვილიანი ვაჟბატონი! რაკი განცალკავებით მდგარი აგარაკი ჰქონია, საკმაოდ შეძლებული ყოფილა და, ვინ იცის, იქნებ გავლენიანიც იყოს!

ახლა ბებიის ანაბარად დატოვებულ ანანოს მოვუსმინოთ.

„ – მამა არა მყავს. დედა საბერძნეთშია“.

გოგონას მოკლე პასუხში ერთი გაელვებით იხატება დღევანდელი გაძვალტყავებული საქართველოს ბედდამწვარი მოზარდის სავალალო ყოფა!

ჰოდა, სამი შვილის მამა – თუ ამასაც არ იტყუება! – ანანოსაც ისე მოექცეს, როგორც თავის მეოთხე შვილს ან, თუგინდ, უსასოო თანამოძმეს, რათა ამგვარი სიდუხჭირის განცდა იქნებ ცოტათი მაინც შეუმსუბუქოს, ამ გონებაშეზღუდულ ხვადაგს გოგონას დანახვისთანავე ბილწი აზრები ებადება და გამაშეშებელი უტიფრობით აცხადებს კიდეც: რად მინდა პამიდორი, ჩემი სამყოფი მეც მომდის, თავში მაცდური აზრი მიტრიალებსო!

რა ჰქვია ყოველივე ამას და როგორი შეფასება ეძლევა მორალის ან სისხლის სამართლის კოდექსის ენით?!

მოკლედ, თავის მაცდურ აზრს აყოლილი, უკბილო ტყუილებით გოგონას ჯერ ხომ თავის გამოკეტილ აგარაკამდე აიტყუებს, მერე საიმედოდ შემომესრილ ეზოშიც შეიტყუებს, ბოლოს კი შემკრთალ-შეშინებული ანანოსადმი, აგერ, რანაირ სექსუალურ ძალადობას იჩენს!!!

„ვკოცნიდი გაშმაგებით. ვეფერებოდი მის გაშლილ თმას, მკერდს. ცოტა ქვემოთ რომ ჩავაცურე ხელი, გეყოფაო, მკვახედ მითხრა“.

ო, რა გრაფომანულ-ცილისწამებლურად არის ჩაჩრილი აქ ეს უადგილო სიტყვა – „გეყოფაო!“ ავტორს ისე გამოჰყავს, თითქოს გაგულგრილებულ გოგონას მისთვის საქამრეს „ზევით“ ყველაფრის უფლება მიეცეს, საქამრეს ქვემოთ კი... რა ვქნა... კალამი აღარ მემორჩილება...

„ცოტა ქვევით რომ ჩავაცურე ხელი...“ – აზრჩაუტანებლად გვეტრაბახება გალაღებული სქემატური პერსონაჟი და ვერცა ხვდება, რანაირ შეურაცხყოფას აყენებს საერთოდ, მანდილოსნების ღირსებას, როყიოდ ნახმარი ერთადერთი სიტყვით – „ქვევით“ ქალი ყასბურად „ზედა“ და „ქვედა“ ნაწილებად რომ დაყო და ამით მის საოცნებო სხეულზე მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, ალბათ, პირველმა გაავლო სადემარკაციო ხაზი!

რა გამოდის? პომიდვრის ყალბი მუშტრის ქურქში გამოხვეული პერსონაჟის ჩანადენითა და მსჯელობით გულმიცემულ, დაუფიქრებელ მამაკაცებს, ცხადია, დღეის ამას იქით ნება ეძლევათ, თუგინდ პირველი დანახვისთანავე რომელი ქა-

ლიც კი თვალში მოუვათ, ჩვენი „გმირის“ მსგავსად ეკვეთნენ და წელს „ზევით“ მისრის-მოსრისონ... დაკოცნონ... დალოშნონ... ჩამოდორბლონ... დაბუბნონ!.. აი, საქამრეს „ქვევით“ კი ცოტა...

რაღა დასამალია, სასტიკ და საზიზღარ ეპოქაში გვიხდება ცხოვრება: სხვადასხვა მიზნითა და მიზეზით რაკი ქალი შედარებით ადვილად ხელმისაწვდომი გახადეს, ჩვენდა სამარცხვინოდ, თვით ლიტერატურული დოლაბებიდანაც რაღანაირ მწიკვლს არ ასხამენ!.. არადა, ქალი ერთი მთლიანი მშვენიერება და სასწაულია!!! ამიტომ მისი ბუნებრივი სურვილისა და თანხმობის გარეშე ღირსებიანი მამაკაცი ასე პირუტყვულად არც „ზევით“ უნდა შეეხოს და არც „ქვევით!..."

თან დააკვირდით, უნაღველა პერსონაჟი როგორ უტიფრულად გვამშვიდებს.

„სხვა რამეს მაინც არ ვაპირებდი“.

მერე, რაც აქამდე ჩაიდინა, განა ეს კი მკაცრ ზნეობრივ-სამართლებრივ სასჯელს არ იმსახურებს?!. ანდა, შუა გზაზე რაღას შეჩერდა, ბარემ... ჰმ! „სხვა რამესაც“ როგორ არ ჩაიდენდა, მაგრამ ამ გაგულადებულ ლაჩარს კარგად ეცოდინებოდა – „სხვა რამის“ ჩადენაც რას მოიყოლებდა! ის კი თავის სახარბიელო მდგომარეობას რას გაწირავდა! ჰმ, თქვენ მართლა შტერი ხომ არ გგონიათ – ერთი ამისთანა ჩვენნაირს ასს ერთად იყიდის და გაყიდის!!!

მოკლედ, თავის მაცდურ ჟინს მაჩვის სიფრთხილით აყოლილი ეს შეძლებული ქართველი ასე იმიტომ აქეთიქითობს, არც მწვადი დაწვას, არც შამფური: ისედაც გატანჯულ-გაღიზიანებული საზოგადოების თვალში რაიმე საძრახისი წინდაუხედაობით არც თავის ვინაობას მოეცხოს ჩირქი და თან მშვენიერ გოგონასთან უხამსი ბღლაძუნითაც ამღვრეული ქვენა გრძნობები დაიამოს!

* * *

მკითხველები სამართლიანად დამიწუნებენ ლიტერატურულ გემოვნებას, თუ გაკვრით მაინც არ შევეხე ერთ პასაჟსაც. ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, ეს აგარაკიანი ვაჟბატონი აგერ, რას ეკითხება გოგონას:

„– კიდევ როდის გნახავ, ანანო?

– არც არასოდეს.

– რატომ, არ მოგეწონე?

– რომ არ მომწონებოდი, აქამდე არ გამოგყვებოდი..."

ამ დრამატულ ვითარებაში გაშხლართულმა მხატვრულმა შეუსაბამობამ თავგადადებული მკითხველი შეიძლება ჭკუიდან შეშალოს! კი მაგრამ, რაც ამ თავშეყვარებულმა, განუსჯელმა კაცმა ჩაიდინა, გოგონას რა სინდისით ან რის იმედითღა აძლევს ამ შტერულ შეკითხვას?! დაიცა და, ავტორის აზრით, რა უნდა იყოს ამ სავარაუდო შეხვედრის მოტივი, მიზანი, პროცესი, შედეგი?!.. მაგრამ აქ უარესი უბედურება ის არის, რომ ალალბედა ავტორი ანანოს უფრო შეუხამებელ არსათქმელს წამოატორტლინებს – რომ არ მომწონებოდი, არც გამოგყვებოდიო!!!

დიდება შენდა, ღმერთო! ამათ შემთხვევაში რა შუაშია მოწონება ან დაწუნება: ანანო უცხო მუშტარს ამ ნიშნით კი არ გაჰყვა, არამედ იმიტომ, რაკი პომიდორი სულ უსაღდებოდა და ხელი ეცლებოდა, შეპირებისამებრ, მერე იქიდან ცარიელი კალათა ისევ უკან წამოეღო და ბარემ თან თავის სახლამდეც გამოჰყოლოდა! ეს იყო და ეს!!! ხოლო აქ თუ გარეგნული მხარე კი არა, შინაგანი ღირსება უნდა ვიგულისხმოთ, მაშინ მით უარესი: რა ურთიერთმოწონებაზეღა ლაპარაკი შეიძლება, როცა უცნობმა მამაკაცმა თავის გამოკეტილ აგარაკზე მზაკვრულად ატყუებული ქალიშვილისადმი მოულოდნელად სექსუალურ ძალადობას მიმართა, ანანომ კი – მტრის ზურგში გადასროლილი, ხელჩართული შეტაკებებებისთვის გამოწვრთნილი საბჭოთა მზვერავივით! – სამი შვილის მამას... მუხლი ამოარტყა!

ჰოდა, კიდევ რაღა სურს ავტორს: მეორე შეხვედრისას ანანოს იქნებ ახლა ისეთი სამბისტური ილეთი გააკეთებინოს, ეს სოლიდური კაცი სულ მარტივ მამრავლებად დააშლევინოს!..

იმედგაცრუებისაგან მოდუნებულს, აქ თავის უნებლიეთ გახსენებს ლევ ტოლსტოის უკვდავი ფრაზა: მხატვრულ ლიტერატურაში ყველაფრის გამოგონება შეიძლება, გარდა ადამიანის ფსიქიკისა, ვინაიდან იგი დიდი ხანია გამოგონილიაო!

ეს პასაჟი კი იმდენად გონებამიღმურია, ადამიანის ფსიქიკის ვერანაირ ჩარჩოში ვერ თავსდება, ვინაიდან აშკარაა – ავტორი ამ ტექსტს ქმნიდა არა მხატვრული ლიტერატურის კანონებისა და მკაცრი მოთხოვნილებების გათვალისწინებით, არამედ მხოლოდ თავისებურად წარმოდგენილი საკუთარი სიამოვნებისთვის!

ეს მეტად სამწუხაროა, მაგრამ რას იზამ – მსგავსი მაგალითები ლიტერატურის ისტორიას თავსაყრელად მოეპოვება!

* * *

ამ ამაზრზენი პერსონაჟისთვის ადგილზევე დახვრეტის განაჩენის გამოტანა კი მისივე ერთადერთმა სიტყვამ მაიძულა. მოუსმინეთ!

„ – რა კარგი კოცნა გცოდნია, ანანო“.

ჩვენი „გმირი“ ამგვარ სასჯელს იქნებ გადარჩენოდა კიდეც, აქ „გცოდნია"-ს ნაცვლად ამ შემთხვევაში უფრო ბუნებრივი „გქონია“ მაინც რომ ეხმარა!.. კი მაგრამ, ამ ანგელოზებრივ გოგონას ჯერ საიდან უნდა სცოდნოდა „კარგი კოცნა?!“ თუმც ამას რაღა კითხვა უნდა, როცა თავისი ყოფა-მდგომაროებით გალაღებულმა „გმირმა“ ამ ერთადერთი დაუფიქრებელი სიტყვით ნახევარი საქართველო წუმპეში ამოავლო: საარსებო გროშებისთვის მშობლები უცხოეთში დაწოწიალობენ, აქ დარჩენილი მათი გოგონები კი დღედაღამ კოცნაობაში ვარჯიშობენ, რათა შემდეგ შემთხვევით გამომტყვრალი ყოველი მოძალადე თავიანთი ხელოვნებით დაატკბონ!.. ოოო!.. მოდი და...

კეთილი, დავუშვათ და ანანოს მართლაც „კარგი კოცნა“ სცოდნოდა, ნაიძულევ ვითარებაში ამ ლაჩარი მოძალადისთვის განა კოცნითვე უნდა ეპასუხა?!

ეს მხოლოდ პროვინციელი ჯონდუანის... უკაცრავად, დონჟუანის თავშესაქცევი ზმანება-წარმოდგენაა! ამგვარ ძალნატან კოცნაზე ანანოსაც თავდამავიწყებელი კოცნით ეპასუხა კი არა, როგორმე უნდა გაშვებინებოდა და ერთი ისეთი გაელაწუნებინა, ხმა სვეტიცხოვლის კედლებს მისწვდენოდა!!!

ბოცო ჯაყელი და უფლისწულ დემნას აჩრდილი
(ჯაყელთა 1000 წელი)

დასაწყისი გვ.2 ▶

თარი და დაირა მიეცით მოცეკვავავეთ! – იმეორებდა მარიამი.

– ბოცოზე 5 წლით უფროსია მომავალი მეფე.

– მართლა, მამა, ჩემზე უფროსია?!

– დიახ, შვილო!

– ჭიდაობაში მაინც ვერ მომერევა, – იხტიბარს არ იტეხდა ბოცო და მამის წინაშე კუნთებს ჭიმავდა.

– ბაგრატიონია, ჩვენი დიდი მეფის – დავით აღმაშენებლის შვილიშვილი. მუდამ გვერდში უნდა დაუდგე! თუ დაგიძმაკაცებს, დაუძმაკაცდი, მაგრამ, ბაგრატიონებს ვინ დაუძმაკაცდება? ეეეჰ. ეს ეეეჰ, თითქმის ჩურჩულით თქვა მემნამ, შვილიც დააბნია და ცოტა არ იყოს, თვითონაც დაიბნა, როდესაც საყვირის ხმა გაისმა და ეზოში ოციოდე ცხენოსანი შემოიჭრა.

– აი, ესაა უფლისწული დემნა, შვილო! – დაიძახა მემნამ და შვილთან ერთად თეთრცხენიან, ათიოდე წლის, საპატიო სტუმარს მიეგება, რომელსაც ლურჯი ფერის მოსასხამი და ბაგრატიონთა არწივის გამოსახულების მქონე, იასამნისფერი ქუდი ამკობდა.

– ყოველთვის ემახსოვრება ბოცოს ამ შეხვედრაზე მამის სიტყვები: – „ბაგრატიონია, ჩვენი დიდი მეფის – დავით აღმაშენებლის შვილიშვილი, მუდამ გვერდში უნდა დაუდგე! თუ დაგიძმაკაცებს, უნდა დაუძმაკაცდე!..“ – სულში რომ ჩაუსახლდა პატარა ბავშვს. შემდგომ თამარიც გაიცნო, მაგრამ იგი სულ სხვაა, ანგელოზია, არამიწიერი არსებაა, მაგრამ დემეტრე, მოფერებით დემნა უფლისწული, ეს ისაა, ვისაც „გვერდში უნდა დაუდგე...“.

ქეიფმა „ბრწყინვალედ“ ჩაიარა, სუფრა თითქმის ხელუხლებელი დარჩა. ან კი რა უნდა ეჭამა ან დაელია 10 წლის უფლისწულს და მის კბილა მხედრებს? აქაც პატარა საღირ მახატლისძემ გამოიჩინა თავი და „აკრძალული“ ღვინო შესვა.

– დათვრები, კახთ ბატონო! – ანიშნა მარიამ სამძივარმა.

– მამაჩემი დიდი ხანია მასმევს, მარიამ დედოფალო! – ჩაეცინა საღირას და ახლად ამოღინღილებულ ულვაშის მსგავს ბუსუსოებზე ხელი რომ გადაისვა, თავად ბოცომაც გადაიხარხარა და მთელმა სუფრამ მიაპყრო მზერა.

თავად დემნა უფლისწილი მოხდენილად და სერიოზულად იჯდა. მშვენიერი ბავშვი იყო. თაფლისფერი თვალებით, თითქოსდა უღიმოდაო, შესცქეროდა მემნასა და მარიამს, შემდეგ თვალი ბოცოზეც გადაიტანა...

– რამდენი წლის ხარ? – ჰკითხა უეცრად დემნამ.

– შვიდის! – იცრუა თავის ასაკთან შედარებით უმცროსმა სამცხელმა, რისთვისაც მამამ მუშტი მოუღერა:

– ჯერ ხუთისაა, უფლისწულო, მაგრამ სწრაფად წამოიზარდა, ჭიდაობაში უკვე უფროსი ბიჭები ჰყავს დამარცხებული, კალოსუბანში ათი წლის ბიჭებიც დასცა, ბეჭებზე.

– მართლა, ბიჭო? – მოუტრიალდა დემნა ბოცოს. ბოცო სიამაყისაგან ცახცახებდა.

– გინდა დამეჭიდო? – ჰკითხა დემნამ.

– მინდა! – ვიდრე მამამისი რამეს იტყოდა, დაასწრო ბოცომ.

– აი, მოდი! – თქვა დემნამ და ფეხზე წამოხტა.

– ვაიმე, უფლისწულთან დაჭიდება ხომ ეკრძალება ერისთავის ვაჟს?

– არა უშავს, იყვირა ბოცომ და დემნასკენ გაიწია, რომელიც სამეფო ახალუხის გახდას შეუდგა, შესარკინებლად რომ მომზადებულიყო.

– მოდი, ბოცო, მოდი! – მარდად გამოიწვია მოჭიდავე უფლისწულმა.

– ჭიდაობას რა უნდა... – დაამღერა ერთ-ერთმა მომღერალმა და მემუსიკენიც აჰყვნენ. ბოცო დაიძაგრა და ბაგრატიონს შეება.

დემნა ძლიერი იყო. ჭიდაობაც საკმაოდ კარგად ჰქონდა შესწავლილი. თუ ბოცო ჭიდაობას მამისაგან და მოსამსახურეებისაგან სწავლობდა, დემნას, როგორც ჩანს, თბილისელ მოჭიდავეთა ამქარი და ამ ამქრის თავი ხარფუხელი თომა ასწავლიდა, თანაც, დემნა გაცილებით მაღალი იყო, ბოცო კი, უფრო დაბალი და ჯმუხი. ისე, ორივე თაფლისფერთვალება ბიჭები იყვნენ. ბოცოს გადაბმული მესხური წარბები ჰქონდა, დემნას კი საოცრად დიდი თვალების გამო აქებდნენ. „ის წმინდა დავითის შთამომავალია – ერუშალაიმის მეფის თვალწარბი აქვს!“ – ამბოდნენ მასზე გოგონები, რომლებიც უფლისწულზე შეყვარებულები იყვნენ.

– „თამარი უნაკლოა!“ – ასეთი ფრაზაც გაუგია ბოცოს მანამდეც.

– „კი, მაგრამ, თამარს უფრო კავკასიური ნაკვთები აქვს, ხოლო დემნა ბატონიშვილი, ნაღდი ბაგრატიონია, დიდი მეფის – დავით მეოთხის განმეორებაა!“ – ხშირად იძახოდნენ ცნობისმოყვარე ჭორიკნები.

ფალავნები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ... დემნამ გაუღიმა ბოცოს, ხელი მარჯვედ შემოაჭდო წელზე, თითქოს მის თვალში პატარა ჩანდა და მაღლა ატაცება მოუნდომა, მაგრამ, უეცრად იგძნო, რომ ბოცოს მისი ილეთების ჩამკეტი ხერხების გამოყენებაც შეეძლო. თუმცა, ვერაფერი გააწყო, რადგანაც ბოცომ მოახერხა, მუხლებზე წაევლო ხელი და... – ამ დროს მოჭიდავე მაღლა რომ ასწიო, თავად მოადენ ზღართანს, – გაახსენდა დემნას ხარფუხელი თომას სიტყვები და ბოცოს უმალ უშვა ხელი: – „ნეტა რა ვიღონო?“ – ჩაიბურტყუნა თავისთვის.

– მიდი, მიდი! – დასძახა ვიღაცამ და გაახსენდა ბოცოს, – მაღალ მეტოქეს სჯობს წელში შეუვარდე და ისე დაანარცხო. ამ ილეთით ხომ მამასაც ამარცხებდა. ჰოდა, იმარჯვა ბოცომ, მუხლებში ეტაკა ბატონიშვილს, რომელიც დამცინავად დაჰყურებდა ბოცოს და სიცილით კვდებოდა.

– წაგაქცევს, ბატონიშვილო, გონს მოეგე! – შეჰყვირა ეხლა ვიღაცამ დემნას ამალიდან და დემნაც ქეჩოში წვდა ბოცოს, ისე, როგორც ციხესიმაგრეს უტევენ სპეციალური სპილენძის ტუჩიანი ვერძები. ბოცოც დემნას საყრდენს უნგრევდა. დემნა ჯერ უკან გადაქანდა, ხოლო შემდეგ, ისევ წინ გადმოიხარა და წაქცევას ამჯობინა სამცხელს თავზე დასცემოდა, რაც განახორციელა კიდეც. დემნა, როგორც მაღალი კოშკი, „ბოცო ვერძზე“ თავზე დაემხო. ამალის წევრები ახორხოცდნენ. მემნა ჯაყელი უფლისწულთან მიიჭრა და პირველი ის წამოაყენა.

– გმადლობთ, ერისთავთერისთავო, ძალიან ძლიერ შვილს უზრდით ჩვენს სამეფოს! – ზრდილობიანად თქვა დემნა უფლისწულმა.

– უღრმეს მადლობას და ბოდიშს გიხდით, უფლისწულო. ბოცო თქვენს ამალაში გვინდა ჩავრიცხოთ, ის მუდამ თქვენთან იქნება და თქვენი გულისთვის თავსაც გაწირავს, უყოყმანოდ! – გახარებულმა თქვა მემნამ, რომელიც მარცხენა ხელით ბოცოს წამოყენებას ცდილობდა, ამ დროს კი, მუშტებმოკუმული ბოცო იმას ფიქრობდა, როგორ დაეცა ძირს დემნა უფლისწული.

– აი, ნახეთ, კიდევ სურს წელში შემომივარდეს ! – გაეცინა დემნას.

– კი, ეგრეა, ამ ეზოდან წაუქცეველს არავის უშვებს! უხაროდა მემნა ჯაყელს და ბოცოს ზურგს უკან აკავებდა, თუმცა, ეს უკანსაკნელი, მამასაც უტევდა და დემნასკენ იწევდა.

– როგორ აწითლებულხარ, რა მოგივიდა, ნუთუ ასეთები იყვნენ შენი წინაპრები? – წასჩურჩულა შვილს მემნამ და უფლისწულს მადლიერების თვალით გადახედა.

– კარგით, ჩავრიცხოთ ბოცო ჩემს ამალაში, დიდი მადლობა სტუმართ-მასპიძლობისთვის, ეხლა კი უნდა დაგტოვოთ, ბიძა მელოდება, დღეს თამართან ერთად უნდა ვიჯირითო აგარანის ველზე! – თქვა დემნა ბატონიშვილმა, ოჯახს გამოემშვიდობა,

მერე მარდად ცხენებს მოახტნენ და ჯაყელთა სასახლის ეზოს იქით გაუჩინარდნენ.

ბოცო კი დარჩა დაბოღმილი, პირველად გაექცა მეტოქე ეზოდან წაუქცეველი. სად ეძებოს ეხლა ეს ბიჭი, რომელსაც „უფლისწული“ ჰქვია? იქნებ კალოუბნიდან დაბლა ჩავიდეს და მეტეხის სასახლეში გამოელაპარაკოს დაცვას – უფლისწულთან ჭიდაობის უფლება რომ მისცენ.

– „შენი თავი კიდევ ერთხელ მომცა და... თუ მიწაზე არ გაგართხა“... წამოაბოდებს იმ ღამეს სიზმარში, მამასა და დედას შორის მწოლიარე ბოცოს.

თენდებოდა 1165 წლის დილა...

გაგრძელება იქნება

პროზაიკოსი, სცენარისტი ანა კოზლოვა დაიბადა 1981 წელს მოსკოვში. 2003 წელს წარჩინებით დაამთავრა მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. მიღებული აქვს პრემია „ნაციონალური ბესტსელერი“ (2017).

საშობაო მოთხრობა

შეხვედრა სადგურზე

ანა კოზლოვა

1.

– ვანია, პულტი სად არის?! – ღელავდა ნადეჟდა იაკოვლევნა.

– დივანზეა! – თქვა ივან ნიკოლაევიჩმა.

– სადაცაა დაიწყება! – ნადეჟდა იაკოვლევნამ გადასაადგილებელი ყავარჯენი ააჭრიალა.

– ვნახოთ, დივნამდე ვინ უფრო სწრაფად მივა! – ჩაიხითხითა ივან ნიკოლაევიჩმა.

ლიდა წინკარიდან იყურებოდა. მოხუცებმა ტელევიზორი ჩართეს, ჩამოსხდნენ და სერიალის „ზამთარი ხარბინში“ ყურებამდე სული მოითქვეს.

– ნადენკა იმ რესტორანში წავიდა სადაც ელენე მღეროდა, – ჰყვებოდა ნადეჟდა იაკოვლევნა და დაძაბულობისგან გაფითრებული თითებით ყავარჯენს ებღაუჭებოდა.

– მოიცადე! – ნერვიულობდა ინვალიდის სავარძელში მჯდარი ივან ნიკოლაევიჩი. – რესტორანში როგორ წავიდა? კაბა გამოისყიდა?

– არ მითქვამს? – ნადეჟდა იაკოვლევნამ მხიარულად გაიცინა. – ივანმა რუსულ რულეტკაში მოიგო და ნადენკას კაბა გამოისყიდა!

ლიდა დარბაზისკენ ზურგით იდგა და ფანჯარაში იყურებოდა. ბინდდებოდა. ხმელნიკში, მოხუცებულთა სახლის ეზოში, თოვლი სქელ ქერქად გაიყინა, ისე როგორც მრუდედ გამომცხვარ ტორტზე შემხმარი კრემი. კრემი ფარავდა გაორხრებულ, დაკბილულ ბილიკებს, დანაოჭებულ შავქერქიან ხეებსა და სამსაფეხურიან წინკარს.

– ელენა კი მშვენიერია! – თქვა ივან ნიკოლაევიჩმა.

ნადეჟდა იაკოვლევნას გამოპასუხება არ უნდოდა, მაგრამ როგორც ჩანს რემარკამ თავმოყვარეობა შეულახა, რადგან რამდენიმე წამში თქვა:

– ელენა უხამსი დედაკაცია. თავის ხარბ მისწრაფებებშიც კი მოსაწყენი.

ივან ნიკოლაევიჩმა ამაზე ვერაფერი უპასუხა და თითქოს გამჭოლმა ქარმა უცებ ბეჭებში დაჰკრაო ლიდა შეკრთა.

წინკარის ფარნიდან ჩრდილი ჩამოცოცდა, ჩრდილს კი ანტიპინი მოჰყვა. ლიდას გული ყელში მიებჯინა. ანტიპინმა წინკარიდან ეზოსკენ რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი გადადგა და შედგა. მერე ტყაპუჭის ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მოსწია.

ლიდამ არ იცოდა რა ხარბი მისწრაფებები ჰქონდა მისთვის იდუმალ და არასაინტერესო ელენეს სერიალიდან, მაგრამ თავისი მისწრაფებების შესახებ ყველაფერი მშვენივრად იცოდა.

ლიდა ხმელნიკში ბიისკიდან ჩამოვიდა. ის დედასა და მამინაცვალს გამოექცა, რომლებიც ყოველდღე ეკითხებოდნენ – „შეჭამ?“ ლიდამ თავი დააღწია მედსასწავლებლის შავბნელ საშინელებებს, იმ ცხოვრებას, რომელიც კი არ მიედინებოდა, არამედ მიხოხავდა. ხმელნიკის მოხუცთა სახლი მისთვის მხსნელად იქცა, რომელიც წარსულს დაავიწყებდა და სიყვარულს აზიარებდა.

ანტიპინმა ნამწვი თოვლში მოისროლა. ლიდა მოხუცებისკენ ღიმილით შებრუნდა.

– საკვირველია! – თქვა ივან ნიკოლაევიჩმა, – ორმოცდაათიანი წლების ბოლოს მეც ხარბინში ვიყავი.

ნადეჟდა იაკოვლევნა მისკენ შეტრიალდა.

– ეს შეუძლებელია, – თქვა მან, – წარმოუდგენელია! ხარბინში ორმოცდაცხრამეტ წელს ჩავედი.

ლიდამ ჯიბიდან სარკე ამოიღო და სახე შეითვალიერა.

– იმ დღეს ძალიან მშიოდა, – თქვა ნადეჟდა იაკოვლევნამ, – ფუნთუშის ყიდვა მინდოდა, მაგრამ სადგურზე მხოლოდ თეთრი ცომის პარკები იყიდებოდა...

– მოხალული ბრინჯით! – დააბოლოვა ივან ნიკოლაევიჩმა.

2.

როდესაც კაცი მხრებსა და კისერს შორის პატარა ფოსოს უკოცნის ქალს გული უთრთის, მხრები უცახცახებს და ზურგზე დაფენილი თხელი თმა ყალყზე უდგება. ისინი პერსონალის დასასვენებელ ოთახში, შტამპიანი თეთრეულით გაწყობილ ტახტზე იწვნენ. ყველაფერი მოთავდა, მაგრამ ლიდას გაჩერება არ შეეძლო, ის კაცს მხარზე ხელს უსვამდა და ენის წვერით ნიკაპზე ჯაგარივით წვერს ეხებოდა.

– ეს ყველაფერი მალე მოგბეზრდება? – ანტიპინმა კი არ ჰკითხა, არამედ თითქოს ამ საკითხზე სასაუბროდ გამოიწვია.

ლიდას ადრე ასეთ სიტყვებზე მაშინვე ეტირებოდა, ახლა კი მის მკერდზე უდევს თავი, უბრალოდ დუმს და კაცის თანაბარ გულის ცემას აყურადებს. როგორ შეუძლია თავს არ იფასებდეს? ჭკვიანი, გამჭრიახი, ასეთი ნიჭიერი. ფსიქიატრიაზე დაწერილ მის სტატიებს ხომ მოსკოვური ჟურნალები აქვეყნებდნენ... და კიდევაც გამოაქვეყნებენ! ის კი აღარაფერს წერს და როდესაც ქალი მორიდებით ინტერესდება, თუ რატომ – კაცი ღვარძლიანად პასუხობს: იმიტომ რომ ბოლო ათი წელია ჩემი სპეციალიზაცია მოხუცებულობის დემენციაა. და თითქოს ამაზე ვერ შეეპასუხები – ვისთვისაა საინტერესო მოხუცებულობის დემენცია?.. ის უნდა წააქეზო, უსასრულო სიყვარულით საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნო. და მაშინ... მაშინ, იღიმება ლიდა, წერილებიც იქნება და სამეცნიერო წრეებში აღიარებაც, შესაძლოა, ცოლადაც შეირთოს.

ილუსტრაცია სოფიო ჭელიძის

3.

ვახშამზე თევზის სალათი, მაკარონიანი ქათამი და თითო შოკოლადის კანფეტი მოჰქონდათ. ნადეჟდა იაკოვლევნა ივან ნიკოლაევიჩთან ერთად კუთხეში იჯდა და გადასაადგილებელ ყავარჯენს ფისო „ლაპოჩკა“ მსუქანი ფერდებით ეხახუნებოდა.

– სუნგარის პროსპექტზე ბინა მქონდა, – ყვებოდა ივან ნიკოლაევიჩი, – იქ სადაც რესტორანია, რომელშიც ივანმა ტყვია დაიხალა...

– ოჰ, მახსოვს! – თქვა ნადეჟდა იაკოვლევნამ. – იქ კიდევ მოოქრული მიწის თხილი ეკიდა...

– კი, ეკიდა! – დაადასტურა ივან ნიკოლაევიჩმა. – რა საოცარია, ერთსა და იმავე დროს ვიყავით ერთსა და იმავე ქალაქში და ერთსა და იმავე რესტორანში დავდიოდით!

– განსაცვიფრებელია! – დაეთანხმა ნადეჟდა იაკოვლევნა. – აღარაფერი მახსოვდა: არც მიწის თხილი, არეც რესტორანი, არც სუნგარის პროსპექტი და უცებ, ტელევიზორმა ყველაფერი გამახსენა...

– მართალია! – დაუდასტურა ივან ნიკოლაევიჩმა. – უცნაური შეგრძნებაა, მხოლოდ სიკვდილის წინ გამახსენდა...

– ასე ნუ ლაპარაკობთ! – შეაწყვეტინა ნადეჟდა იაკოვლევნამ.

– ვილაპარაკებ, არ ვილაპარაკებ, რა მნიშვნელობა აქვს? მარადიულად მაინც ვერ ვიცოცხლებთ, – გაჯიუტდა ივან ნიკოლაევიჩი.

მაგიდას მსუქანმა დედაკაცმა – სანიტარმა ევსეევამ ჩაუარა, სიკეთეს რატომღაც მოჩვენებითი უხეშობით რომ ფარავდა.

– გეყოფათ ყბედობა, ჩახეთქეთ! – ჩაილაპარაკა ევსეევამ. – ესენი ლაყბობენ, მე კი შინ შვილები მელოდებიან!

– მომეცით თქვენი კანფეტი, – ჩურჩულით თქვა ნადეჟდა იაკოვლევნამ. – კარადაში კიდევ მაქვს, ამასაც დავამატებ და შობას ერთად შევხვდეთ.

ივან ნიკოლაევიჩმა თავი დაუქნია და გამოწვდილ ხელსახოცზე კანფეტი თავაზიანად დადო.

4.

ლიდამ თქვა:

– იცი, მიყვარხარ.

მან კი შეხედა და უპასუხა:

– კარგია.

და მორჩა. კაცს მეტი აღარაფერი უთქვამს. ქალმა ყველაფერი გააფუჭა. ისინი ისხდნენ და ამოთხრილ ორმოებზე საუბრობდნენ, სადაც ჩინელები თევზ ტილაპიას აშენებდნენ.

– ჰო კარგია, თუკი შენ ეს სიამოვნებას განიჭებს, – ხანმოკლე დუმილის შემდეგ თქვა ანტიპინმა.

– შენ, არ განიჭებს? – ჩუმად იკითხა ლიდამ და სუნთქვა გაუხშირდა.

– მისმინე, – კაცმა ხელი ჩაავლო, – მეც მიყვარხარ. უბრალოდ, არ მინდა, ჩვენს ამ ურთიერთობას რაღაც განსაკუთრებული რომ დაუკავშირო.

ლიდა დუმდა. ანტიპინი ღელავდა.

– რაღაც უაზრო, არაადეკვატური მოლოდინები, იმედები, რომ რახან გიყვარს, ცხოვრება შეიცვლება... – ანტიპინმა მოღუშული სახით ჩაიხითხითა, – ხმელნიკი, საძაგელი ბუნაგი, თვალისმომჭრელი ნათებით აკაშკაშდება და მოხუცები აღარასოდეს ჩაისვრიან.

ლიდა ცრემლს ძლივს იკავებდა.

– არაფერი შეიცვლება, საყვარელო, – თქვა ანტიპინმა. – სიყვარული ადამიანს არ ცვლის. უნიჭო შეყვარებული ტალანტად, გონჯი კი მზეთუნახავად ვერ გადაიქცევა. სიყვარულით მხოლოდ დროს ვკლავთ.

– დროს ვკლავთ? – ჩურჩულებდა ლიდა.

ანტიპინმა თმაზე ხელი გადაუსვა.

– რისი ატანაც ადამიანს უწევს, ცხოვრება ყველაზე გრძელი და მოსაბეზრებელი რამაა.

5.

კარადაზე ბღუჯად ელაგა ვახშმობისას შეგროვებული კანფეტები: ოთხი ცალი შოკოლადი „ასორტიდან“, ორი „ბატის თათი“, ორი „დათუნია“ და კოწახურები, რომლებსაც სათვალავშიც კი არ აგდებდნენ. ფანჯარაში გამოჩენილ ცის შავ ნაგლეჯზე ვარსკვლავები ღილებივით ჩაბნეულიყვნენ. ნადეჟდა ივანოვნა საწოლზე ჩამომჯდარიყო და ჩურჩულით ყვებოდა:

– იცით, რა არის ყველაზე საშინელი? არშემდგარი სიყვარული. რაც ჩაფიქრებული, დაწერილი იყო, მაგრამ არ ასრულდა.

– თქვენ ასეთი სიყვარული გამოგიცდიათ? – ჩუმად იკითხა ივან ნიკოლაევიჩმა.

– დიახ, – ნადეჟდა იაკოვლევნამ თავი დაუქნია. – ხარბინში, სადგურზე, როდესაც მივემგზავრებოდი. ყველაფერი დღევანდელივით მახსოვს: ბაქანზე ვდგავარ, ირგვლივ ჭუჭყია, სიგარეტის ნამწვი, ჩინელები ყაყანებენ, ურიკებს მიათრევენ. ჩემოდანს ჩავაფრინდი, შემეშინდა არ გაეტაცათ. და უცებ, ბრბოს ოფიცერი გამოეყო და ჩემკენ ნამოვიდა. ჩინელებთან შედარებით ძალიან მაღალი, ცისფერთვალება... – ნადეჟდა იაკოვლევნა დადუმდა.

– მერე რა მოხდა? – ივან ნიკოლაევიჩმა დედაბერი ააჩქარა.

– არც არაფერი! – ამოიოხრა ნადეჟდა იაკოვლევნამ. – ერთმანეთს დიდხანს შევცქეროდით. თვალი პირველმა ავარიდე, ეს ხომ უწესობაა... მამაკაცს ასე რომ უყურებ... მერე ვაგონში ავედი და ფანჯარასთან ჩამოვჯექი... ვფიქრობდი, იქნებ მატარებელში ამოვიდეს, იქნებ ჩემს ვაგონში... მაგრამ არ ამოსულა.

ნადეჟდა იაკოვლევნა უცებ ატირდა.

– ეს სისულელეა, ნამდვილი სისულელე! – ჩურჩულებდა და გაუხეშებული, ართრიტიანი თითებით ცრემლს იწმენდდა. – ოფიცერი ხარბინის სადგურში! ალბათ, ფიქრობთ, რომ ჭკუიდან შევიშალე... მე კი მხოლოდ ამ მამაკაცში დავინახე ერთად ცხოვრების წადილი. რისი მეშინოდა?.. ვისი მრცხვენოდა? გამეღიმა მაინც...

ივან ნიკოლაევიჩი ინვალიდის ეტლში ნერვულად შეირხა.

– ცუდად ხართ? – იკითხა ნადეჟდა იაკოვლევნამ.

– სადგურზე თქვენ იყავით? – თქვა ივან ნიკოლაევიჩმა, – თქვენ თეთრსაყელოიანი მწვანე პალტო გეცვათ... და შავი ბატინკები. ხელთათმანები არ გეკეთათ. მახსოვს თქვენი ხელები, ისეთი პატარები, დაუცველები. მაშინვე ხელებზე შემოგხედეთ, ბეჭედი ხომ არ უკეთია მეთქი.

6.

8 იანვრის დილას ლიდა ნადეჟდა იაკოვლევნას პალატაში შევიდა და საწოლთან შედგა.

ისინი ქალის საწოლში შიშვლები იწვნენ, მიცვალებულები, გაშეშებულები! – ლიდა მერე ევსეევას უყვებოდა. მისი ხელი მას ჰქონდა... თვითონაც გესმის სადაც.

– ასეთ ასაკში არც სირცხვილი, არც სინდისი! – დაასკვნა ევსეევამ.

ლიდა ანტიპინთან გაიქცა, პალატაში მიიყვანა და მის უკან დადგა. კაცს სიკვდილი უნდა დაედასტურებინა, ისედაც აშკარა რომ გამხდარიყო. სიყვარულმა დაგრეხილ სხეულებს თავისი დამღა დაასვა და როგორღაც ყველას უფლებას აძლევდა ერწმუნათ ან არ ერწმუნათ მისი არსებობის.

– მათ რომანი ჰქონდათ? – ხითხითით იკითხა ანტიპინმა.

– თითქოს ადრე ხვდებოდნენ, – უპასუხა ლიდამ. – ხარბინში გაიცნეს ერთმანეთი, ორმოცდაათიან წლებში.

– ხარბინში? – გაოცდა ანტიპინი.

ლიდამ მხრები აიჩეჩა:

– ისინი ასე ამბობდნენ.

– ქალი მთელი ცხოვრება საბავშვო ბაღში აღმზრდელად მუშაობდა, საზღვარგარეთის პასპორტიც კი არ ჰქონია. კაცი კი მეტალურგიული ქარხნების დაპროექტების ინსტიტუტში მექანიკოსად მსახურობდა. ორმოცი წლისამ საწარმოო ტრამვა მიიღო და სავარძელს მიეჯაჭვა. ლიდა, ისინი ხარბინში არასოდეს ყოფილან. არასოდეს.

ლიდა ოთახისკენ ზურგით იდგა და ფანჯარაში იყურებოდა.

– ისინი მარაზმში იყვნენ. შენ ეს მშვენივრად იცი... მარაზმში ცხოვრებაც ადვილია და სიყვარულიც, – მან კვლავ ჩაიხითხითა.

ანტიპინმა მოხუცებს ბოლოჯერ შეხედა და პალატიდან გასვლა დააპირა, მაგრამ შემოტრიალდა და თქვა:

– გადააფარე.

რუსულიდან თარგმნა
აკაკი დაუშვილმა

ჟურნალისტი ქალაქის სიყვარულით

თბილისი. 1961 წელი... რესპუბლიკურ ოლიამპიადაზე საქართველოს რაიონების მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივებთან ერთად გამოდიოდა ახალციხის გუნდიც, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ქეთევან ღოღობერიძის ხელმძღვანელობით. ახალციხელებმა შესანიშნავად შეასრულეს მესხი პოეტის ელენე დიდიმამიშვილის ლექსზე დაწერილი „სიმღერა ახალციხეზე“, ხოლო, როდესაც სახუმარო დუეტი „ყვარყვარე და ბარბარეც“ „მიაყოლეს“, მაყურებლები აღტაცებას ვერ მალავდნენ: „ყოჩაღ, ახალციხელებო, ძალიან კარგია!“ – ამბობდნენ ისინი.

ვინ იყვნენ სოლისტები? – ლუიზა კუპრაძე და მიხეილ პოვოზიანი. ახალციხელები პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდნენ.

მიხეილ პოვოზიანი პროფესიით მედიკოსი გახლდათ. იგი, წლების მანძილზე, რაიონის ჯანდაცვის სისტემაში მუშაობდა, ბოლოს სადენზინფექციო სამსახურის უფროსი იყო. მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო, მაგრამ მისი, ასე ვთქვათ, სტიქია მაინც სიმღერა იყო.

მაგონდება 1977 წელი. ახალციხის რაიონის სიმღერისა და ცეკვის 150-კაციანი ანსამბლი გავემგზავრეთ მოსკოვში, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად. მიუხედავად იმისა, რომ მიშა მძიმედ იყო ავად და შეეძლო გათავისუფლებულიყო შორეული მგზავრობისაგან, მაინც წამოვიდა. მოსკოვში, სასტუმრო „ზოლოტოი კოლოსში“ დავბინავდით. პოვოზიანის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. სასტუმროს ექიმს მივაკითხეთ, რომელმაც მოითხოვა მისი საავადმყოფოში დაუყოვნებლივ გადაყვანა და ოპერაციის გაკეთება. მიშა აწრიალდა, – ხვალ რომ გამოვდივართ?! ბოლოს დათანხმდა, მაგრამ პირობა მაინც არ შეასრულა და მხოლოდ მაშინ, როდესაც ანსამბლი წარმატებით გამოვიდა და პოვოზიანმაც „გამწარებულზე“ იმღერა თავისი პარტია, დაწვა და გაიკეთა ოპერაცია.

მიხეილ პოვოზიანი მოგვიანებით ჩამოფრინდა მოსკოვიდან. რა თქმა უნდა, მოვინახულე და წავუსაყვედურე კიდეც: – რატომ გაჯიუტდი, რატომ იტანჯავდი ზედმეტად თავს. არ გერჩივნა დარჩენილიყავი ახალციხეში, მოსკოვში კი სხვა წამოსულიყო, დუბლიორი ხომ გყავდა-მეთქი.

მან კი დაუნანებლად მითხრა: – რა მექნა, მთელი წელი ვემზადებოდი და არ მინდოდა მეგობრებს ჩამოვრჩენილიყავიო.

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ მიშას მაინც არ ჰქონდა საქმე კარგად. მას მკლავზე რამდენჯერმე ამოაცალეს სიმსივნური წამონაზარდები და ბოლოს, სხვა გზა რომ აღარ იყო, მკლავიც მოკვეთეს. სწორედ მაშინ „შემომჩივლა“ მან: სხვა რაღა დამრჩენია, მარჯვენა აღარ მაქვს და სამსახურის საქმიან ქაღალდებს მარცხენა ხელითაც მოვაწერო. გავამხნევე, რა თქმა უნდა, ხელს მოაწერ დოკუმენტებზე, მაგრამ მთავარია შენ იყო კარგად-მეთქი.

ერთხელ აწყურში გაემგზავრა სამსახურის საქმეებზე და მეც გამიყოლა, სადაც თავის იქაურ თანამშრომლებს შეხვდა, თათბირი ჩაუტარა, სათანადო მითითებებიც მისცა და ახალციხისკენ რომ გამოვწიეთ, სოფელ წნისში, ჩემი დის სახლთან გავაჩერებინე მძღოლს მანქანა.

– მიშა, ამ სახლში ჩემი უფროსი და ნადია ცხოვრობს, ხომ არ შეგვევლო, კარგი ღვინო აქვს...

– რა ღვინოა? – იკითხა.

– თეთრი „ადესა“!...

– თეთრი კარგია, შეიძლება ორი-სამი ჭიქა...

შევედით. მოვიკითხე ჩემი და, გავაცანი მიხეილ პოვოზიანი, – კარგი მომღერალია, რაიონში ყველა იცნობს-მეთქი. ნადიამ სუფრა გაშალა და თეთრი „ადესაც“ დადგა ორლიტრიანით. ორი-სამი ჭიქა რომ შევსვით, მიშა ეკითხება ჩემ დას: ქალბატონო, შეიძლება ვიმღერო?

– როგორ არ შეიძლება, ბატონო, იმღერეთო! პოვოზიანმა ეშხიანად იმღერა „ჩემი ლამაზი ქვეყანა“, შემდეგ – იტალიური „სანტა ლუჩია“ (ქართულად. ნადიას, რა თქმა უნდა, მოეწონა სიმღერები, მომიახლოვდა და ჩუმად მეუბნება, – რა კარგად მღერის, სადაური კაციაო).

– ახალციხელია!

– ეს ის კაცია, შენ მოწონებულ „ყვარყვარე და ბარბარეს“ რომ მღერის-მეთქი. ცოტა ხნით კიდევ შევიქციეთ თავი, ბოლოს მადლობა გადავუხადეთ ოჯახის დიასახლისს, გამოვემშვიდობეთ და ახალციხეში დავბრუნდით.

კეთილი კაცი იყო მიხეილ პოვოზიანი, უყვარდა ხუმრობა. ერთხელ მეც გავეხუმრე, „ავუშარდი“, – შენ გვარში, ვფიქრობ, შეცდომაა გაპარული, შენ, ალბათ, „პივოზიანი“ უნდა იყო-მეთქი. მიშას გაეცინა, – რა ვიცი, ჩემ წინაპრებში არავინ ყოფილა „პივის“ მიმდევარი ან „მზიდავი“. მე უკან არ დავიხიე და ხმის ოდნავ აწევით, გამოკვეთილად ჩამოვუყალიბე: შენი ნამდვილი გვარ-სახელია მიხეილ მესხი, ოღონდ არა ფეხბურთში, არამედ სიმღერაში. მიშას უყურადღებოდ არ დაუტოვებია ჩემი ნათქვამი:

– შენ ხშირად მიხეილ მესხს მეძახი, რანაირად ვარ მესხი?

– მესხი ხარ, იმიტომ, რომ ახალციხეში დაიბადე, დედაშენი მარგო ხითარიშვილი მესხი ახალციხელია, სწავლა-განათლება ახალციხის ქართულ სკოლაში მიიღე, მეუღლე ქართველი გყავს – ნათელა ზარდიაშვილი, ცხოვრობ და მსახურობ ახალციხეში, ქართულად მღერი, საუბრობ, აზროვნებ... არ კმარა?!

– ისე, შენც მართალი ხარ! – თქვა ბოლოს მიშამ.

დიახ, მიხეილ პოვოზიანი მესხი – ქართველი კაცი იყო თავისი სულისკვეთებით, უყვარდა ახალციხე და ახალციხელები. ასეთივე გრძნობით იყვნენ განმსჭვალული მისდამი ახალციხელებიც. ერთხელ, მრავალგზის ნაოპერაციევი მიხეილი, რესტორან „მესხეთში“ დაპატიჟეს მეგობრებმა. ტკივილებით შეჭირვებული ცდილობდა, „ისევ ის ბიჭი“ ყოფილიყო. მოილხინა, იხუმრა, იმღერა კიდეც, მაგრამ ეს უკვე „გედის სიმღერა“ იყო.

წავიდა მიშა, სრულიად ახალგაზრდა. დარჩა ქალ-ვაჟი: მაკა – ახალციხის N 1 საჯარო სკოლის პედაგოგი და რობიკო – ბიზნესმენი...

ვაჟა სამსონიძე

ესპანელ მეცნიერთა დასკვნები: მითი თუ ჭეშმარიტება

ნუთუ მართალია?!

ამასწინათ, ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში ესპანელი მეცნიერების დასკვნა გამოქვეყნდა, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ყოველი მესამე ადამიანი, თურმე, შურიანი ყოფილა.

ქ.მადრიდის კარლოს III-ის სახელობის უნივერსიტეტის სწავლულებს ზემოაღნიშნული დასკვნა რომ გაეკეთებინათ, გადაწყვიტეს ჩაეტარებინათ კვლევა-ექსპერიმენტი, რათა გამოევლინათ, ძირითადად, როგორი ტიპის პიროვნებები არსებობენ საზოგადოებაში.

როგორც აღმოჩნდა, ადამიანები პირობითად შეიძლება დაიყოს ოთხ კატეგორიად, ესენია: შურიანები, ოპტიმისტები, პესიმისტები და მიმდობნი *(გულუბრყვილონი)*.

ექსპერიმენტში მონაწილე ყოველი ადამიანის გადაწყვეტილება და მისი შედეგები მეცნიერებმა კომპიუტერული ალგორითმით ანალიზის შედეგად გამოავლინეს.

როგორც კვლევებმა დაადასტურეს, 30 პროცენტი შურიანი გამოდგა, რაც შეეხება ოპტიმისტს, პესიმისტსა და მიმნდობ ადამიანებს, მათი მონაცემები თანაბრად განაწილდა (ყოველი კატეგორია – 20%), ხოლო დარჩენილი 10%, კომპიუტერმა ვერ შეძლო რომელიმე კონკრეტულ კატეგორიაში შეეყვანა.

კეთილი და პატიოსანი. თითქოს ყველაფერი ნათელია. მეცნიერულად შესწავლილი საკითხი ირწმუნება, რომ საზოგადოებაში ყოველი მესამე ადამიანი შურიანია.

თუ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ჩავიხედავთ, სიტყვა „შურიანის“ განმარტება ასეთია:

„მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა *(საბა)*. შურით აევსო გული – შურით უყურებდა, შურის თვალით უყურებს ვისმე რამე. შურს იძიებს – სამაგიეროს გადაუხდის, მიუზღვავს (მტრობით)“, ხოლო სიტყვა „შურს“, ასეა განმარტებული: „1). შურით არის აღვსილი, სხვისი ბედნიერება შურდა; 2). ენანება. არ ემეტება არაფერი არა, შურს ამხანაგებისათვის“.

ნუთუ მართალია, რომ ჩვენი საზოგადოების ყოველი მესამე წევრი შურიანია? ბუნებრივია, დაგებადება კითხვა: რატომ?!

რატომ გშურს სხვისი ნიჭი, სხვისი შენაძენი, სხვისი სილამაზე, სხვისი ავტორიტეტი, სხვისი ცოდნა, განათლება, კულტურა, უნარები. ნუთუ ადამიანი, რომელიც გამოირჩევა განვითარების მაღალი დონით, ასე უნდა დამდაბლდეს, ასე უნდა დაკნინდეს?!

არ ვიცი, სხვა ქვეყნებში და სხვა ერებში როგორია შურიან ადამიანთა პროცენტული მდგომარეობა, მაგრამ თუ კარგად დაუკვირდებით და გავაანალიზებთ ჩვენს გარშემო არსებულ ვითარებას, დავინახავთ, რომ ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილი აღნიშნული სენითაა დაავადებული.

აღნიშნული სენი, ანუ შურიანობა, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ტვინის, ნაღვლის ბუშტისა და ღვიძლის მტერია. ამის თქმის უფლებას გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია მაძლევს, სადაც აღნიშნულია, რომ შურიანობა, ეჭვიანობა, აქვეითებს ადამიანის ყურადღებას, ხელს უშლის მნიშვნელოვან საკითხებზე ყურადღების კონცენტრირებას. გარდა ამისა, იწვევს სტრესის, შფოთვისა და დეპრესიის სიმპტომების გამოვლენას, რაც ორგანიზმში ადრენალინის მომეტებულ გამომუშავებას უწყობს ხელს. ყოველივე აღნიშნული კი აისახება ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითებაზე. ადამიანს ემართება უძილობა, არტერიული წნევის მატება, გულისცემის გახშირება, იწვევს სისხლში ქოლესტერინის დონის მომატებას, საჭმლის მონელების დარღვევებს და ა.შ.

მახსენდება ცნობილი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის, ბატონ აკაკი ბაქრაძის სიტყვები, როცა ის მიუთითებდა ჩვენს ირგვლივ მყოფთა ერთ დამახასიათებელ, მაგრამ ფრიად მანკიერ მხარეზე, კერძოდ, – მას სამსჯავროზე გამოჰყავს ის ადამიანები, რომლებიც მხოლოდ სხვათა მიმართ შურიანობასა და დამცირებაში აღამებენ და ათენებენ.

სამი ადამიანიც რომ საუბრობდეს და, თითქოს, ურთიერთპატივისცემაში არიან, ერთ-ერთის დროებით სადმე გასვლა იწვევს დარჩენილი ორის ქილიკს მესამეზე, შემდეგ კი ადგილმონაცვლეობის შესაბამისად, სხვა გასულზე მიდის ქილიკი და ა.შ.

დიახ, ზოგიერთი ვერ მაღლდება იმ დონეზე, რომ თუ რაიმეს თქმა გინდა და ხინჯს ამჩნევ ადამიანს, გეყოს გამბედაობა და პირადად უთხარი სიმართლე, მეგობრულად მიუთითე ნაკლის თუ სხვა არასასურველი თვისების გამო.

თუ კარგად დაუკვირდებით ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებს, მათ, არც თუ იშვიათად, შეამჩნევთ შურიანობას, ბოღმას ცნობადი სახეების მიმართ, ვერ აუტანიათ თუ ვინმემ წარმატებით ისწავლა, გზა გაიკვალა ცხოვრებაში, რაიმე თანამდებობა დაიკავა ან მნიშვნელოვან შემოქმედებით წარმატებას მიაღწია.

ალბათ, ჩვენი საზოგადოების სწორედ იმ ყოველი მესამე წევრის „დამსახურებაა“, რომ შურმა, ბოღმამ და მტრობამ, ტალახის სროლამ, მნიშვნელოვნად დაგაზარალა თითოეული ჩვენთაგანი და ე.ი., მთლიანად საზოგადოება.

იმის მაგივრად, რომ ადამიანებმა გაითავისონ ხალხური სიბრძნე – „სიკეთე ქენ, ქვაზე დადე, გაივლი და წინ დაგხვდება“, – პირიქით იქცევიან, თავიანთი შხამიანი ენით, ჭორიკნობით, ავკაცობით, ირგვლივ წამლავენ ყველაფერს. საქმიან, ჭკვიან, ნიჭიერ და უნარიან ადამიანებს სურვილს უკლავენ იფიქრონ ქვეყნისთვის, ხალხისთვის, რათა აკეთონ კეთილი საქმეები.

აი რას წერს საუკუნეზე მეტი ხნის წინ ქართველი ერის მამად წოდებული დიდი ილია ჭავჭავაძე გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე: „არა გვგონია, სხვაგან იყოს ისეთი ქვეყანა, სადაც ადამიანის პატიოსნება და ნამუსი ისე წინდაუხედავად, ტყუილუბრალოდ ილახებოდეს, როგორც ჩვენში, ჩვენის ფიქრით კი ადამიანს, კაცია თუ ქალი, პატიოსნებისა და ნამუსის მეტი სხვა უძვირფასესი არა აქვს რა გასაფრთხილებელი და წმინდად შესანახი.

ადამიანი ადამიანობს პატიოსნებით და ნამუსით და ვინც ეს იცის, იმისთვის შებღალვა ან ერთისა და ან მეორისა, ყოველს დანაკლისზე, უმძიმესია ყოველსა მწუხარებაზედ, უდიდესი მწუხარებაა.

თუმცა ესეა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში არაფრად არ მიაჩნიათ ჩირქის მიცხება და ნაწყმედა სხვისის პატიოსნებისა და ნამუსისა“ *(2 ივლისი, 1887 წ.)*.

განა ეს სიტყვები ზუსტად არ მიესადაგება დღევანდელობას? ანდა ავიღოთ ილიასავე შემდეგი სიტყვები: „ჭუჭყიანი სიტყვა-პასუხი, ჭუჭყიანი გულისნადები, რომელიც აბეჭდია ხოლმე ყოველს კაცს, სხვის გასაბიაბურებლად გამოსალაშქრებულს, მეტისმეტად ცხადი ნიშანია თვითონ მოლაშქრის უწმინდურობისა და ჭუჭყისა“.

დიახ, ზემოთწამოჭრილი პრობლემა თითქმის ყოველთვის არსებობდა, მითუმეტეს, დღეს. როგორც საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, ნიჭიერი მწერალი გიორგი კეკელიძე ამბობს „ქართველებს ყველაზე მეტად გვიჭირს ერთმანეთის შემჩნევა და სხვა ადამიანის ფასის გაგება. დარწმუნებული ვარ, ამ გაკვეთილს (იგულისხმება კორონა-ვირუსის პანდემია) ბევრი კარგად აითვისებს და ამ ბრძოლიდან ფიქრით დატვირთული გამოვა, კარგად გააცნობიერებს, რას ნიშნავს ადამიანად ყოფნა“ *(„კვირის პალიტრა“, N26, 2020)*.

ვინ იცის, კიდევ რამდენი ცნობილი და მოაზროვნე, მამულისათვის დამაშვრალი ქართველი ფიქრობს ასე და უფრო მეტსაც. მათ სიტყვას, თქმულს საჯაროდ, მოსმენა და საქმედ ქცევა უნდა.

ჩვენდა საბედნიეროდ, ზემოაღნიშნული კატეგორიის ადამიანები, როგორც არ უნდა იყოს, მაინც ცოტანი არიან, ისინი ვერასოდეს შეძლებენ ავკაცობით, შურით, ბოღმით, მტრობით ჭუჭყიანი სიტყვების სროლით, ფონს გავიდნენ, მათ საზოგადოების ღირსეული უმრავლესობა გარიყავს და სათანადო შეფასებასაც მისცემს.

იმედია, ესპანელ მეცნიერთა დასკვნას ობიექტურად აღიქვამს ჩვენი საზოგადოება და თვითონვე სათანადო დასკვნებს გააკეთებს, რომ ზემოთ მინიშნებული უარყოფითი თვისებებით შორს ვერ წავალთ.

დავაფასოთ ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრები, ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ ნიჭი, ინიციატივის უნარი, ოფლს ღვრიან იმისათვის, რომ წინსვლა, აღმშენებლობა, წარმატება იყოს ჩვენი მომავალი ცხოვრების საფუძველი.

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ქ.ბორჯომი

ახალი გამოცემები

ანანია შირაკაცის „სომხური გეოგრაფია“



გამომცემლობა „მერიდიანმა“ გამოსცა VII საუკუნის სომეხი სწავლულის ანანია შირაკაცის თხზულება „სომხური გეოგრაფია“. მასში აღწერილია ევროპისა და აზიის ქვეყნები.

ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის და, არა მარტო სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ანანია შირაკაცის „სომხური გეოგრაფია“ იმით არის საინტერესო, რომ მასში, ფიზიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით, აღწერილია ამიერკავკასიის ქვეყნები, მათ შორის VI-VII საუკუნეების კოლხეთი, ქართლი, კახეთი, ტაო-კლარჯეთი და, აგრეთვე, აქ მცხოვრებ ხალხთა ეთნიკური შემადგენლობა, ტაძრები, ტოპონიმია და სხვ.

ანანია შირაკაცის „სომხური გეოგრაფია“ სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ცნობილმა არმენოლოგმა ბონდო არველაძემ.

ალექსანდრე ბლოკი

***

ღამე, ქუჩა, აფთიაქი, ფარანი,
ის უაზრო მზერაც ბნელში გიქრება,
რომც იცხოვრო კიდევ წელი მრავალი,
ყველაფერი ისევ ისე იქნება.

მერე წახვალ, სადაც ყველა წავიდა,
სადაც გელის წყვდიადი და წკვარამი,
ყველაფერი დაიწყება თავიდან:
ღამე, ქუჩა, აფთიაქი, ფარანი.

თარგმნა გურამ ჭავჭანიძემ

მოგონებები

...ქვაბლიანელი ბეგის სულეიმან ერისთავის (ისტორიული თორნიკე ერისთავის ხაზის გამგრძელებელი) ვაჟი, ბოქაული ქალაქ ახალციხისა, უნდა შეუღლებოდა აჭარელ გავლენიან ბეგის თემურ ხიმშიაშვილის ასულს. დანიშნული მას არასდროს არ ენახა და თვით დანიშვნაც სარძლოს დაბადების მეშვიდე დღეს მომხდარიყო, ოცი წლის უკან, რაც სიმამრისა და მამამთილის ბექდების გაცვლით შესრულებულა.

სამოცი რჩეული ცხენოსანი მაჰმადიანი სამცხე-ჯავახეთიდან თან გაჰყვა სასიძოს: მე ერთადერთი არამაჰმადიანი ვიყავი მთელს მხლებლებში და თვით ქორწილშიც. რამდენიმე დღის შვებულება უკვე გამოვითხოვე სათანადოდ.

სასიძო ბახრი-ბეკლამ და მისმა მამამ სულეიმან ერისთავმა მთხოვეს „ძმადედ“ მე ვყოფილიყავი.

წინ ცხენს მიაჭენებდა, აღმოსავლური მუსიკოსების თანხლებით, ქალბატონი მაჩაბელისა, მამიდა სასიძოსი, ერისთავის ასული. მას სახე ჩამოფარებული ჰქონდა, მაგრამ ხანდახან ქარი საფარს გვერდზე გადაუგდებდა და მაშინ სულ მცირე ხნით გამოჩნდებოდა მისი მომხიბვლელი და წარმტაცი სილამაზე. ის ერთადერთი მანდილოსანი ექვს ათეულ ცხენოსან მამაკაცთა რაზმის, ასე ვთქვათ, მეთაური იყო.

საჭიროა აქ აღვნიშნოთ, რომ მისი ქმარი იყო ბახშიბეკ მაჩაბელი, ისიც ოსმალეთის სასარგებლოდ მომუშავე; შემდეგ იგი, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, თავისი ქვეყნის სამსახურს შეუდგა და გულწრფელადაც.

ახალციხის მაზრიდან გადავედით აჭარაში, აქ შეგვეგება ორმოცი აჭარელი ცხენოსანი: სალამი თოფის სროლით მოგვცეს და უკან გამოგვყვნენ. მივუახლოვდით სოფელ ხულოს; ჯემალ-ბეკ ხიმშიაშვილის სასახლის ეზოდან იგრიალა ზარბაზანმა. ამ გვარს ჰქონდა ზარბაზანი, ძველიდანვე შენახული, რომელიც აწინდელი ომისთვის გამოუსადეგარი იყო, მაგრამ ხმის მხრივ თავზარდამცემი. სროლით, ყიჟინითა და სიმღერებით შევუდექით აღმართს. სასახლესთან ყველა ცხენიდან გადმოვხტით, გარდა ქნი მაჩაბელისა. შეგვეგება თვით სასიმამრო თემურ-ბეკ ხიმშიაშვილი. იგი დაეხმარა ქალბატონ მაჩაბლისას ცხენიდან გადმოხტომაში; მკლავი გამოსდო და მოგვცა ყველას საერთო თურქული სალამი. სასახლის აივნიდან მრისხანედ გადმოიყურებოდა ჯემალ-ბეკ ხიმშიაშვილი, ბიძა სარძლოსი, რომელიც, როგორც უფროსი ძმა თემურ-ბეკისა, თვით იყო მასპინძელი და ძმისწულსაც თვითონ ათხოვებდა. მე სასიძოს მარცხენა გვერდზე ვიჯექი; მარჯვნივ თვით მამა სულეიმან-ბეკ ერისთავი; ჩვენს უკან ყველა დანარჩენი მხლებელი, ახალციხელები და თვით აჭარლებიც.

მეორედ იგრიალა ზარბაზანმა: აივნიდან ჯემალ-ბეკი დაეშვა და მოგვესალმა. მალე იქვე მყოფ ქნ მაჩაბლისას ეახლა და ორივე ძმამ ჩვენი რაზმის ხელმძღვანელი მანდილოსანი სასახლიდან ახლო მდგომი, პატარა, ლამაზი ოდისაკენ მიიწვია და მთელი ქორწილისა და ზეიმის დროს ერთხელაც ჩვენ აღარ გვინახავს იგი.

უფროსი მოურავი სტუმრებს ჯერ აივანზე შეგვეპატიჟა; აქ ყველას ხელი დაგვაბანინეს და მერე საერთო დარბაზში მიგვიწვიეს. ამ დროს ჯემალ-ბეკი და თემურ-ბეკი ხიმშიაშვილები, ჩვენი მასპინძლები, უკან დაბრუნდნენ და გაიმართა ლხინი, რა ლხინი!

სასიძო ბახრი-ბეკ ერისთავი იმ ღამესვე წავიდა და ისიც ათი დღე ჩვენ არ გვინახავს.

მასპინძლობა იყო საგანგებო. მთელი დღეები ეზოს გადაღმა არ გავსულვართ... მოახლოვდა მეექვსე დღეც. სულეიმან-ბეკ ერისთავმა, სასიძოს მამამ, გამიხმო და იმ ოდისკენ წამიყვანა, სადაც რამდენიმე დღის უკან ქნი მაჩაბლისა მიაცილეს.

როგორი იყო ჩემი განცვიფრება, როდესაც აქ, ამ შენობაში, მარტო მანდილოსნები ვნახე. ცოტა უხერხულად ვიგრძენი თავი. ყველას სახე დაფარული ჰქონდა. საერთო სალამი მივუძღვენი მათ; ერთმანეთს კი ისინი ქართულად წასჩურჩულებდნენ: — ქართველია, ბოშო, ქართველია ეს ოფიცერო!

სულეიმანმა ერთ ოთახში შემიყვანა და ქართულად მითხრა: — აბა, შენ იცი, სრულიად მხარი უნდა დაგვიჭიროო. მე არ ვიცოდი, როგორ უნდა დამეჭირა მხარი და შეკითხვაც ვერ გავუბედე.

იმავე ოთახში შემოვიდა ერთი ხანშიშესული აჭარელი. მას ორი ფანქარი ეჭირა ხელში; მომესალმა და ერთი მე გადმომცა. ფანქრითა და ქაღალდით ხელში ჩვენ ორი, სულეიმან-ბეკ ერისთავისა და თემურ-ბეკ ხიმშიაშვილის თანდასწრებით, შევუდექით იმ უამრავი სამზითვო ნივთების აღწერას, რომლებიც სარძლოს საკუთრებად უნდა ქცეულიყო, შეფასებულიყო და თუ მაჰმადიანთა ადათის მიხედვით, შეუღლებულნი ერთმანეთს დასცილდებოდნენ, გათხოვილ ქალს უკანვე უნდა მოეტანა თვით ნივთები ან მათი საფასური.

შევუდექით შეფასებას, სარძლოს ოჯახის წარმომადგენელი ნივთს პირველი აფასებდა: მე უსიტყვოდ მას ვეთანხმებოდი და სათანადო აღნიშვნასაც სიაში ვაკეთებდი. უკვე ნახევარზე მეტი შევაფასეთ: ასე მიდიოდა საქმე, სანამ მოთმინებიდან გამოსული, სასიძოს მამა სულეიმან-ბეკი არ მწვდა ხელში და აღელვებით არ მითხრა: ახლა უკვე რუსულად: — რაშია საქმე? მეც ხომ ქართველი ვარ, რაღა მაგ აჭარელს უჭერ მხარს დაჟინებითო?! — მე მივხვდი ჩემს დანაშაულს, მაგრამ გვიანღა იყო. თუმცა დანარჩენი ნივთების დაფასებაში ერთხელაც არ დამითმია და რაც შესაძლო იყო, ყველაფერს დაბლა ვაფასებდი. სია გამზადდა. ოთხივემ ხელი მოვაწერეთ. შემდეგ, ჩვენივე დასწრებით, სასიძო დანიშნულის ოთახში შევიყვანეთ, კარები გამოვუხურეთ და იქ ჩავტოვეთ. თვით სარძლო კი არ დაგვინახავს. შემდეგ ისევ უკან, სასახლეში დავბრუნდით და საერთო ლხინს შევუერთდით.

მეშვიდე ღამე იყო სწორედ, რაც იქ ჩვენ მოვსულიყავით. სმით, ქართულ-თურქული სიმღერებითა და ქართულ-თურქული მუსიკით ვერთობოდით. უკვე ნაშუაღამევი იქნებოდა, ჩვენთვის მოულოდნელად გაიღო ჩვენი დარბაზის კარები და გამოჩნდა მაჰმადიანების სასულიერო პირი, თურქულად ჩაცმული თორმეტ, თავიდან ფეხებამდის შეიარაღებული ვაჟკაცის თანხლებით; თორმეტივეს თავი ყაბალახით ჰქონდათ წაკრული.

სუფრის თამადა, ჯემალ-ბეკი, პირველი წამოდგა, მოსულთა სალამს ჩვენც ფეხზე ამდგარი ვუპასუხეთ: მივინ-მოვიწიეთ და საერთო სუფრას ისინიც შემოუერთდნენ.

პირველი სიტყვა თვით მოსულების მხრიდან იყო.

სიტყვა სთქვა იშვიათი ვაჟკაცური გარეგნობის კაცმა, თვით ჯემალ-ბეკ ხიმშიაშვილის ძმამ, რომელიც ომის დაწყებიდანვე ოსმალეთში გადასულიყო და იქ თურქთა ჯარებში აჭარელ მოხალისეებს მეთაურობდა რუსეთის წინააღმდეგ. ამ თორმეტი სტუმრიდან ექვსი აჭარელი აღმოჩნდა, — ყველა მშვენიერი მოქართულე და ქართული სიმღერების მცოდნე. თვით წინამძღვარი სასულიერო პირი იყო, წმინდა თურქი: დანარჩენი ექვსი კი თურქი ოფიცერი, საგანგებოდ მოსალოცად აქ მოსული მტრის მონინავე რაზმებიდან.

როცა მე სტუმრების მეთაურის, ხიმშიაშვილის სიტყვა მოვისმინე, თავი მეტად უხერხულად ვიგრძენი: მე, რუსის ჯარის ოფიცერი, თურქის ოფიცრებთან ერთად რუსეთის მინანყალზე! შევნუხდი. ეს იგრძნო ჩემთან ახლო მყოფმა ჯემალ-ბეკმა და საპასუხო სიტყვა ქართულად უთხრა თავის ძმას, თხოვნით, რომ თურქულად იმ ექვსი ოფიცრისთვის და სასულიერო პირისთვის მასვე გადაეცა.

თვით სიტყვა თურქეთიდან დაბრუნებული ხიმშიაშვილისა იყო ფრიად მჭერმეტყველური, კარგი ქართულით ნათქვამი. მახსოვს მისი სიტყვის ერთი ადგილი კარგად!

— ჩვენ გამოვცხადდით ქორწინების დასასრულს აქ, მტრის სამფლობელოში: ბრმა და ბინძური რუსის სადარაჯოები გადმოვლახეთ და გაბედულად ხულოს სასახლეს — ჩემი ძმა და პატრონის — ჯემალის ბინას თავი შემოვაფარეთ. ჩემს ძმას ამშვენებს, მართალია, რუსის პოლკოვნიკის ეპოლეტები, მაგრამ ჩვენ, სტუმრები, აქ, ხიმშიაშვილის ოჯახში, მოყვრულად დავრჩებით მიღებული. იმედს გამოვთქვამთ, ჩემი საყვარელი ძმა რუსეთის თვალის ასახვევად ატარებს ამ თავის რუსულ მუნდირსო. — და შემდეგ დაუმატა: — მე ადრე გავიგე, რომ აქ, სუფრაზე, რუსის ოფიცერია, მაგრამ არა რუსი, არამედ ქართველი, ჩვენი ძმა. მე მივმართავ ამიტომ მოურიდებლად ჩემს საყვარელ ღვიძლ ძმას, როგორც საქართველოს შვილს, ხელი შეუწყოს ოსმალეთს რუსთა განდევნისათვის და მწამს, დიდებული ხონთქარი გახდება მოკავშირე აღორძინებული და გაერთიანებული საქართველოს სამეფოსიო!

ჯემალ-ბეკი სდუმდა. თავი ჩაელუნა: სიტყვაზე პასუხის გაცემას აგვიანებდა. სტუმრები კი ფეხზე დამდგარნი პასუხს ელოდნენ, ბოლოს თამადა ჯემალ-ბეკიც ადგა და განაცხადა: მე მესმის ნათესაური გრძნობა, რაინდობა, ვაჟკაცობა, მაგრამ თქვენი აქ ასე დაუპატიჟებლად გამოცხადება, როგორც თქვენთვის, უფრო მეტად ჩვენთვის, სახიფათო და არა სასურველია, მაგრამ მაინც გიქებთ გამბედაობას. გმადლობთ მოლოცვისთვის და იმედი მაქვს ახლავე დასტოვებთ აქაურობას და მამაცურად თქვენს სადარაჯოზე დაბრუნდებითო!

ჯემალ-ბეკის ძმამ ეს სიტყვები თურქულად გადასცა თავის თანამგზავრ თურქებს. ერთმა თურქის ოფიცერმა სხვა თურქების სახელით მადლობის განცხადებაც მოასწრო. ჯემალ-ბეკს გულზე ეამბორა, შემდეგ მე მომწვდა, ხელი მაგრად ჩამომართვა და გამოგვემშვიდობა, ყანწით ხელში და დარბაზიდან უკან-უკან დახევით. ჯემალის ძმა სხვა ექვს აჭარელ მხლებლებთან ერთად მშვენიერ „მადლობელი ვართ“-ს მღეროდნენ. სუფრაზე ხომ მათ მიერ იყო შესრულებული ისეთი ძველი ქართული, სალხინო სიმღერები, რომელიც წინათ და არც შემდეგში აღარ მსმენია.

სამცხე-ჯავახეთის აღელვებული ბეგები — ერისთავები, ფალავანდიშვილები, მაჩაბლები, აბაშიძეები, ავალიშვილები, ამილახვრები და სხვა დამსწრე ქართველი მაჰმადიანები სტუმრების სიმღერას აჰყვნენ და დაუპატიჟებელნი, მაგრამ მეტად სასიამოვნო სტუმრები, გაჰქრნენ.

ამ შემთხვევამ მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ერთი ფიქრი მომივიდა თავში: ჯემალისათვის გამენდო და მე თვით გავყოლოდი მათ; თითქოს მან ეს იგრძნო და დინჯად მითხრა:

„გაუშვი, თავზე ხელაღებულია ჩემი ძმა, მაგრამ ეს თურქის ოფიცრები რაღას ფიქრობდნენ?! ვაცალოთ, ბატონო, რუსისა და თურქის ჯარს, იქნებ ორივე დაიღუპოს და მაშინ გვმართებს ჭკუა და საქმიანობა ქართველი ხალხის ბედი სასურველად გამოვჭედოთ“-ო.

ბახრი ბეკ ერისთავი და სურულ (სურე) ჰანიმ ხიმშიაშვილი (რაფიკ ეფენდიევის საოჯახო არქივიდან)

ხიმშიაშვილების სასახლე. 1919 წელი. IWM-ის არქივიდან

შალვა მაღლაკელიძე,

ნაწყვეტი წიგნიდან „მოგონებები“, გამომც. „ჰეგასი“, 2012 წ. გვ.292-296

საუკუნის გადასახედიდან

ნეჩიღეჯი ახალქალაქის ჟაზრიდან

(საკუთარი კორესპოდენტისაგან)

3

დილის ოთხი საათი იყო, ბარალეთისაკენ რომ გავემართეთ. გასავლელი გზა სულ ოცი ვერსი იქნებოდა. ახალქალაქიდგან ბარალეთამდე და შემდეგ ბორჯომამდე რიგიანი შარა გზაა, მაგრამ ერთი ხათაბალა სჭირთ აქაურ გზებს და განსაკუთრებით სოფლისას, სახელდობრ, წვეტიანი ქვებითაა სავსე. თუ ფრთხილად არა ხარ, წაწყდები ამისთანა ქვას და უხიფათოდ ვერ გადარჩები. სასოფლო გზები ხომ ამის გამოვე სწორედ საშიშია ზამთარში. გზები თოვლითაა მოფენილი და ამის გამო გამწვეტებული ქვები არა სჩანს, მხოლოდ ალაგ-ალაგ ამოუყვია თავი, ასე რომ მგზავრი ადვილად ვერ შეამჩნევს. მგზავრობის დროს დაეჯახები ზედ, მარხილი ჰაერში შეითამაშებს და შიგ მჯდომი თოვლზედ ზღარბანი გახდება. სწორედ ასე დაგვემართა მე და ჩემს თანამგზავრებს. ერთხელ ზედ ხევის პირას გადმოვცვივდით მე და ლუცენკო და მეორედ მე, ლუცენკო და მაზრის უფროსი ზისერმანი. ბედი ჩვენი, რომ ღრმა თოვლი იყო და რბილად დავეცით, თორემ ან თავპირს დავილეწავდით, ან გვერდებს ჩავიმტვრევდით.

მკითხველს ვურჩევთ ახალქალაქის მაზრის რუქა აიღოს და გაითვალისწინოს ის ადგილ-მდებარეობა, სადაც საშინელი ღვთის რისხვა დაატყდა 19 დეკემბერს. უამისოდ მეტის-მეტად გაუძნელდება ჩვენის მოთხრობის გაგება. დაშვებულ ვაკეზე ადვილად იპოვნით ს.ბარალეთს; სამხრეთ-აღმოსავლეთით აკრავს მთანი დიდი და პატარა აბული, აღმოსავლეთით მთა სამსარი, ჩრდილოეთით ტაბანყურის ტბა და შემდეგ ისევ მთები გორისა და ახალციხის საზღვრებზედ მდ. მტკვრამდე. ამ სამის მხრიდგან მთა-გორებით შემოზღუდულ სწორედ შუაგულ ადგილასაა ს. ბარალეთი, საიდგანაც მიდის გზები მიწის ძვრისგან დაზარალებულ სოფლებში. ამ სოფლების მდებარეობა ნარმოადგენს ცხენის ნალის მსგავს რკალს, რომლის გამწვეტებულ კუთხეს შეადგენს ტაბანყურის ტბა. დაზარალებული სოფლები მიყრილია მთის კალთებზედ, თითო-ოროლას გარდა, რომელიც ზედ გორებზეა გაშენებული, მაგალითებრ, დიდი და პატარა სამსარი.

დაქცეული სოფლები სულ სომხებითაა დასახლებული. ამავე მიდამოებში სამი ქართველების სოფელია: ბარალეთი, ბალანთა და ქათელია, მაგრამ ზარალი არა მოსვლია-რა. ერთი ადამიანიც არ დახიჩრებულა, მხოლოდ ქათელიელებს დაზარალებიათ მცირეოდენი ცხვარი.

ახალქალაქი

ბუნება ჯავახეთისა სასტიკია. ზამთარი ისეთი სუსხიანი იცის, რომ მის მგზავსს ვერსად საქართველოს სხვა კუთხეში ვერ შეხვდებით თუმ-ხევსურეთის გარდა. ზამთრობით სიცივე 20-25 გრადუსამდე ადის. არც ზაფხულია რიგიანი, რადგან დილ-დილობით ყინვებს იჭერს და ნათესს აფუჭებს. ამის გამო კალოობა ჯავახეთში ოქტომბერში ძლივსა თავდება, როცა იგი მთელს ქართლ-კახეთში გათავებულია კალოცა და მხოლოდ საქორწილო სიმღერა-ღა გაისმის. ჯავახეთში მაინც საკმარისი პური მოჰყავთ, რადგან ხალხი დიდი შრომის მოყვარე და მუყაითიანია. აქაური გლეხობა ერთგულად მისდევს პურის მოყვანასა და საქონლის მოშენებას.

ძველად ჯავახეთი თურმე დაბურულის ტყითა ყოფილა მოცული, დღეს ჩირგვსაც ვეღარსად შეხვდებით, ისეა მოტიტვლებული აქაურობა. ტყეების არსებობას ცხადადა ჰმოწმობს სამსარის მონასტრის გადაბრუნებული დიდი ქვის ნარწერა: სახელითა ღვთისაითა წმინდისა ღმრთის მშობელისაითა ესე წმინდაი ეკლესია ოდეს აღეშენა, მაშინ ესე ადგილი ტყისაგან არა ჩანდა, დღეს მიწის ძვრისაგან დანგრეული სამსარის მიდამოების არე-მარეს ასკილის ჩირგვიც არ ამშვენებს, ამბობენ, სამსარის მთებზედ ისეთი საძაგელი ბალახი მოდის, რომ საქონელი არა სჭამსო. უბედურ სამსრელებს მხოლოდ მშვენიერი საზაფხულო საძოვრები აქვთ 8 ათასი ფუტის სიმაღლეზედ და იქა ჰკვებავდნენ საქონელსა. ხვნა-თესვა აქ შეუძლებელია.

ბუნების სიმკაცრისა და უტყეობის მიზეზია, რომ ჯავახეთში სახლისა და ოჯახის შენობანი მიწური იციან. სახლი ნახევარზე მეტად მიწაშია ჩადგმული, კედლები ქვისაგანაა ამოშენებული უკიროთ, ცალიერ მშრალის მიწით მიმაგრებული. სახლის სიგრძეზედ გადებულია უშველებელი გაუჩორკნავი თავხე და გარდი-გარდმო აყრია ისევ გაუთლელი ხეები, ზედ ალაგია გაუთლელივე ჭერი. თავ-ხეებს აქა-იქ ბოძები უდგია. ზემოდგან ჭერს მიწა აქვს მიყრილი თითქმის არშით ნახევრის სიღრმისა. ზამთრობით ზედ აწვება ასეთს უმგზავსად აშენებულს სახლსა ღრმა თოვლი არშინ ნახევრისა, ხშირად ორი არშინის სიმაღლისა. სიცივემ და უშეშობამ აიძულა ჯავახი და მისი ახალი მეზობელი, არზრუმიდგან გადმოსახლებული სომხები, მიწაში ჩამძვრალიყვნენ და საქონელთან ერთად სული მოებრუნებინათ ყინვა-ტეხვისაგან. შეშის მაგივრად აქ წივასა ჰხმარობენ. ადვილად მიხვდება ადამიანი, რა სუნი და ჰაერი უნდა ტრიალებდეს ამ საშინელს მიწურებში. გიკვირს, როგორ იტანს ადამიანი ასეთს ჰავას მთელი 6-8 თვე და როგორღა სცოცხლობს. ასეთის ჰიგიენის წინააღმდეგის ცხოვრების მიუხედავად, ჯავახელები ჯანმრთელნი არიან. ალბად მშვენიერი, წმინდა ჰავა მინდვრისა, ანკარა, კამკამა წყალი და საზოგადოდ გლეხური მაგარი ტანის აგებულობა არამც თუ აცოცხლებს, ამრავლებს კიდეც ხალხსა. ჩვენის საკუთარის თვალითა ვნახეთ ისეთი ჯანმრთელნი მამა-კაცნი დანგრეულს სამსარიდგან და ისეთი ლამაზი გოგოები, რომ გავკვირდით. ამ მთელ კეკლუცების სილამაზეს, მათს თურაშაულ ვაშლის ფერს ლოყებს და ცეცხლის მფრქვევ შავთვალებს ბევრი ქალაქის კოპნია ქალი შეჰნატრებს.

დიდი ზარალი ახალქალაქის მაზრისა მიწისძვრისაგან აიხსნება, სხვათა შორის, იმ უმგზავნესის შენობებით, რომელიც ზემოდ ავწერეთ, ხუთრობა ხომ არ არის, თავზედ დაანვეს ადამიანს ჭერი, რომელსაც აყრია თითქმის ერთი საჟენი მიწა და ლოდივით გამაგრებული თოვლი, გაუჩორკნავი უშველებელი თავ-ხეები და სხვა ხის ტლანქი მასალა, და აგრეთვე კედლის უზარმაზარი ქვები. მიწის-ძვრის დროს, ვინც სახლში მოჰყვა, ყველა დაიხოცა, ცოცხალი თითქმის არავინ გადარჩენილა. შედარებით დახოცილებთან დასახიჩრებული ძალიან მცირეა. ფეხ და კლავებ დამტვრეული, ან თავ-გაჩეხილი

გაგრძელება გვ.12 ▶

ვისი გორისა ხარ...

გვეამაყებოდეს გვარიშვილობა

არ მეგულება ადამიანი, რომელიც თავისი გვარით არ ამაყობდეს, სიყვარულით და პატივისცემით არ წარმოთქვამდეს წინაპართა დიდი რუდუნებით დღემდე მოტანილ საოცნებო გვარს. წინაპრებმა გვასწავლეს გვარისადმი და გვარიშვილობისადმი საამაყო და მოკრძალებული დამოკიდებულება.

ხევისბერის შეგონება – „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ"... არასდროს არაა დასავიწყებელი. ახლა ყველაფერი ისე აირია, ეს მოწოდება ნაყალბევმა პათეტიკამ შთანთქა. არადა, თითოეული ადამიანი საკუთარ თავს შთამომავლობას უნდა შეახსენებდეს და მოძღვრავდეს: „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ!" და ამაყობდეს საკუთარი გვარით. იდენტობა მხოლოდ ფიზიოლოგიური მოთხოვნილებით არ დასტურდება, ეს ფრაზა სერიოზულ ღირებულებებს გულისხმობს, რომელიც ადამიანის სისხლში, ძარღვებში მოძრაობს, ანუ „იმ გორისა ხარ" დაკისრებულ მოვალეობას თუ რა გულით ემსახურები, როგორია შენი დამოკიდებულება სამშობლოს წინაშე.

დღეს ჩვენი მოვალეობაა გვარის ისტორია, კეთილი ტრადიციები და იდენტობა გავაცოცხლოთ შთამომავლობაში.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ჩვენმა სულიერმა მოძღვარმა, ილია მეორემ განაცხადა, – „დღეს, როგორც არასდროს, საქართველოს გადარჩენასა და განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქართული გვარების ერთსულოვნებას და სამშობლოს საკეთილდღეო საქმიანობასო".

ეს შეგონება თითოეულმა ჩვენთაგანმა გულის ფიცარზე უნდა დავიწეროთ და, როგორც ჯვარი ჩვენი საფიცარი, ისე უნდა ვზიდოთ, როგორც მაცხოვარმა ზიდა გოლგოთამდე.

საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, გვარისადმი სიამაყის გრძნობა კიდევ უფრო გიათკეცდება, როცა ხედავ შენს გარშემო მრავალ სახელოვან, კეთილსინდისიერ, ღვაწლმოსილ და დაფასებულ სახლიკაცს.

თითოეულმა ჭეშმარიტმა ქართველმა საგულდაგულოდ უნდა შეისწავლოს თავისი გვარის ისტორია, ცდილობდეს მის გაძლიერებას და შთამომავლობას, გადასცემდეს წინაპართა განვლილ გმირულ ისტორიას.

საქართველოში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა გვარის წარმომადგენელთა შეხვედრები. ეს თავყრილობები იმითაცაა საინტერესო, რომ სახლიკაცები მსჯელობენ გვარში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაწყვეტის გზებზე. ახალგაზრდებს შეახსენებენ გვარის სახელოვან ისტორიასა და ტრადიციებს, მოუწოდებენ გვარის გამრავლების და სამშობლოს ერთგული სამსახურისაკენ, ეხმარებიან სოციალურად დაუცველ გვარის წარმომადგენლებს, იზიარებენ გვარიშვილთა სიხარულს და თანაუგრძნობენ დამწუხრებულებს, იხსენებენ და პატივს მიაგებენ გარდაცვლილ მოგვარეებს და სხვა. ორიოდე სიტყვით მინდა ლომიძის გვარის წარმოშობის შესახებ მოგითხროთ. ქართული გვარები მყარია, რომლებსაც გრძელი, ისტორიული გზა აქვთ გავლილი. მათი უმრავლესობა წარმოშობილია წინაპრების საკუთარი სახელებისაგან. მათ შორისაა ლომიძეების უძველესი და ცნობილი გვარი (ძველი სახელით ლომას-ძე). დღეს საქართველოში 13500 ლომიძე ცხოვრობს და ქართულ გვარებს შორის 2014 წლის აღწერით მეშვიდეა. ყველაზე მრავალრიცხოვანი ლომიძე ხაშურის მუნიციპალიტეტში – 3500, თბილისში – 3072, ქუთაისში – 836, იმერეთში – 2777, სამცხე-ჯავახეთში – 1276, შიდა ქართლში – 3449, კახეთში – 623 და ა. შ. ცხოვრობს. ბორჯომშია 750. ლომიძეები თითქმის მთელ საქართველოში არიან განფენილნი.

საუკუნეების წინათ ცხოველთა სახელები ადამიანთა საკუთარ სახელებად გამოყენებულ მთის მოსახლეობაში ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო მამაკაცის სახელი „ლომა", რაც წერილობით წყაროებშიც დასტურდება.

სიტყვა „ლომს" ქართულ ეტიმოლოგიაში, ონომისტიკაში (საკუთარ სახელთა ფონდში) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ტერმინი „ლომი" გულისხმობდა სიმამაცეს, ერთგულებას, სიბრძნეს, თავდადებას, თავგანწირვას, ახოვანებას, სიძლიერეს, შეუპოვრობას, ამ სახელის მფლობელს ყველა პატივს სცემდა.

ამაყი სახელი „ლომი" ქართველ ხალხში ძველთაგანვე პოპულარული იყო. ჩვენი წინაპრების აზრით, ასეთ სახელს ვაჟიშვილისათვის შეეძლო შთაებერა ლომის ძალა და სიმამაცე. ამასთან სახელს, „ლომს" შეეძლო შეეშინებინა ბნელი ძალები, „ლომი" შესაძლოა სახელი ან მეტსახელიც ყოფილიყო, რომელიც ადამიანს რაიმე განსაკუთრებული თვისების გამო ენიჭებოდა. სხვათა შორის, სახელი „ლომი" ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია XIV საუკუნეში (*ლომი გურჯიშვილი, ლომი აზნაურაშვილი, ლომი არაგვის ერისთავი, ლომი უზნაძე და სხვა. „საქართველოს სიძველენი, ქრონიკები"*).

ლომიძეების გვარის წარმოშობის პროცესი იწყება XIII საუკუნის დასაწყისში (*მოსკოვის გვარების ისტორიის შემსწავლელი კვლევითი ცენტრის მასალები*).

ისტორიული დოკუმენტებით გვარში შემორჩენილი და ზეპირსიტყვიერი გადმოცემებით დასტურდება, რომ ლომიძეების გვარის ძირითადი განსახლების არეალი მესხეთშია. XV-XVI საუკუნეში სამცხე-საათაბაგოში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური, სოციალური და დემოგრაფიული ვითარების გამო, ისე, როგორც მრავალი სხვა ქართული გვარი, ლომიძეებიც მშვიდობიანი კუთხეების ძებნაში იყვნენ და რამდენიმე შტომ დასავლეთ საქართველოს, ზოგმა ოსმალეთს, ზოგმა ქართლს შეაფარა თავი.

დღევანდელ თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ლომიძეებს – „ლომღაად" მოიხსენიებენ, ხულოს რაიონის სოფელ ბეღლეთში დღესაც ცხოვროებენ მუსულმანი ლომიძეები, ისტორიული ქარტეხილების გამო ზოგიერთმა კათოლიკობის სარწმუნოება მიიღო, მაგრამ, ძირითადად, ლომიძეები ღრმად მორწმუნე მართლმადიდებლები არიან. 1578 წლის საარქივო დოკუმენტებში იმერეთის სოფლებში მრავალრიცხოვანი ლომიძეა მოხსენიებული. იოანე ბატონიშვილი თავის ნაშრომში – „აღწერა საქართველოს თავადაზნაურთა გვარებისაში", გვამცნობს, რომ „ლომიძეები არიან იმერეთის აზნაურნი, მათი სახლის კაცნი მოსულა ქართლსა შინა".

ქართლში ლომიძეები უმთავრესად დავითაშვილთა, აბაზაძეთა, ავალიშვილთა აზნაურები, ხოლო იმერეთში – აგიაშვილების, საწერეთლოს აზნაურები იყვნენ, ბევრი მათგანი მართლმადიდებელ ეკლესიებს ექვემდებარებოდნენ.

1850 წლის 6 დეკემბერს რუსეთის იმპერატორმა დაამტკიცა იმერეთის თავადაზნაურთა ოჯახების სია, სადაც აღრიცხულია აზნაური ლომიძეების 950 ოჯახი.

ღმერთის, საქართველოს და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, ლომიძეები გლეხნი კომლზე კაცი და აზნაურნი ქუდზე კაცად გამოდიოდნენ. ცალკერძ, იმერეთის სამეფოს ლაშქრის მემარჯვენე სადროშოში და, ცალკერძ, ქართლის მეფის ლაშქარში თავად წერეთელთა და ამილახვართა დროშების ქვეშ.

1999 წელს ლომიძეების პირველი შეკრება გაიმართა, სადაც 500–ზე მეტმა ლომიძემ მიიღო მონაწილეობა. 2010 წლის 10 იანვარს შეიქმნა ლომიძეების საგვარეულო კავშირი და საქართველოს პატრიარქმა სამების ტაძარში დალოცა ლომიძეების გვარი, აკურთხა საგვარეულო ხატი. ლომიძეების საგვარეულო კავშირის შექმნიდან დღემდე 20-ზე მეტი შეხვედრა გაიმართა, დარბაზის წევრებმა არა ერთი საინტერესო ღონისძიება განახორციელეს, შეიქმნა გვარის გერბი, რომლის დევიზია: „გვარის ერთიანობა – ქვეყნის ძლიერებაა"! ჰიმნი და დროშა. საგვარეულო ხატი, ხარაგაულის რაიონის სოფელ ხუნევის ეკლესიაში დავაბრძანეთ (ამ სოფლიდანაა ლომიძეების დიდი უმრავლესობა). გაიხსნა სპეციალური ანგარიში, შეწირული თანხა მოხმარდება სოციალურად დაუცველ ლომიძეებს, ქველმოქმედებას და სხვა სასიკეთო ღონისძიებას.

შარშან, უკვე მეორედ, რესპუბლიკის მასშტაბით ჩატარდა სახელოვანი მოჭიდავის შოთა ლომიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი, ახლა მზადდება პროგრამა ამ ტურნირის საერთაშორისო დონეზე ჩასატარებლად. დაწყებულია მუშაობა ლომიძეების გვარის ისტორიის შექმნისთვის, რომელიც დიდი ტირაჟით გამოიცემა და, იმედია, იგი თითოეული ლომიძის ოჯახში სამაგიდო წიგნად იქცევა. ვითვალისწინებთ ლომიძეების კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში ხეივნების, სკვერების, წყაროების მოწყობას, გვარის ღირსეულ მამულიშვილთა პატივგებას, საგვარეულო გენიალოგიის – „წინაპართა ხის" შედგენას (ასეთი ნუსხა ყველა ოჯახში უნდა იყოს), ახალგაზრდებში სამშობლოს სიყვარულის და პატრიოტული გრძნობების განმტკიცებისათვის შეხვედრების მოწყობას, გვარში გაბედნიერებული წყვილების დალოცვას, ნიჭიერ გვარიშვილთა სწავლის ხელშეწყობას და სხვა ღონისძიებებს.

ახლა, როცა ჩამოყალიბდა სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობა (თავმჯდომარე ბესიკ კოჭლამაზიშვილი), რომელიც სადღეისო მოთხოვნების დონეზე წარმატებით მუშაობს საქართველოს გვარების განვითარების პრობლემებზე, დარბაზის გამგეობა დარბაზის თითოეული წევრისაგან კატეგორიულად მოითხოვს მუშაობის გაუმჯობესებას. მოუწოდებს მას ერის სასიკეთო საქმეების კეთებისაკენ. ქართველ გვართა ერთსულოვნებისა და მართლმადიდებლური ეკლესიისადმი განუხრელი თანადგომისაკენ, გვარში არსებული ღირსეული ტრადიციებისა და მემკვიდრეობითობის შენარჩუნებისა და კიდევ უფრო განმტკიცებისაკენ.

არის სხვა აქტუალური წინადადებებიც, რომელთა პრაქტიკული განხორციელება დაგვეხმარება ქართული გვარების წინაშე არსებული არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში.

ვსარგებლობ რა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" გულისხმიერებით და თანადგომით, მინდა ვაცნობო ამ ისტორიული მხარის ქართული გვარების წარმომადგენლებს, ყველას, ვისაც სურს შექმნას საგვარეულო კავშირი ან დარბაზი, სურთ გააერთიანონ გვარის დაქსაქსული წევრები, და იზრუნონ გვარში არსებული პრობლემის გადაწყვეტისათვის, გამოგვეხმაურონ!

სამცხე-ჯავახეთში ბევრი ძირძველი ქართული გვარია, რომელთა დიდი ნაწილი ნამდვილად გამორჩეულია სამშობლოს სიყვარულით და თავდადებით. ამ მხარეში მრავალი გვარის შესანიშნავი, სახელოვანი ადამიანი აღიზარდა, რომლებმაც ნამდვილად ასახელეს სამშობლო.

სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობა მზადაა ქმედითი



დახმარება აღმოუჩინოს ყველას გვარის წესდების, სამუშაო გეგმის შემუშავებასა და სხვა ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში.

მზად ვართ თქვენთან შესახვედრად თქვენთვის სასურველ დღეს, ვიმსჯელოთ, ვიზრუნოთ ქართული გვარების წინაშე არსებული მრავალრიცხოვანი პრობლემების გადასაჭრელად, რათა ერთობლივი ძალებით შევძლოთ და ღირსეული წვლილი შევიტანოთ გვარებში ეროვნული და პატრიოტული მუხტის გაძლიერებისათვის, ქვეყნის წინსვლაში ჩვენი წვლილის შეტანისათვის.

მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2, გაზეთ „ბორჯომის" რედაქცია. ტელ: 599 – 22 – 79 – 29

სიამაყით მინდა დავასახელო ბერიძეების ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარი საქართველოში, ზედგინიძეების, მელიქიძეების, მიქელაძეების, ჯვარიძეების, წითლანაძეების, გურგენიძეების, დიასამიძეების, დავლაშერიძეების, ზაზაშვილების, თოთაძეების, ლაზარაშვილების, მაისურაძეების, მამუკაშვილების, მაღრაძეების, მოსიძეების, ნათენაძეების, ოთანაძეების, ნარიმანიძეების, პარუნაშვილების და მრავალი სხვა გვარები, რომელთა ღვაწლი ნამდვილად დასაფასებელია საქართველოს ამ უძველესი კუთხის გადარჩენის საქმეში. სწორედ ამ მხარეში შემორჩენილი ქართული გვარების წარმომადგენელთა უდიდესი დამსახურებაა, რომ აქ ომახიანად ისმის ქართული საუბარი, რთული კლიმატური თუ სოციალური პირობების მიუხედავად, კვლავ მრავლდებიან ქართული ოჯახები, ამ მხარემ საქართველოს არაერთი თვალსაჩინო მეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი და ხელოვანი გაუზარდა. საამაყოა, რომ რუსთველის ნაფუძარზე ტრადიციულად ისმის პოეზიის მოყვარულთა შესანიშნავი ლექსები, სიტყვაკაზმული ქართული ენა.

ახლა მთავარია უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ ქართულ გვართა ბრძოლისუნარიანობა და თავდადება, რაშიც უდაოდ დიდია თითოეული გვარის ერთსულოვნება.

ვალერიან ლომიძე,
გაზეთი „ბორჯომი"-ს რედაქტორი,
სრულიად საქართველოს გვარების წარმომადგენელთა დარბაზის გამგეობის წევრი,
ლომიძეების საგვარეულო დარბაზის თავმჯდომარე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
ბორჯომის საპატიო მოქალაქე.

თქმულებები

ხიზაბავრელი მოჭიდავე

ამ სამოცი წლის წინათ, სოფელ ხიზაბავრაში იყო ერთი დიდი ძალ-ღონის პატრონი კაცი, რომელიც მოსულიც იყო (ე.ი. ფიზიკურად ძლიერი) და დიდი სახელგანთქმული მოჭიდავეც. მთელ ახალციხესა და ჯავახეთში კაცი ვერ უძლემდა, სუყველას ერეოდა ჭიდაობით თუ ჩხუბით, სუყველანი აამტუტა.

ერთხელ ახალციხიდან ქირა მიჰქონდა ურმით, ურემში კამეჩები ება. ხიზაბავრის დიდ აღმართში ერთი კამეჩი უღელში ჩაუწვა, ის კამეჩი უღლიდან გამოუშვა, თვითონ შეება მეორე კამეჩთან და ხიზაბავრამდის ამოიტანა დატვირთული ურემი. იმ დროს ქართლში იყო განთქმული მოჭიდავე ათოლა გლდანელი. იმის ქება ჯავახეთშიც გადმოვიდა. ამ ხიზაბავრელმა თქვა: „რაღა ბიჭი ვარ, თუ ის არ წავაქციეო" და წავიდა ქართლში და იქიდან თბილისში ჩავიდა. მივიდა და გუბერნატორს გამოუცხადა: „მე მოჭიდავე ჯავახელი ვარ და ის ხასიმი[1] გამომიყვანეთ, ან ფული მომეცითო. გუბერნატორმა დაუძახა ყველა მოჭიდავეს, მაგრამ ვერავინ გაუძლო და სუყველანი წააქცია. გუბერნატორმა იკადრა და მაშინ კი აჩუქა ფულები, მერე კი, ხალხის რჩევით, დაიბარა ათოლა გლდანელი და უთხრა: „აბა, ამ ჯავახელს-ნა ეჭიდავოვო და თუ წააქციე, ბევრ ფულს მოგცემო. თელი თბილისელი ფალავნები წამიქციაო. „ძალიან კარქი, დავეჭიდებიო", – უთხრა გლდანელმა.

მეორე დღეს ქალაქის მეიდანზე შეგროვდა დიდძალი ხალხი. დაუკრეს ზურნა და დაეტაკნენ გლდანელი და ხიზაბავრელი. ბევრი იჭიდავეს, ძალიან ეწვალნენ და მაინც ვერც ერთი ვერ ერეოდა. ბოლოს ათოლამ მაინც წამოიღო და შორს მოისროლა ხიზაბავრელი, მაგრამ მაინც არ წაიქცა და ცხვირ-პირი კი მიწაზე გაიშვლიპა. ამაზე ლექსიც გამოუთქვეს:

„ხიზაბავრელი ჩიოდა,
ათოლამ წამაქციაო,

ცოლი და დედა მ.....ნა,
თავ-პირი დამანტვრიაო".

მაგრამ მერე მაინც წააქცია ხიზაბავრელმა ათოლა გლდანელი და ფული და სახელიც მას დარჩა. მისი ნაშიერი[2] ახლაც ცხოვრობს სოფელ წავკისშიო.

მთქმელი სოფელ ბარალეთში მცხოვრები 70 წლის **ბასილ ზაქარიას ძე გოგოლაძე**, ჩაიწერა **გიორგი გოგოლაძემ** 1937 წელს. შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის ლიტერატურის ინსტიტუტი, ფაა13533

[1] ბადალი, მოჭიდავე

[2] შთამომავალი

***

... მე გამიგონია პაპაჩემისაგან, აქ სულ ძველად, ვინ იცის რა დროს, მესხეს ერთი ვიცხა დიდი ხელმწიფე დაუმარცხებიათ, მოუტაციათ ცხენი და აძგვიტას დაუბია მათ. ხელმწიფეს შემოუთვლია: ოღომც ეგ ჩემი ცხენი უკან დამიბრუნეთ, აღარას გავნებთ, გავივლი, ჩემს ქვეყანას წავალო. მაგრამ უარი უთქვამთ. მაშინ იმ ხელმწიფეს სმენია თავის ცხენის ჭიხვინი, დაუპირებია გამოხსნა, მაგრამ არ საით არ ყოფილა მისასვლელი გზა. როკეთიდგან დაუწყვია კაფვა ტყისა და გვერდებზე გზის კეთება. მანამდის იმ ცხენს აუწყვეტია, გასულა მტკვარში, შეურბენია ხიზაბავრის ვენახები ჭენებით და რა ამოუტანებია იმ კლდე-გორის ჭინჭროხზედ, გაქვავებულა! იმ ხელმწიფესაც თავის ალაგას რომ აღარ დახვდენია ცხენი, გამობრუნებულა ნაღვლიანი და ამ ორმოცის წანწალა ხიდზედ უნახია ორმოციოდე მოჭრილი თავები თავის მხედრებისა, სწყენია დიდად და ისიც აქ გაქვავებულა! იმისთვის გზის ნაკაფ სოფელს როკეთი დარქმევია, ცხენის ნაბან ადგილს აძგვიტა, გაქვავებულ ადგილას ცხენისა, კუროს-თავი და კოშკსაც ორმოცი!

ვინმე მესხი, გაზეთი „დროება“, 1878 წ. N25

გადმოცემა ერეკლე მეფეზე

ერეკლე მეფე ასპინძის ომზე რო ჩამოსულა, ფესი ხურებია. სოფელ ოშორას რო გამოუვლია, იქ ერთი სოფლის გოგო ბალს მოჰკრეფს და მიანოდებს ჯარების უფროსს. უფროსი დაასაჩუქრებს და ეტყვის: უკან მეფე მოდის, მიუტა ხილი და უფრო მეტ საჩუქარს მოგცემსო. მართლაც მეფე რო გამოივლის, ეს გოგო გადააგდებს ხილს, მაგრამ რო დაინახამს ფესი ხურამს, შეეშინდება და უკან გაბრუნდება. მეფე ეტყვის: რატომ გაბრუნდიო? გოგო მიუგებს: შენ მეფე არა ხარ, შენ თურქი ყოფილხარ, ჰარამია შენზე ქართული ხილიო. მეფე მოიხდის ფესს, გახევს და გადააგდებს და ამ გოგოს დაასაჩუქრებს. ამის შემდეგ გაილაშქრებენ ასპინძაზე. ერეკლე წინდაწინ ააყრენინებს ხიდს და დაამარცხებს თათრებს.

ჩაიწერა ილია მაისურაძემ 1937 წელს, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ფა3139

აჭარელი

აჭარელმა სტამბოლში ყოფნის დროს ჭადი ვერ იშოვა საჭმელათ და პური კი ვერ ჭამა. შიმშილისაგან მიბნედილმა ამხანაგს მიმართა და ჭადი სთხოვა. ამხანაგმა ტავარჯოი (გუდა) უჩვენა: იქინე პურებთან ჭადიც კია, ამეიღე და ჭამეო.

გაუხარდა მშიერს აჭარელს, მივარდა მტავარჯოს, მოხსნა პირი და ჩაყო შიდ ხელი. ეძება, ეძება და პურის ქვეშ ძლივას მონახა ჭადის ნატეხი, გაუხარდა და დაძახა: – ჭო, ამ პურისათვის რო გაგიღლიტინებია ჭადი, რეიზა გიქნია აგი. უკეთესი ხო იქნებოდა, ჭადისთვის გაგეღლიტინებინა პურებიო, რომ მეც მის ძებნაში აღარ გევიღლიტებოდიო.

იმერელი და ურია

ერთი იმერელი და ურია მგზავრათ მიდიოდნენ... სალაშქროს რო მივიდნენ, ამოვარდა დიდი ქარბუქი; იმერელმა წამოიძახა: რაა აგი, ეშმაკი ქარია თუ რაცხაო?! ამაზედ ურიამ უპასუხა: ჩვენი ღმერთი და თქვენი ქრისტე ღმერთი შეჭიდებულან, ჩვენსას თქვენი დაუცია და ეს იმის ნაძალიაო, რომ ცა და დედამიწა ინძრევაო.

– აუ, – წყენით წამოიძახა იმერელმა, – ურიავ, რას ლახლახობ მაგას, თუ თქვენი ღმერთი და ჩვენი ღმერთი მტრობაში ატარენენ, ჩვენ აქანა რა მოახლე ვართ, რომ მათ უღალატოთ და ერთმანეთს აქ კი ამხანაგობას უწევთ, არიქა, შე მამალი მგლის გასახეთქო, შენაო და შეება ურიას. აიღო მარჯვეთ. სწრაფმა იმერელმა თავისი თანა მოგზაური დაანარცხა მიწაზედ და შეჯდა ზედ:

– აბა, ჰე, შე სამგლევ, იქინე თუ თქვენი ღმერთია გამარჯვებული, აქანე მე ვიქნებიო. ცემა ტყეპით უმეორებდა ამ სიტყვებს და აყვირებდა ურიას.



ნახ. რეზო ხითარიშვილისა

აჭარელი და კურტნის მკეთებელი

აჭარელმა ახალციხეში კურტანი გაკეთებინა და მეკურტნეს შეეკითხა:

– ძიავ, ხო კაი კურტანია?

– კაია, კაია, სანინ ბაჯი, ბალდუზუნ ბაჯი... (თავისი და, ცოლის და და ცოლი შეაგინა ხუმრობაში). აჭარელს ყურადღება არ მიუქცევია ამ გინებისთვის, თუმცა გაიგონა, რაც უთხრეს. აჭარაში რო წავიდა, გზაზე, აჭარის მთაზე რო ავიდა, მაშინ დაფიქრდა და გაახსენდა ცოლის შეგინებაზე ახალციხელისაგან. მოუვიდა გული. ჩამოჯდა ცხენიდგან, იძრო ყამა (ხანჯალი) და მისდგა კურტანს, იმდენი სცემა, რო, სულ ლუკმა ლუკმად აკუწა. როცა გული იჯერა, შეჯდა ტიტველა ცხენზე და გასწია სახლისკენ.

შინ რომ მივიდა, ცოლი შეეგება და ჰკითხა: – ჭო, შენ ახალი კურტანი უნდა გეყიდა და ძველიც იქინე დაგიტოვიი?

აჭარელმა გარემოება სულ შეატყობინა: ასე და ასე, შენი თავი მაგინეს ახალციხეში და მაგაზე გული მამივიდა, შემგინებელი არ იყო იქინე, რომ მისი ოხტიდან ამოვსულიყავი, გადმოვიღე მისი გაკეთებული ახალი კურტანი და მთლა ავკუწეო.

– ჭო, მე აქანა არა კაცი მინახავს და შენ რეიზა კარგავდი კურტანს და ზარალს მიეცი თავიო.

აჭარელი

აჭარელს ჩექმა არ ენახა, მგზავრობაში იპოვა ერთი ჩექმა და გაკვირვებით თქვა: მადლი ალახსა, ერთი თოხის ბუდე აკლდა ქვეყანასა და აგიც მოუგონიათო.

რატომ არ ჭამს მაჰმადიანი ღორის ხორცს?

ერთხელ თათრებმა უსაყვედურეს მაჰმადს: ქრისტეს იმდენი სასნაული უქნია, წყალიც კი ღვინოთ გადაუქცევია და სხვა მისთანები და შენ კი ერთი იმისობა არა გიქნია რა, რომ საკვირველი ყოფილიყოსო.

მაჰმადმა უთხრა: ეგ რა არის, მე შემიძლიან ერთი ჯოხის დარტყმით ღვინო გამოვადინო, მიწიდგან არა თუ წყალიო.

– აბა, გვიჩვენე, ესეთი სასწაულიო.

– ხვალ მობრძანდი, სოფლის გარეთ მინდორზე და დილას გიჩვენებ სასწაულსო. იმ ღამეს მაჰმადმა გაავსო ტიკი ღვინითა, გავიდა დანიშნულ ადგილას, გათხარა მიწა და ტიკით ღვინო შიგ ჩამარხა.

მეორე დილას რო მივიდნენ ყველანი, მოუცადეს მაჰმადს. რა მოვიდა მაჰმადი ჯოხით, დახედა, რომ მისი ტიკი ღორებს ამოეღოთ, დაეგლიჯათ, ღვინო სულ დიექციათ. მაჰმადმა რომ ნახა ესა, ერთ ადგილას გაჩერდა გაშტერებული და ფიქრობდა, რა ექნა თავის მოტყუებისთვის. ხალხმა შეაწუხა: რას გვიყურებ, სასწაულს უცდითო!

მაჰმადმა უთხრა: რაღა სასწაული შემიძლიან, ამ წყეულმა ღორებმა შემიშალეს ხელიო. დღეის იქით ნუღარა სჭამთ ღორის ხორცს, გეკრძალებათო.

მართლაც იმ დღიდან მაჰმადიანები ღორის ხორცს აღარ სჭამენ და მისი თვალით დანახვაც ჭირის დანახვას ურჩევნიათ.

ხიზაბავრელი

ერთ ხიზაბავრელს ქალი დაენიშნა ჭობარეთში, რომელიც სულ არ ენახა პირადად იგი. ერთხელ მოუხდა იმ სოფელში მგზავრობა და ესტუმრა შემთხვევით თავის ახალს მოყვარესა: ვერც ერთი ერთმანეთს ვერ სცნობდნენ: ვერც მასპინძელი სტუმარს და არც სტუმარი მათ.

გამოვიდა თავისი დანიშნული ქალი, რომელსაც თავის სილამაზესთან თვალის სიელმით დამახინჯებულიყო. სტუმარ-ყმაწვილს მეეწონა ის გოგო და სახლის უფროსს უთხრა: შენი სახლი მეტათ კარგი ყოფილა, მამწონს, მარა ბუხარი კი ბრუდე ჰქონია, რომელიც ძალიან უკარგამს შნოსა და ხასიათსო.

იქ მდგარი ქალიშვილი მიხვა, რო ამაზედ ამბობდა იგავს და გული მოუვიდა, უფროსს დაასწრო და სტუმარს უპასუხა: ბუხრის სიმრუდეს რას უყურებ, შენ ის მითხარი, კვამლი სწორედ ავიდესო.

მწყრის ხორცის მოყვარული

ერთმა ხუმარამ ერთი კაცი გააბრიყვა და უთხრა: შენ მწყრის ხორცი გიყვარს ძალიან. ერთ მწყერს ფეხზე ძაფი წაბი, დასვი გძლათ და იმის წვერი შენ დაიჭირეო და შორი ახლო დაჯექიო. იქ მწყერები მოვლენ, შენ დაბმული მწყერი ნელ-ნელა გამოსწიე, დანარჩენი მწყერები წამოჰყვებიან, რო მოახლოვდებიან, წაავლე ხელი და დაიჭირე ყველაო. ოღონდ, რო არ დაგინახონ იმათ და არ დაფრთხნენ, თვალები დახუჭე და ვერც დაგინახამენო. მოტყუებული და გაბრიყვებული კაცი მართლაც ასე მოიქცა: საღამომდინ მწყერს უჯდა. ბევრი იცადა და ვერც ერთი ვერ მოინადირა. საღამოს შინ რომ მივიდა, ხუმარამ ჰკითხა, ხომ დაიჭირე ბევრი მწყერიო?

– ვერც ერთიო, – მიუგო გაბრიყვებულმა.

– რატომ, არ მოვიდნენ?

– მოვიდნენ, მარა ისევ გაფრინდნენო!

– შენ უთუოდ თვალი გაგიჭყეტია და იმიტომ დაფრთხნენო!

– აპა, ერთხელ გავახილე თვალი თუ ორჯერ, მთელს დღეს თვალდახუჭული ვეგდე და იმდენი ხუჭვით, ზოგჯერაც, მიმძინებოდა.

– ჰო, არ გითხარი, თვალს გააჭყიტებდი-მეთქი, იმიტომაც დამფრთხალან და ვერა გაგიგია რა და გაუდგა თავის გზას.

იმერელი და ხიზაბავრელი

ხიზაბავრელი (ჯავახი) ესტუმრა იმერელს, რომელიც ქრისტიანად ვერ იცნეს, ტანისამოსის გამო. სტუმარმა უთხრა მასპინძელს: ქრისტიანობა მსურს და არ ვიცი ქართველობა სჯობს თუ ფრანგობა? თუ სამსახური გსურს, ქართველობა მიიღე, თუ სარწმუნოება – ფრანგობაო. – უპასუხა იმერელმა.

– ქრიატიანობაო! – და პატივი სცა ჯავახსა ქრისტიანობის მიღებისათვის.

იქვე ხიზაბავრელმა დაინახა გუდებით ღვინო და იკითხა: – ეს რა თხები წვანანო.

– ეგ რის თხებია, შე კაი კაცო, ტიკებია, შიგ ღვინოა ჩასხმული.

ხიზაბავრელმა მითამ გაიკვირვა და ცნობის მოყვარეობით შეეკითხა კიდევ: – ნეტა რა გემოსია ღვინო? ჭო, ჩვენი ხოჯები ჭადისთვის გვეტყვიან: მაჰმადის ნაწოვი ტკბილი რძე ურევია შიგ და ღვინოზე კი არა უთქვამთ რაო.

– ეჰ, შე კაცო, ჭადში თუ მაჰმადის რძე ურევია, ღვინოში სულაც ქრისტეს სისხლი ურევიაო. დაბძანდი და ორივე იმხიარულე, რომელიც მოგეწონოს, იმავ სარწმუნოებას დაადექიო.

ხიზაბავრელსაც ეს უნდოდა, დაჯდა და ჭადით და საყვარელი ღვინით გამოძღა, ბოლოს მასპინძელს უმახარობლა: – ძმაო, ქრისტიანობა კარგი ყოფილა და ღმერთმაც არ მომაკლოს ღვინოვო.

მასპინძელ იმერელს გაუხარდა სტუმრის გაქრისტიანება და ორი გუდა ღვინო აუკიდა ხიზაბავრელს ცხენზე და გაატანა სახლში.

„ჯვარი ვაზისა“, 1906 წელი, N18

წეროლეჯი ახალქალაქის ეპოზიდან

◀ დასაწყისი გვ. 9

საუკუნის გადასახედიდან

მხოლოდ ისაა, ვინც კარის დირეზე მდგარა და ნახევრად გამოუსწვრია წამომხვეულ სახლის შენობისთვის.

პირველი სოფელი ბარალეთ-ბორჯომის შარაგზაზე, მიწის-ძვრისაგან დაზარალებული არაგვაა, დასახლებული სომხებით. დაუქცევია მიწისძვრას სულ 5-6 სახლი. ერთი თორმეტის ნლის ყმაწვილი გარდაცვლილა და ერთიც მამა-კაცი დაუსახიჩრებია. ყველანი შევედით მიწურში, სადაც იწვა ავადმყოფი. საცოდავი საშინლადა ჰგმინავდა. ფეხები მომტვრეული ჰქონდა, ფერდები და მხრები დაშავებული. ერთი ლოდი თავში ჰქონდა მოხვედრილი. მკურნალმა ბარამიშვილმა და ფერშლებმა ჯავჯანაშვილმა და შიუკაშვილმა შემწეობა აღმოუჩინეს ავადმყოფსა და შესაფერი წამლები მისცეს. ვიდრე მკურნალ ფერშალნი ფუსფუსებდნენ, გუბერნატორი ავადმყოფს არ მოჰშორებია, ბოლოს განკარგულება მოახდინა, გადაეყვანათ ავადმყოფი დუხობურების ფართო მარხილით ქ. ახალქალაქს. ეს პირველი ნახვა იყო ჩვენ მიერ მიწისძვრის მსხვერპლისა.

წერილის დასასრულს მასაც მოვიხსენიებთ, რომ ჯავახეთს დამკვიდრებული სომხები გადმოსახლდნენ 1930 წ. გრაფის პასკევიჩის მთავარმართებლის დროს არზრუმის ფაშალიყიდან. იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა ერთი მილიონი მანათი ასიგნაციის ქაღალდებისა უბოძა მათ სახლკარის ასაშენებლად და ოჯახობის მოსაწყობად. სამოც და ათმა წელიწადმა გაიარა მას შემდეგ და დღეს ხელმეორედ ეწვიათ უბედურება. თათრებს გამოექცნენ, რუსეთს შეაფარეს თავი, მოისვენეს კიდეც საცოდავებმა და ხელახლად მეორე უფრო დიდი უბედურება ეწვიათ, სახლკარიც დაენგრათ და მრავალი სიცოცხლესაც გამოეთხოვა. შვილი შვილი შვილმა იმპერატორი ნიკოლოზ პირველისამ, იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ კიდევ შეიწყალა საცოდავნი და დასახმარებლად უბოძა 50000 მან. საკუთარის ჯიბიდგან. ეს და სხვა კერძო შემოწირულობა საშუალებას მისცემს მთავრობას ბინა გაუჩინოს იმათ, ვინც ბუნების ძალამ ასე უწყალოდ გაატიალა და გაავერანა.

დილის ექვს საათზედ უკვე ბარალეთს მივედით.

ა. ყძე

***

„ტფ. ფურც.“-ს ახალქალაქიდგან კიდევ სამწუხარო ამბავს აუწყებენ დეპეშით. მიწის-ძვრა ხელ-ახლა მომხდარა თურმე იქ. ტაბაწყურის ტბის გაღმა სოფელში მიწის-ძვრას სახლები დაუნგრევია. დღემდე გამოურკვევიათ, რომ ნანგრევებს ქვეშ დაღუპულა: სოფ. ბეჟანოში 45 კაცი, იხტილაში 8, მარენში 166, დიდ სამსარში 4, პატარა სამსარში 28, გადოში 3, ბულათენში 1, მალეთში 1, კიზილკილისში 1 დაშავებულა და დამწვარა ასზე მეტი კაცი. სოფ. ბულათენში მიწის-ძვრის შემდეგ ერთი სახლობა თავშესაფრის უქონლობის გამო თივის ზვინში მოთავსებულა; გაუფრთხილებლობის გამო ძილის დროს ლამპა ჩამოვარდნილა, თივას ცეცხლი წაჰკიდებია და ექვსი მძინარე კაცი ცოცხლად დამწვარა.

***

სოფ. ტოლოში (ახალციხის მაზრა).

19 ქრისტეშობისთვეს, შუადღისას, საშინელი მიწის ძვრა მოხდა. ისეთი გრიალი მოისმოდა დედა-მიწითგან, როგორც ჭექა-ქუხილი. გორებიდგან დიდი ლოდები გორდებოდა, სახლები ისეთ ნაირათ მიდიოდ-მოდიოდნენ, რომ ჭერებიდგან ხრიალით მიწა ცვიოდა. ამ საშინელმა მოვლენამ ხუთ წუთამდე გასტანა. შეშინებული ხალხი სულ გარეთ გამოვიდა. მიწის ძვრა ოთხჯერ მოხდა შუადღიდგან ღამის ათ საათამდის; მეორეთ და მესამეთ ცოტათი შეინძრა დედა-მიწა, მეოთხეთ უფრო საგრძნობლად. ღამე გარეთ გამოველით, რადგან სახლების დანგრევისა გვეშინოდა. შიშით და სიცივით გვაკანკალებდა მთელ ხალხს, მინამ მიწა არ გაჩერდა, მთელი ღამე არ დაგვიძინია; თუმცა ადამიანის ზარალი არ მოსულა, მაგრამ შენობების კედლები ბევრი დაინგრა. სხვათა შორის, ტოლოშის სკოლის წინა კედელი საშიშრად არის დანგრეული.

გაზეთი „ივერია“ 1900 წ. N1, N 2

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: WWW.SCRI.CO; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit–meskheti@yahoo.com